საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

Карахидзе

წელიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:)რედაქტორის 14—76
)მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს.-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

დღეს ნომერში

— პარიზის მუნიციპალისტების მეორე სექტორის არჩევნებში გაიმარჯვეს კომუნისტებმა.
— დეპუტატთა პალატამ ერთი მილ. ფრანკით შეამცირა ხარჯები მაროკოს ომის წარმოებისათვის.
— ამუნდსენმა ჩაიბარა დირიჟაბლი ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ გასაფრენათ.
— გამოქვეყნდა უკრაინის ქარხნების გამოკვლევის ანგარიში.
— გამოიცა ამხ. ძერჟინსკის მიერ ხელმოწერილი ბრძანება საგადასახადო დისციპლინის შემოღების შესახებ.

ოთხშაბათი, 31 მარტი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 71 (1526)

„კომუნისტი“
მიიღება ხელისმოწერა
აპრილისათვის
მთავარი კანტორა რუსთაველის პროს. № 34.
ხელისმომწერლებს დღეს ურიგდებათ
უფასო დამატება
„მეცნიერება და ტეხნიკა“ № 6.

მორიგი თვითშემოწმება

(პარტუჯრედთა ბიუროების არჩევნების გამო).

კომუნისტურ პარტიის იდეურ და პოლიტიკურ გავლენის არაჩვეულებრივი ზრდა, განსაკუთრებით უკანასკნელი წლების განმავლობაში, დღეს უკვე იმდენათ თვალსაჩინო ფაქტია, რომ მისი უარყოფა არ ძალუძთ საბჭოთა ხელისუფლების უსასტიკეს მტრებსაც კი. ამის მაჩვენებელია, სხვათა შორის, ის ფაქტიც, რომ თვით კომპარტიის რიგები დღითიდღე ფართოვდება მუშურ-გლეხური მასის მოწინავე ელემენტების ხარჯზე და პარტიის კარებისაკენ მიილტვიან მშრომელთა ახალი და ახალი ფენები.

ეს, თავის-თავად დადებითი მოვლენა, პარტიის წინაშე სვამს უაღრესი მნიშვნელობის ამოცანას, რომელიც გულისხმობს პარტიულ მასის ბოლშევიკურად აღზრდა-დარაზმვას. უამისოთ წარმოუდგენელია პარტიის იდეურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობაზე ლაპარაკი ქვეყნის აღმშენებლობის ყოველივე დარგში.

ჩვენში ეს ამოცანა კიდევ უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებს, რადგან საქართველო, როგორც სოფლის მეურნეობის ქვეყანა, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, როგორც პოლიტიკურ პარტიათა არაჩვეულებრივ ბრძოლის ასპარეზი ახლო წარსულში, ბევრათ განსხვავდება საბჭოთა კავშირის სხვა რომელიმე კუთხისაგან.

პარტიის ზრდა ჩვენშიაც შეუჩერებლივ სწარმოებს. ჩვენი რიგები ფართოვდება როგორც ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის, ისე სხვადასხვა წვრილბურჟუაზიულ პარტიების მუშურ-გლეხურ ელემენტების ხარჯზე. აქ ჩვენ უთუოდ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. ჩვენ შევძელით მოწინააღმდეგე ბანაკიდან პროლეტარიატის კლასიურად მონათესავე და მოკავშირე ელემენტების გადმობირება. დღეს ჩვენს რიგებში მოიპოვებიან ყოველივე პოლიტიკურ სკოლის გაუვლელი ელემენტები და მათთან ერთად სხვა პარტიებიდან გამოსული ამხანაგებიც.

ამიტომ საქართველოს კომპარტიის შინამშენებლობის ერთ-ერთ საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენს ახლად შემოერთებულ მასის შეთვისება-შესისხლხორცება, მათი ბოლშევიკურ ქვაბში გადახარშვა და ორგანიზაციულ-პოლიტიკურად დარაზმვა. ეს ამოცანა არც ისე ადვილია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ პარტიის ძირითადი კადრები ზოგჯერ თვით არიან მოკლებული სათანადო პოლიტიკურ სიმტკიცეს და ორგანიზაციულ სიმკვრივეს.

დამდეგი აპრილი, სხვათა შორის, თბილისის ორგანიზაციის უჯრედთა ბიუროების გადარჩევის თვედ არის გამოცხადებული. ამ კამპანიის დროს ეს საკითხი მთელი თავის მნიშვნელობით უნდა დაისვას უჯრედების კრებებზე და ბიუროებმა ანგარიში უნდაა ჩააბარონ ამომრჩეველთა მასას—რა გააკეთებს მათ პარტიულ აღმზრდელობის დარგში.

ამის გარდა საერთო სამეურნეო სიძნელენი, რომელნიც წამოიჭრენ ჩვენს წინაშე ამ ბოლო ხანს და რომელნიც ცნობილნი არიან ეგრედ წოდებულ ზრდის ტკივილებად, პირველ ყოვლისა, თვით პარტიისაგან ითხოვენ პასუხის გაცემას და სათანადო ზომების მიღებას. აქ უთუოდ დიდია პარტიის ძირითად ორგანიზაციების მნიშვნელობა. ამხანად სადღეისო ლოზუნგათაა მიჩნეული ეკონომიის მტკიცე რეჟიმის დაცვა მეურნეობის ყველა დარგში. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა საწარმოო თათბირების მუშაობას. ძველი ბიუროები უნდა წარსდგენ მოხსენებით უჯრედების წინაშე. მათ უნდა ჩააბარონ ანგარიში პარტიულ მასებს,—რა გააკეთეს ამ მხრივ და რა დაბრკოლებები ეღობებოდათ წინ დასახულ მიზნის შესრულებაში.

ყველა ამ მუშაობის წარმოება უჯრედებს საკუთარი ძალებით, რასაკვირველია, არ შეუძლიათ. პროფესიული და სხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაციები—აი ის ორგანოები, რომელთა საშუალებითაც ეწევიან უმთავრესად პარტუჯრედები უპარტიო მასაში კულტურულ-პოლიტიკურ მუშაობას და უძღვებიან საწარმოო თათბირებს. რა გააკეთა ბიურომ ამ მხრივ, როგორია მისი მიღწევები ადგილობრივ პროფორგანიზაციის მუშაობის გამოცოცხლებაში, რა ღონისძიებებია მიღებული წარმოებების უმტკივნეულოდ განვითარებისათვის,—ებრძოდა თუ არა ბიურო დაწესებულებაში ბიუროკრატიზმს, დაუდევრობას, მფლანგველობას და სხვა—ეს საკითხები ბუნებრივათ წამოიჭრება უჯრედების კრებაზე და ბიუროებს მოუხდებათ მათზე ამომწურავი პასუხის გაცემა.

ასეთია ზოგადათ ის კითხვები, რომელნიც იპყრობენ ჩვენს ყურადღებას ბიუროების დამდეგ საარჩევნო კამპანიაში. რაც შეეხება თვით არჩევნების წესს—აქ მტკიცედ უნდა იქნას დაცული შემდეგი პირობები: ფართე შინაპარტიული დემოკრატია, უჯრედების ხელმძღვანელ ორგანოებში ახალი ძალების შეყვანა და ძველი შემადგენლობიდან ისეთების დატოვება, რომელთაც წარსული მუშაობით საერთო ნდობა დაიმსახურეს და მუშაობის უნარი გამოიჩინეს. ამასთანავე ბიუროების საანგარიშო მოხსენებები მოკლე, სხარტი და საქმიანი უნდა იყოს. საჭიროა ვერიდოთ ერთი მხრივ გადაჭარბებულ თვითკრიტიკას და მეორე მხრივ უადგილო თავის ქებასაც, როგორც ეს ზოგჯერ ემჩნეოდა წარსული არჩევნების დროს.

მიუდგომელი, ფაქტებით დასაბუთებული, მოკლე და მარტივი მოხსენება,—აი რა უნდა ახსოვდეთ ბიუროებს პარტუჯრედებისათვის ანგარიშის ჩაბარების დროს.

ამრიგად, ძირითად პარტორგანიზაციების დამდეგი საარჩევნო კამპანია, რომელიც აპრილის პირველ რიცხვებიდან დაიწყება თბილისში, საუკეთესო გამოცდა იქნება ჩვენი პარტიის ქვედა აპარატისათვის, აქ მოხდება პარტორგანიზაციის რიგების მორიგი შემოწმება.

ახლო მომავალი გვიჩვენებს, რამდენათ ღირსეულად და სისწორით შესრულა ჩვენი პარტიის ძირითადმა აქტივმა ხელმძღვანელ ორგანოების დადგენილებები და დავალებანი.

კომუნისტების გამარჯვება

პარიზი, 29 მარტი. ეხება რა ხელახალი კენჭის ყრის შედეგებს პარიზის მეორე სექტორში, კომუნისტური „ჰუმანიტე“ სწერს:

„მიუხედავათ რეაქციის ძალთა გაერთიანებისა კომუნისტებმა გაიმარჯვეს. კომუნისტები სდგანან ყველა იმათ სათავეში, ვინც შეიგნო, რომ ფაშიზმს მივყევართ მშრომელთა დამონებისა და ომებისაკენ. პარიზის არჩევნები მხოლოდ ეპიზოდია გაყვლეფილთა ბრძოლაში გამყვლეფელების წინააღმდეგ. პარიზის არჩევნებზე გამარჯვებას უნდა მოჰყვეს მთლიანი პროლეტარული ფრონტის შექმნა“.

მემარცხენე ბლოკის გაზეთები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ პარიზელებმა ხმა მისცეს არა კომუნისტებს, არამედ ფაშიზმის წინააღმდეგ.

მემარჯვენე პრესა არჩევნებს უკმაყოფილოთა კენჭის ყრას უწოდებს და ილაშქრებს „საფრანგეთის კერენსკის“—ერიოს წინააღმდეგ, რომლის მომხრეებმა პარიზის მეორე სექტორი კომუნისტებს გადასცეს. მემარჯვენე გაზეთების აზრით, არჩევნების შედეგები ზიანს მოუტანს საფრანგეთის ფინანსიურ მდგომარეობას, რადგან მხოლოდ ხელისუფლების ავტორიტეტის გაძლიერებას შეუძლია თავიდან აიცილოს საფრანგეთს ფინანსიური გაკოტრება. დასასრულ გაზეთები პატეტიურად მოუწოდებენ: „ბელა კუნი—პარიზის შუა გულშია! ჩვენ არ გვსურს ვითამაშოთ გრაფ კაროლის როლი“. (სახეში აქვთ ჰუნგრეთის პრემიერის გრაფ კაროლის სისუსტე საბჭოთა რევოლიუციის წინაშე).

ომი მაროკოში

პროტესტის ნიშნად

ბერლინი, 30 მარტი. ორშაბათს, საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ 268 ხმის უმრავლესობით 265 ხმის წინააღმდეგ მიიღო სოციალისტების წინადადება სირიაში და მაროკოში წარმოებულ ომისათვის კრედიტების შემცირების შესახებ 1 მილ. ფრანკით.

ეს დადგენილება გამოტანილია პროტესტის ნიშნად ომის შემდეგში გაგრძელების წინააღმდეგ.

სიმართლე მაროკოს შესახებ

ლონდონი, 29 მარტი. მაროკოდან მიღებული ცნობები აღნიშნავენ რიფების მოქმედების უაღრესად გაძლიერებას და იმ ტომების მერყეობას, რომელნიც აქამდის მხარს უჭერდენ ფრანგებს.

ცნობებში აღნიშნულია აგრეთვე, რომ საფრანგეთის და ესპანეთის მდგომარეობის ოპტიმისტური შეფასება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

აღმოსავლეთის ცხოვრება

მცურავი გამოფენა

კონსტანტინეპოლი, 29 მარტი. გაზეთი „ჯემ-ხურიეტი“ იძლევა დამატებითი ცნობებს მცურავი გამოფენის შესახებ, რომელიც 31 მაისს კონსტანტინეპოლიდან უნდა გავიდეს გემით „კარა დენიზ“-ით.

გამოფენა ინახულებს 21 ნავთსადგურს და თვითეულ ნავთსადგურში დაჰყოფს 2—4 დღეს. **ამ ნავთსადგურების რიცხვში შედის ლენინგრადი, ბათომი და ოდესა.**

გამოფენის კომიტეტი შეუდგა აფიშების და ბროშურების ბეჭდვას ხუთ ენაზე. კომიტეტი აწესებს საქონლის ფასებს, რომლებიც სავალდებულო იქნება ყველა კომერსანტებისათვის გამოფენის საქონელის გაყიდვის დროს ნავთსადგურ. გამომუშავებულია წესდება კომერსანტებისათვის, რომლებიც გაჰყვებიან გამოფენას. გამოფენის ცურვა გაგრძელდება 3 თვეს. გემ „კარა დენიზ“-ზე გაიხსნება ბანკის განყოფილება.

ოსმალეთის შავი ზღვის რკინის გზა.

სტამბოლი, 29 მარტი. წარსულ წელს დაიწყო რკინისგზის გაყვანა სამსუნიდან ჩარშამბემდე. ამ გზის გაყვანის და მეორე მხარეზე გაგრძელების კონცესია აიღო ოსმალეთის ერთ-ერთმა ანონიმურმა საზოგადოებამ. ამ საზოგადოების ერთმა წევრმა შემდეგი ცნობა მიაწოდა „ხალკას“ კორესპონდენტს:

მიწის მუშაობა სამსუნ—ჩარშამბეს ხაზზე დამთავრებულია და დაიწყო რელსების დალაგება. მოელიან რელსების, შპალების და ორი ორთქლმავალის ტრანსპორტის მიღებას.

ამ ხაზის გაყვანის შემდეგ დაიწყება მუშაობა ჩარშამბე—ტურმეს ხაზზე—22 კილომეტრის მანძილზე. ამ უბნის გამოკვლევა უკვე დამთავრდა და პროექტი გადაეცა დასამტკიცებლად საზოგადოებრივ სამუშაოების დირექტორს. ჩარშამბე—ტერმეს ხაზზე მუშაობა დაიწყება გვირაბის გათხრით.

როდესაც მთელი გზა სამსუნიდან ტერმემდე გაყვანილი იქნება, დაიწყება მუშაობა სამსუნ—ბაფრის ხაზზე.

აია-სოფია.

სტამბოლი, 29 მარტი. კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა ცნობილ მეჩეთის აია-სოფიას შენობის მდგომარეობის გამოკვლევა, დაამთავრა ნახაზების შედგენა და ახლო მომავალში წარადგენს საბოლოო დასკვნას. ჯერ-ჯერობით ყოველ შემთხვევაში კომისიამ ვერ გამოარკვია გუმბათის გაბზარვის მიზეზი.

ახლო აღმოსავლეთის კომერციული ბანკი.

სტამბოლი, 29 მარტი. **14 მარტს სტამბოლში გაიხსნა ახლო აღმოსავლეთის კომერციულ ბანკის განყოფილება.**

ბანკის გახსნას დაესწრენ ადგილობრივი ხელისუფლება და დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარის მოადგილე.

ახალი პროვოკაცია

პეკინი, 29 მარტი. უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში რეიტერის სააგენტო ავრცელებს ხმებს კანტონში მომხდარ არეულობის, მთავრობის დამხობის და რუს მრჩეველთა გაძევების შესახებ. **საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა კანტონის დიპლომატიურ დელეგაციისაგან მიიღო ცნობა, რომ ეს ხმები სრულიად უსაფუძვლოა და მათი მიზანია ჩრდილოეთ ჩინეთზე გალაშქრებულ რეაქციის გავლენის გაძლიერება.**

მორიგი ჭორები

მოსკოვი, 30 მარტი. ნორვეგიის ბურჟუაზიულმა გაზეთმა **„აფტენპოსტენ“**-მა გამოაქვეყნა ყალბი დოკუმენტები, რომელთაგან ერთი თითქოს ეკუთვნის ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომს და ხელმოწერილია **ხიტაროვის** მიერ, ხოლო მეორეს—თითქოს ნორვეგიის კომკავშირის ცეკა აწერდეს ხელს. ამ დოკუმენტების ერთი თვალის გადავლებაც აშკარად მოწმობს, თუ რამდენათ სიყალბეს წარმოადგენენ ისინი, როგორც ფორმით, ისე ტექსტის მხრივ.

მაგალითად, ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის „წერილი“ თითქოს მიღებული იყო 22 თებერვლის პლენარულ სხდომაზე. ნამდვილად კი **ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის პლენუმის პირველი სხდომა 19 მარტს შესდგა.**

მეორე წერილში, რომელიც თითქოს ნორვეგიის კომკავშირის ცეკას ეკუთვნის, ნორვეგიის კომკავშირის ანტიმილიტარისტულ კომისიის ხელმძღვანელად გამოყვანილია **იერგენ ფოგტი**, რომელიც ჯერ კიდევ შარშან გავიდა კომკავშირიდან.

ე. წ. ხიტაროვის წერილში მოყვანილია ასეთი წინადადებები:

„...გარდა ამისა პასუხისმგებელ ამხანაგებს უნდა მიეცეს განკარგულება გადაიღონ იმ ციხე-სიმაგრეების და მიდამოების სწორი გეგმები, სადაც სწარმოებს ჯარების ვარჯიშობა: უნდა აღინიშნულ იქნეს უმთავრესად საწყობები, ამუნიცია, პროვიანტი და სხვა“.

მარტო ეს ციტატა ნათლად მოწმობს, თუ რა მიზანი აქვს ნორვეგიის პოლიციის მიერ შედგენილ დოკუმენტებს, რომლის შემწეობითაც სურთ ნორვეგიის კომკავშირს ჯაშუშობა დასწამონ და აღძრან პროცესი მის წინააღმდეგ.

მონზენმა პარლამენტში გამოამხილა ამ წერილების ნამდვილი წარმოშობა და პარალელი გაიყვანა ამ წერილებსა და „ზინოვიევის ცნობილ წერილს“ შორის, რომელიც კონსერვატორებმა გამოიყენეს ინგლისის თემთა პალატის არჩევნების დროს.

მონზენის მხილებას ადასტურებს აგრეთვე ბურჟუაზიული გაზეთი **„აფტენარისი“**, რომელიც ოსლოში გამოდის. მაგ., გაზეთი სწერს:

„ეს ყალბი დოკუმენტები გუშინ წარმოუდგინეს გაზეთ „აფტენარის“-ის რედაქციას ოსლოში; რედაქციაში გამოცხადდა ერთი ახალგაზრდა, რომლის გარეგნობა ვერ სტოვებდა სანდო კაცის შთაბეჭდილებას. მან თავის თავს უწოდა ვინმე **ერლინგ განზენი** ლილიენგამერიდან. გადასცა რა რედაქციას ყალბი მოწოდება, მან ილაპარაკა, თუ როგორ ჩაუვარდა მას ხელში ეს დოკუმენტი. მისი სიტყვით, 16 მარტს ის იჯდა ახალგაზრდა კომუნისტებს შორის, რომლებმაც ბევრი სმის შემდეგ ლაპარაკი ჩამოაგდეს ამ საიდუმლო დოკუმენტზე. ბოლოს და ბოლოს კომუნისტებმა უჩვენეს ეს დოკუმენტები. განზენმა სულ სხვა საკითხზე ჩამოუგდო მათ ლაპარაკი. მათ გადაავიწყდათ ეს დოკუმენტი, და ამრიგად მან ხელში ჩაიგდო ის. დასასრულ განზენმა განაცხადა, რომ **მას სურს ეს დოკუმენტი გამოიყენოს „კომერციული მიზნით“**, მაგრამ,—აცხადებს რედაქცია,—ამ წინადადებაზე მან უარი მიიღო“.

ნორვეგიის კომკავშირის ალმასკომმა და ხიტაროვმა გაუგზავნეს ნორვეგიის გაზეთებს დეპეშები, რომელშიაც გადაჭრით უარყოფენ გამოქვეყნებულ დოკუმენტებთან რაიმე კავშირს და მიუთითებენ მათ სრულ სიყალბეზე.

ახალგაზრდათა კომინტერნის ალმასკომის დეპეშაში ნათქვამია: „18 მარტს გამოქვეყნებული დოკუმენტი სრულ სიყალბეს შეიცავს. დოკუმენტის უაზრო ტექსტი თავის თავად მოწმობს ამას, ის არ შეეფერება ახალგაზრდათა კომინტერნის მუშაობას. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ საზოგადოებრივობის ასე სკანდალური მოტყუების გამო“.

საბჭოთა სამხედრო გემები

მოსკოვი, 30 მარტი. ჩვენს პრესაში 25 თებერვალს მოთავსებული იყო საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობა ბერლინიდან იმის შესახებ, რომ გერმანიის საზღვაო უწყების წარმომადგენელმა სიტყვა წარმოსთქვა რეიხსტაგის მთავარ კომისიაში გემების საამშენებლო ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს.

ამ ცნობის თანახმად, საზღვაო უწყების წარმომადგენელი იცავდა ხარჯთაღრიცხვას, ემყარებოდა აღმოსავლეთ სანაპიროების თავდაცვის გაძლიერების საჭიროებას და აღნიშნავდა საბჭოთა ფლოტის მანევრებს ბალტიის ზღვაზე.

ამ ცნობის მოკლეთ გადმოცემის გამო შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ გერმანიის საზღვაო უწყების წარმომადგენელი ამართლებდა გემების აშენების ხარჯთაღრიცხვას იმ საშიშროებით, რომელიც გერმანიას მოელის საბჭოთა ფლოტის მხრივ.

სხდომის სტენოგრაფიულ ანგარიშიდან კი სჩანს, რომ ასეთი მოსაზრება არ არის სწორი. საზღვაო უწყების წარმომადგენელი ადმირალი **ცენკერი** ამ შემთხვევაში უპასუხებდა მხოლოდ შეკითხვაზე, თუ როგორ არის განაწილებული ძალები ბალტიის ზღვაზე და **აგრეთვე ხაზს** უსვამდა **საბჭოთა ფლოტის „თვალსაჩინო წარმატებას“ ბალტიის და შავ ზღვაზე.**

„საბჭოთა ფლოტმა,—სთქვა ცენკერმა,—წარმატებით ჩაატარა თავისი მანევრები. წარმატებით ჩაატარა აგრეთვე ხანგრძლივი მოგზაურობა და მიაღწია კილის ნავთსადგურამდე. **მიღებული ცნობები ამტკიცებენ, რომ საბჭოთა ფლოტის სარდლობა, თუნდაც ტეხნიკურად, კარგადაა მომზადებული.** საბჭოთა ფლოტის მასალა, რამდენადაც შეიძლება ვიმსჯელოთ გარეგანი შეხედულების მიხედვით, სავსებით დამაკმაყოფილებელია. რუსებს აქვთ ორი დიდი დრედნოუტის ტიპის გემი; გარდა ამისა—კარგი გამანადგურებლები და წყალქვეშა ნავები“.

მეორე დღეს თავდაცვის მინისტრმა **გესლერმა** ერთ-ერთი დეპუტატის შეკითხვაზე განაცხადა:

„თუ დეპუტატი იმგვარად სახავს საქმეს, თითქოს ამ გეგმის ჩატარება მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ, მინისტრმა გადაჭრით უნდა გაილაშქროს ამის წინააღმდეგ“.

გესლერის აზრით, პირიქით, საბჭოთა მთავრობა დაინტერესებულია იმით, რათა გერმანიამ სავსებით გამოიყენოს ვერსალის ხელშეკრულებით მინიჭებული ყოველგვარი შესაძლებლობანი.

უკანასკნელი ცნობები

პეკინის დაცვა

პეკინი, 29 მარტი. სახალხო არმიის მოწინააღმდეგენი ნელნელა იწევენ პეკინისკენ, რადგან სახალხო არმიამ გადასწყვიტა დაიცვას პეკინი, სანამ მოლაპარაკება ზავის შესახებ არ დამთავრებულა და არ მისულა განსაზღვრულ შედეგამდე.

27 მარტს ლი-ჩინ-ლინის რაზმმა მიაღწია ხუან-ცზუნამდი, მაგრამ სახალხო არმიამ უკანვე გადისროლა.

უ-პეი-ფუს რაზმმა მიაღწია ძატუნამდი და კიდევაც დაიკავა ის.

მუკდენის ჯარებმა მიაღწიეს ტუნჩჟოუმდი. ხმებია, რომ ამ რაიონში გაცხარებული ბრძოლაა.

ბრძოლა ძალაუფლებისათვის

პეკინი, 29 მარტი, იაპონიის სააგენტო იუწყება, რომ სხვა და სხვა მხედრო ჯგუფები სცდილობენ მიაღწიონ შეთანხმებას.

ამდენ ხანს შეთანხმების ცდა ყოველთვის უშედეგოთ დარჩა. სხვათა შორის უთანხმოებაა ლი-ჩინ-ლინსა და მუკდენის შტაბს შორის.

ლინ-ჩინ-ლინს სურს ჩაიგდოს თავის ხელში კანტროლი პეკინის მთავრობაზე, მაგრამ მას ეწინააღმდეგება მუკდენი.

ლი-ჩინ-ლინის დეპეშა

პეკინი, 29 მარტი. ლი-ჩინ-ლინმა დეპეშით მიმართა სახალხო არმიების მოწინააღმდეგე გენერლებს, რომელშიც ის აღნიშნავს, თუ რაა ქვეყნის უბედურობის მიზეზი. ის ამბობს: „ლი-ჩინ-ლინი ხელისუფლებისათვის კი არ აწარმოებს ბრძოლას, მისი მიზანია წითლების განდევნა“.

ჩინელ რეაქციონერებს „წითლებათ“ მიაჩნიათ არა მარტო კომუნისტები, არამედ ყველა ისინი, ვინც მონაწილეობას ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში.

ინგლისის გავლენით

პარიზი, 29 მარტი. ხმებია, რომ საფრანგეთის მთავრობა ცდილობს შეცვალოს ოსმალეთ - საფრანგეთის ხელშეკრულობის რამდენიმე პუნქტი.

ცვლილება პირველად ყოვლისა უნდა შეეხოს ოსმალეთის მიერ ბაღდათის რკინის გზის სარგებლობის წესებს და აგრეთვე ოსმალეთისა და სირიას შორის საზღვარის დაწესების საკითხს.

ხელშეკრულებაში ცვლილებების შეცვლას საფრანგეთი მოითხოვს, როგორც სჩანს, ინგლისის გავლენით.

როგორც იტყობინებიან ოსმა
წინააღმდეგია რაიმე ცვლი
ტანოს უკვე დადებულ ხე
ლობაში.

აღწერა

მოსკოვი, 30 მარტი.
სახალხო კომისართა სა
ცენტრალურ სტატისტი
თველოს მიმდინარე წელ
მოსახლეობის, ვაჭრობის
რაციის აღწერა ჩრდილო
ნაპირებზე და წყნარ ოკე
ბარე ადგილებში და ციმ
გიერთ რაიონებში.

პრეფექტებიც მიდიან

ვენა, 29 მარტი. გამოქვეყნებული ცნობები, რომ ბრატიანუს მთავრობასთან ერთად სამსახურს თავს ანებებენ პრეფექტები. მთავრობამ წინადადება მისცა პრეფექტებს განაგრძონ სამსახური ახლების დანიშვნამდის.

შეხვედრა

ვარშავა, 29 მარტი. პოლონ
პრემიერმა სკშინსკიმ და მარშალმა პილსუდსკიმ შეხვედრის დროს ისაუბრეს მიმდინარე პოლიტიკურ მომენტზე. საუბარი საათზე მეტი გაგრძელდა.

იაპონელები მექსიკაში

ლონდონი, 30 მარტი. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობით მექსიკის მთავრობამ სამხრეთ კალიფორნიაში იაპონიის სინდიკატს დაუთმო 2 მილ. აკრი მიწა კულტურულ მცენარეულობათა გასაშენებლად. იაპონიის საფეიქრო მრეწველობისათვის.

ამ ფაქტმა დიდი ინტერესი გამოიწვია ვაშინგტონის მთავრობის წრეებში. სახელმწიფო დეპარტამენტი მოუთმენლად მოელის დაწვრილებითი ცნობებს.

ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ

ლონდონი, 30 მარტი. რომიდან მიღებულ ცნობის თანახმად, **გუშინ ამუდსენს ფორმალურად გადაეცა დირიჟაბლი,** რომელიც სპეციალურად აგებულ იქნა ამუდსენის ჩრდილოეთ-პოლიუსზე გასაფრენად. ზეიმს დაესწრენ მუსოლინი და სხვები. ამუდსენი სავსებით კმაყოფილი დარჩა დირიჟაბლით. კვირას, ან ორშაბათს დირიჟაბლი გაფრინდება რომიდან.

საგადასახადო დისციპლინისათვის

მოსკოვი, 30 მარტი. ძერჟინსკიმ **გამოსცა ბრძანება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიმართ საგადასახადო დისციპლინის გაძლიერების შესახებ სახელმწიფო და სამრეწველო დაწესებულებებში.** ბრძანებაში ნათქვამია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის სირთულე ყოველ გადამხდელს ავალებს საგადასახადო ვალდებულებათა უსიტყვოდ, თავის დროზე და სავსებით შესრულებას. ეს კარგად უნდა შეიგნონ პირველ ყოვლისა სახელმწიფო წარმოებებმა, რომელთა მონაწილეობა სახელმწიფო ბიუჯეტში თავ-თავისი გადასახადებით მეტად მნიშვნელოვანია და შეუჩერებლად იზრდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად გადასახადების ერთგვარი ნარჩენები ირიცხება წარმოებებზე, განსაკუთრებით, ცალკე რესპუბლიკებში და ადგილებზე.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო საჭიროდ სთვლის, რომ სახელმწიფო წარმოებებმა თავის დროზე შეიტანონ ფინსახკომის სალაროებში ის გადასახადები, რომელიც მათზე ირიცხება; საბჭო კატეგორიულ წინადადებას აძლევს გადასახადებით დავალიანებულ სახელმწიფო წარმოებებს გააძლიერონ საგადასახადო დისციპლინა, მოსპონ დავალიანება და თავის დროზე გადაიხადონ მიმდინარე წლის გადასახადები.

სამართლის პოლიტიკის საკითხები

1. ამნისტია*)

„ახალგაზრდა კომუნისტის“ № 65-ში „საბჭოთა სასამართლოს“ განყოფილებაში ვკითხულობთ შემდეგს: მოქ. გ. გაზაევმა სად. გორში მდგარ მატარებელში, თანამდებობის შესრულების დროს, მოსთხოვა ერთ მგზავრ ქალს პირადობის მოწმობა. ქალს მოწმობა არ აღმოაჩნდა. გ. გაზაევმა ქალი დაატუსაღა და თან წაიყვანა. რადგან ქალმა ტირილით ვედრება დაუწყო, გ. გაზაევმა უპასუხა, რომ აქ შეუძლებელია განთავისუფლება. ამხანაგები გამინახავენ, გამომყე, მთას მოვეფარებით და გაგიშვებო. ქალი გაჰყვა. მოქ. გ. გაზაევმა ის გააუპატიურა. ქალმა მიმართა ხელისუფლებას. სასამართლომ ბრალდება დამტკიცებულადსცნო და გ. გაზაევს მიუსაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მაგრამ ვინაიდან აღნიშნული ბოროტმოქმედება 1924 წლის ნოემბრის ამნისტიამდეა ჩადენილი, სასამართლომ ორი ამნისტიის შეფარდების შემდეგ ბრალდებული გაზაევი მოსახდელ სასჯელიდან განთავისუფლა“.

სასამართლოს ცხოვრებაში მეტად გახშირდა ამნისტიის ნიადაგზე ბრალდებულის განთავისუფლება. ზოგჯერ ბრალდებული დამტკიცებული ბრალდების შემდეგ თავისუფლდება. ზოგჯერ გამოძიების პროცესში წყდება საქმე და ჯერ კიდევ აღდგენილი არ არის დანაშაულობის შინაარსი და შემადგენლობა, როდესაც ბრალდებული თავისუფლდება.

საჭიროა გამოვირკვიოთ ამნისტიის საკითხის მნიშვნელობა; განვსაზღვროთ მისი მოხმარების არე და მისი მისაღები და მიუღებელი მხარეები.

რას ისახავს მიზნათ სისხლის სამართლის კოდექსი სოციალური დაცვის ღონისძიების (დასჯის) მიმარჯვების დროს?

კოდექსის მე-8 მუხლი გვეუბნება: „სოციალური დაცვის (დასჯის ს. ა.) შეფარდების მიზანია, რათა: ა) დანაშაულის ჩადენა წინასწარვე აცდენილ იქნეს; ბ) საზოგადოებრივად საშიშარ ელემენტებს მოესოთ შესაძლებლობა ახალი დანაშაულის ჩადენისათვის; გ) სამართლის დამრღვევი გამოსწორებულ იქნეს შრომაგასწორების ზეგავლენით და მშრომელთა სახელმწიფოს საერთო ცხოვრების პირობებს შეეგუოს“.

აქ სამართლის მიერ სავსებით უარყოფილია დასჯის ის თეორიები, რომლებიც „საშიშარ მდგომარეობას“ დამნაშავის პერსონალურ პიროვნებაში ეძებენ და დაშინებისა და მოგების კანონებს ამყარებენ მისთვის. სამართალი სდგას მეცნიერულ სიმაღლეზე. ის დანაშაულობას იხილავს, როგორც სოციალ-პათოლოგიურ მოვლენას, ხოლო დამნაშავეს, როგორც საზოგადოებისათვის საშიშარ ელემენტს, რომლისაგან სოციალური დაცვის დროს სამართლისათვის მისაღები ხდება ზოგადი და კერძო გაფრთხილება და დამნაშავის გამოსწორება მშრომელთა სახელმწიფოს საერთო ცხოვრების პირობებთან შეგუების მიზნით.

რა პირობებში შეიძლება, რომ ასეთ მიზანს მიაღწიოს სამართალმა? როგორი უნა იყოს კანონმდებლობა, რომ დამნაშავე გამოსწორდეს და შეეგუოს საერთო ცხოვრებას?

ამისათვის საჭიროა: 1. კანონმდებლობას ჰქონდეს გარკვეული და მტკიცე ხასიათი. 2. გამასწორებელმა დაწესებულებებმა და თვით დამნაშავემ იცოდენ გარკვეულად ის დრო, რომელსაც განსაზღვრავს სასამართლო ამა [illegible] გზა, მეთოდი, რომელიც საჭიროა მოხმარებულ იქნეს დამნაშავეზე ზეგავლენისათვის.

ამნისტიის პრაქტიკა არღვევს სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითად საფუძვლებს. ის გარდუვალ დაბრკოლებებს უქმნის დამსჯელ საქმიანობას.

ყოველ სახელმწიფოში სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოს აქვს შეწყალების უფლება. შეწყალების ერთ ფორმას წარმოადგენს ამნისტია. ჩვენში სახელმწიფომ უეჭველად ფართოდ უნდა გამოიყენოს შეწყალების უფლების ყველა სახე. ეს უნდა ხდებოდეს იმიტომ, რომ მთელი საზოგადოების გარდაქმნის დროს, საზოგადოებრივ ძალთა ადგილ-განაცვლებისა და ახალი იერარქიის დამყარების პროცესში ერთი მხრივ იზრდება დანაშაულობა, იზრდება საზოგადოების „კრიმინალური ხარჯები“, მეორე მხრით, სამართალი ვერ ასწრებს ახალ რთულ და მრავალ მოვლენების მოწესრიგებას. ასეთ პირობებში სახელმწიფოს უმაღლესი ორგანო მოვალეა შეავსოს საკანონმდებლო საქმიანობის დეფექტები, გახადოს კანონმდებლობა მოქნილი და ელასტიური.

ამდენათვე სახელმწიფოს ხელში უნდა იყოს ამნისტიის უფლება. ის უნდა მიმართავდეს მას, როგორც სამართლის განაჩენის შემსუბუქების საშუალებას. მაგრამ აქ არ უნდა დაირღვეს ზომიერება, თუ შეწყალების აქტები გახშირდა, მაშინ დიდი ზიანი მიადგება სოციალური დაცვის ზომებს, მაშინ შეუძლებელი შეიქნება სისხლის სამართლის პოლიტიკის წარმოება. დამნაშავე, შეწყალების სიხშირის დროს, თავის ბოროტმოქმედული საქციელის კონტრმოტივათ, გამაფრთხილებელ ზომათ არ სახავს სამართლის ნორმებს, რომელიც მის საქციელს მოჰყვება, როგორც აუცილებელი იურიდიული შედეგი. ის ანგარიშში იღებს ამნისტიების სიხშირეს და არ [illegible]

ავიღოთ მოყვანილი მაგალითი. მოქ. გაზაევმა ქალი გააუპატიურა. სასამართლომ მას მიუსაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, **მაგრამ ორი ამნისტიის შეფარდების შემდეგ ის მოსახდელ სასჯელიდან განთავისუფლა.**

ამ შემთხვევაში არც მომჩივანისა, არც მოპასუხისა და არც საზოგადოებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს 3 წლით თავისუფლების აღკვეთას, რომელიც თეთრზე შავით აღინიშნება სასამართლოს ოქმში. მნიშვნელოვანია, **მაგრამ**, რომელსაც მოჰყვება **ამნისტიების შეფარდება**, რაც დამნაშავეს დაუსჯელად სტოვებს: გამოდის რეალური ეფექტი, რომ გაუპატიურება არ ისჯება. ეს კი არღვევს დასჯის პრინციპს, რომელიც ჩვენ მივაყენეთ კოდექსიდან.

აქ სასამართლოს დადგენილება არა თუ გამაფრთხილებლად მოქმედობს საზოგადოებრივად საშიშარ ელემენტებზე, არამედ წამაქეზებლად. შეიძლება გ. გაზაევის თანამოსამსახურესაც მატარებელში მოეწონოს ვინმე, ისევე მოიქცეს, როგორც გ. გაზაევი, იმ იმედით, რომ მას ამისათვის არავინ დასჯის. აქ შეუძლებელი ხდება დამნაშავის გამოსწორება, რადგან მას: 1. არ სჯერა კანონის სიმტკიცე, რომ მით იხელმძღვანელოს შემდეგ ცხოვრებაში. 2. მას ეკარგება ნებადართულისა და აკრძალულის გამიჯვნის პრინციპი, რადგან სასამართლომ ის არ დასაჯა აკრძალული საქციელისათვის. 3. მას გზა ეხსნება რეციდივისათვის, დანაშაულობის განმეორებისათვის, რადგან იცის, რომ ასეთი დანაშაული არ ისჯება.

ვსთქვათ, რომ მოქ. გაზაევს მიუსაჯეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მან დაჰყო გამასწორებელ სახლში ერთი წელი, ხოლო ამნისტიამ ორი დანარჩენიდან გაანთავისუფლა. ამ შემთხვევაშიაც ამნისტია მიზანშეწონილი არ არის. გამასწორებელ დაწესებულებაში მყოფზე [illegible] გუოს საერთო ცხოვრების პირობებს. თუ ამ ზემოქმედებას სწყვეტენ ხშირად შეწყალების, ამნისტიის აქტები, აქედან მივიღებთ:

1. ზემოქმედების შეუსრულებლობას, დამნაშავის გაუსწორებლობას; სახელმწიფოს მიერ იმ ხარჯების უქმათ გაწევასაც, რომელიც ამ მიზნით იყო გაღებული დამნაშავეზე.

2. საშინელ ნერვიულობას გამასწორებელ დაწესებულებებში, რომელიც აღმოცენდა შეწყალების, ამნისტიის მოლოდინით, დამნაშავე საკუთარი დანაშაულობის მაგივრად მიეცემა ლოდინს, მოუთმენელ ლოდინს, რომ შეიძლება მოხდეს ამნისტიის აქტი და განთავისუფლდეს. ნერვიულობა დამნაშავის შერყეულ, არანორმალურ სულიერ ცხოვრებას კიდევ მეტად არყევს და გასწორების მაგივრად მას უფრო ამახინჯებს და აშორებს წესიერ მსჯელობისა და ცხოვრების პირობებს. სამწუხაროთ ჩვენ არა გვყავს კრიმინალური ფსიქოლოგიის მკვლევარნი, თორემ დიდ მასალას ვიპოვიდით ამ მხრივ ჩვენი გამასწორებელი დაწესებულებებიდან. არც ერთ ჩვენს დასჯილს არ სჯერა სასჯელის სიმტკიცე. თუ მას მიუსჯიან 10 წლით თავისუფლების აღკვეთას სასტიკი იზოლიაციით, ის რამდენიმე თვის შემდეგ ყოველ დღე ელის განთავისუფლების ქაღალდს. დამნაშავე მართალია, რომ ელის ასეთ ქაღალდს, რადგან ჩვენში მეტად გახშირდა ამნისტიები და სასამართლოს მიერ მისჯილმა გასწორების ნორმამ დაჰკარგა მტკიცე საფუძველი.

ვისთვის არის ასეთი მდგომარეობა სასარგებლო? არავისათვის. ამნისტიების სიხშირის უარყოფითი მხარეები აშკარაა: 1. ის სამართალს უკარგავს სიმტკიცეს; 2. დამნაშავენი და საზოგადოებისთვის საშიშარი ელემენტები ვეღარ ღებულობენ გაფრთხილებას; 3. შეუძლებელი ხდება დასჯილზე ზემოქმედების მოხდენა; 4. ტყუილად იხარჯება სახელმწიფოს თანხები გასწორების ზეგავლენისათვის, როდესაც გასწორების ზომები ბოლომდე არ რჩება მიყვან[illegible] 5. [illegible] დამნაშავეთა სულიერი ცხოვრებისა კიდევ უფრო შერყევა და დაზიანება.

ამ გარემოების საერთო შედეგი კი ცხადია: სისხლის სამართლის პოლიტიკის მოშლა, სამართლის ავტორიტეტის დაცემა და დანაშაულობის ჯამის გადიდება.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამნისტიის როლი მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული. ის შეიძლება მოვიხმაროთ ისეთ შემთხვევებში, როდესაც არ ავნებს სამართლის პოლიტიკას, როდესაც დამნაშავის გასწორების საკითხი არ სდგას, ხოლო საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, დასჯის შემდეგ პირობების შეცვლის გამო, დამნაშავე არ წარმოადგენს უკვე საშიშარ ელემენტს. ასეთ შემთხვევათ შეიძლება მივიჩნიოთ პოლიტიკური დანაშაულობანი. ვსთქვათ, ვინმე ივანეს, მებრძოლს არსებული წყობილების წინააღმდეგ, სასამართლომ მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. გავიდა სამი წელი. სახელმწიფოს ცხოვრება იმდენათ მტკიცეა, რომ ივანე არ წარმოადგენს მისთვის საშიშარ პიროვნებას, ვსთქვათ, მისი ორგანიზაცია აღარ არსებობს, რომლის საშუალებით ის განაახლებდა ბრძოლას წყობილების წინააღმდეგ. ივანეს საბოლოო გასწორების იმედი კი არ არის. ის მტკიცედ სდგას თავის შეხედულებებზე. ასეთ შემთხვევაში არავითარი აზრი არ აქვს ივანე სახელმწიფომ არჩინოს 10 წ. გამასწორებელ სახლში, აქ უმჯობესია, რომ ის ამნისტიის ძალით განთავისუფლდეს, როგორც ისეთი პირი, რომელიც აღარ არის საშიში წესწყობილებისათვის. აქ ამნისტიას აქვს აზრი, მაგრამ ვსთქვათ, რომ ეს ივანე კაცის მკვლელია გაძარცვის მიზნით. მაშინ ამნისტია დაუშვებლად უნდა მივიჩნიოთ. მაშინ თუ ივანე განთავისუფლებულ იქნება, არავითარი საფუძველი არა გვაქვს, რომ კიდევ არ გახდეს ის საშიშარ პიროვნებათ, კიდევ არ ჩაიდინოს დანაშაული.

ამიტომ ჩემის აზრით: 1. ამნისტია უნდა [illegible] მხოლოდ [illegible] სისხლის [illegible] მტკიცედ უნდა ექვემდებარებოდეს კოდექსის ნორმებს. თუ ხელისუფლებას კოდექსის ნორმები არ მიაჩნია მიზანშეწონილად რომელიმე ნაწილში, მას უნდა ასწორებდეს საერთო საკანონმდებლო გზით, უნდა სცვლიდეს ამ ნორმებს სხვა ნორმებით. 2. სახელმწიფოს უმაღლ. ორგანო უნდა იტოვებდეს შეწყალების უფლებას იმ შემთხვევაში (როგორსაც უკვე იცნობს კოდექსი), როდესაც უზენაეს სასამართლოს დადგენილებით დამნაშავეს ენიჭება უფლება მიმართოს შეწყალებისათვის სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფლებას.

ჩვენ ვფიქრობთ, ეს სახელმძღვანელო დებულებანი გამოასწორებდა იმ არევ-დარევას, რომელსაც ადგილი აქვს სამართლის პოლიტიკის დარგში.

ს. ამაღლობელი.

საბჭოთა პრესა

საჭიროა „ნაკაზების“ მტკიცედ განხორციელება.

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების უკანასკნელ არჩევნების დროს განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა მუშათა მასების აქტივობა. ეს, სხვათა შორის, გამოიხატა მათ მიერ მომავალ მუშაობის დირექტივების მიცემაში პროფორგანოსათვის. ამ დირექტივებში, განაწერებში („ნაკაზ“). აღნუსხულია მუშების საჭიროებანი და პროფკავშირების მუშაობის ნაკლულევანებანი.

მუშათა მატერიალურ ინტერესების და უფლებების დაცვის, მათი ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, კულტურულ მოღვაწეობის, მასებზე ხელმძღვანელობის და სხვა დარგებში მუშები თავიანთ ნაკაზებში იძლეოდენ კონკრეტულ შენიშვნებს, აყენებდენ საყურადღებო მოთხოვნებს. ცხადია, რომ მუშათა ფართე ფენები ცხოველ ინტერესს იჩენენ საკავშირო მუშაობისადმი, მოწადინებული არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ თავის ქვედა საკავშირო ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაში და გააჯანსაღონ იგი. ჩვენს ამოცანას შეადგენს მუშათა ამ აქტივობის უფრო გაზრდა.

„ამის მიღწევას ჩვენ შევსძლებთ მხოლოთ მაშინ,—სწერს გაზ. „ტრუდ“,—როდესაც ნაკაზები მარტო „საქმეში არ ჩაეკერებიან“, არ დარჩებიან ქაღალდის მკვდარ ნაგლეჯებათ, არამედ ნამდვილათ იქნებიან მიღებულნი სახელმძღვანელოთ [illegible] საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების მიერ. [illegible] საკავშირო [illegible] თვითეულმა საფ.-საქ. [illegible] ებასთან, ამი[illegible] და ხანგრძლივ [illegible] მოვალეობასაც [illegible] საპატიო ადგილი უჭირავს ზოგიერთა მათ[illegible] ხოვრებისათვის [illegible] ლება, რასაც მუშათა განაწესები შეიცავენ.

საჭიროა აგრეთვე, რომ პროფკავშირის ზევით მდგარი ორგანო ღებულობდეს საერთო კრებებზე დამტკიცებულ განაწესებს, გულდასმით სწავლობდეს და არა მარტო თვალყურს ადევნებდეს მათ შესრულებას სათანადო საფ.-საქ. კომიტეტების მიერ, არამედ თავის მუშაობასაც აშენებდეს ამ მუშურ წინადადებების საფუძვლებზე.

იმ საკავშირო ინსტრუქტორებს, რომელნიც იგზავნებიან საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მუშაობის გამოსარკვევათ, უნდა მიეცეს მტკიცე დირექტივი, რომ გამოკვლევა დაიწყონ პირველ ყოვლისა იმის შემოწმებიდან, თუ რამდენად შესრულა ქარხკომმა მისთვის მუშების მიერ მიცემული განაწესი. ყველა საკავშირო ორგანოების მხრივ მუშების განაწესებისადმი მხოლოთ ასეთი უაღრესათ გულდასმითი დამოკიდებულების დროს შეგვიძლია მივაღწიოთ მუშათა ფართე მასების აქტივობის უფრო გადიდებას“.

სრული ჭეშმარიტებაა. მუშათა განაწესების პრაქტიკა უბრალო „ფორმისათვის“ კი არ არის შემოღებული,—ეს განაწესები შეიცავენ პროფორგანოების მუშაობის ნამდვილ პროგრამას, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მათ საქმიანობას. მხოლოდ მაშინ დაინახავენ მუშები, რომ მათ სიტყვას და აზრს გასავალი აქვს; მხოლოდ ამ გზით დაუახლოვდებიან პროფკავშირებს და მასიურად ჩაებმებიან მათ საქმიანობაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანად [illegible]

„—ტვაია უენა ნე კრასავეცს, [illegible]
ნე ზოლოტო! ტი ნე ხარო[illegible]
და გოგონა გარბის მოღოგადოებრ[illegible]
რომ ახლა იმათ შესახებ ქებაშა-ქება.
მაგრამ ვინ იცის! ისინი კი [illegible]
იმის მოსწრებულ ოქროპირობ[illegible]

---

*) კამათის წესით.

[illegible] ქა ვერ ვნახეთ. ნუ თუ იმის ღირსიც არა ვართ, რომ ჩვენც გვაჩვენოთ კარგი სურათები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის კრედიტები

ბერლინი, 30 მარტი. როგორც სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, გერმანიის მრეწველნი საბჭოთა კავშირს კრედიტებს მიაწვდიან იმ კრედიტების ანგარიშზე, რომელიც მათ გახსნილი აქვთ ამერიკაში. **კრედიტების პირველი თანხა უდრის 40 მილ. დოლარს.**

ბრიანის კაბინეტის ბედი

პარიზი, 30 მარტი. „ჟურნალის" ცნობით, **სოციალისტები და კომუნისტები ხმას მისცემენ მთავრობის საფინანსო პროექტების წინააღმდეგ,** რომელთა განხილვა დეპუტატთა პალატაში დაიწყება დღეს. ამრიგად, კაბინეტის ბედი დამოკიდებულია მემარჯვენე პარტიების პოზიციისაგან.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

აკადემიკოს ცისტოვიჩის გარდაცვალება.

ლენინგრადი, 30 მარტი. გარდაიცვალა სამხედრო საექიმო აკადემიის უძველესი პროფესორი, გამოჩენილი ტერაპევტი, აკადემიკოსი **ჩისტოვიჩი.** ჩისტოვიჩი გაცივდა ავადმყოფთან წასვლის დროს.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა.

მოსკოვი, 30 მარტი. **ლითონის მთავარ სამმართველოს განზრახული აქვს როსტოვში სასოფლო-სამეურ[illegible]ნქანების ქარხნის აშენება.** რო[illegible] ქალაქის საბჭო უთმობს ქარ[illegible] დესეტინა მიწას ნახიჩევა[illegible]ურის მახლობლად. წინასწა[illegible] სამზადებელი მუშაობა დაიწყე[illegible]ვნებლივ საამშენებლო [illegible]ნის შემდეგ. ქარხნის [illegible] მთავარი მუშაობა და[illegible] წლ. გაზაფხულზე და [illegible] 1929—30 საოპერაციო [illegible]

[illegible]ივი მნიშვნელობის [illegible]ების გადაცემა.

[illegible]ვი, 30 მარტი. რუსეთის [illegible]ოქმედების სახალხო კომისა[illegible]ტის ცნობებით, **ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გადაცემა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს:** გამოკვლეულ 21.573.700 დესეტინიდან **გლეხებს გადაეცა 15.982.000 დესეტინა ტყე;** გარდა ამისა, სადგილ-მამულო ფონდში გადავიდა—5.291.700 დესეტინა.

ტრაქტორების შემოტანა.

მოსკოვი, 30 მარტი. რუსეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობების თანახმად, **წელს სოფლებში დაიგზავნა 6.621-დე ტრაქტორი.**

ავსტრიის მუშათა დელეგაციის მოწოდება.

მოსკოვი, 30 მარტი. ავსტრიის მუშათა დელეგაციამ სამშობლოში დაბრუნების წინ მიმართა მოსკოვის მუშებს მოწოდებით, რომელშიაც **გულითად მადლობას უცხადებს მოსკოვის პროლეტარიატს განსაკუთრებული ყურადღებისათვის.**

„ჩვენს მოგზაურობას, — ამბობენ დელეგატები,—დიდი შედეგები მოჰყვა. ჩვენ გაძლევთ პირობას მოუთხრათ ავსტრიის პროლეტარიატს, რაც ჩვენ აქ ვნახეთ და გავიგეთ. **თქვენმა უდიდესმა მიღწევებმა სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში განამტკიცეს ჩვენი რწმენა გამარჯვებაში; ჩვენ ვსდებთ აღთქმას, რომ ჩვენი მუშათა კლასის მასებს შორის გავავრცელებთ სიმართლეს საბჭოთა რუსეთის შესახებ.**

ჩვენ გავაძლიერებთ ავსტრიის პროლეტარიატის ბრძოლას პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობისათვის".

ეკონომიის რეჟიმისათვის კოოპერაციაში.

მოსკოვი, 30 მარტი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ და მუშათა ცენტრ. სექციამ მიმართეს ყველა ადგილობრივ კოოპერატიულ და პროფკავშირთა ორგანიზაციებს მოწოდებით იბრძოლონ მომჭირნეობის რეჟიმისათვის კოოპერაციაში.

მეორე საგლეხო სესხი

მოსკოვი, 30 მარტი. საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატმა დაადგინა, რომ **მე-2 საგლეხო სესხის ობლიგაციები,** რომლებიც გაცემულია პირველ საგლეხო ხუთ პროცენტიან სესხის დასაფარავად, **გათამაშებული იქნებიან აპრილის ტირაჟის დროს.**

ქარხანა „კრასნაია ზვეზდას" წარმოება

ზინოვიევსკი, 30 მარტი. **სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანამ „კრასნაია ზვეზდა"-მ მიაღწია ამ ჟამად წარმოების დიდ სისწრაფეს.** ქარხანა ყოველ ორ წუთში უშვებს 1 სათეს და ყოველ 5 წუთში 1 სალეწავ მანქანას. ამ დღეებში ქარხანამ გამოუშვა ამერიკული სისტემის სალეწი მანქანა. ასეთი მანქანა პირველად მზადდება საბჭოთა ქარხნებში.

უკრაინა

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის.

კიევი, 30 მარტი. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გამოფენის ორგანიზაცია დაჯდება 5 მილიონ მანეთი. ყველაზე მოხერხებული ადგილია გამოფენისათვის ქალაქის ბაღის ტერიტორია. ამ ჟამად საორგანიზაციო კომიტეტს მოდის შეკითხვები არა მარტო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილებიდან, **არამედ საზღვარგარეთიდანაც, რაც ამტკიცებს იმას, რომ გამოფენით დაინტერესებული არიან სამეცნიერო და სამრეწველო წრეები.**

უკრაინის ქარხნების გამოკვლევა

ხარკოვი, 30 მარტი. ამას წინად სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და უკრაინის პროფკავშირთა საბჭოს პარიტეტულმა კომისიებმა დაამთავრეს უკრაინის ქარხნების დათვალიერება შრომის ნაყოფიერების დაცემის მიზეზების გამოსარკვევად. გამოკვლეული იყო კრამატორის ქარხანა, დონის ნახშირის გარლოვის მადნეულობის სამმართველო, სამხრეთ. მადანის ტრესტის ქარხანის ლენინის მადნეულობის სამმართველო, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა „კრასნაია ზვეზდა" და სხვები.

უკრაინის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შრომის ეკონომიკის განყოფილების გამგემ **იურიევმა** განუცხადა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს, რომ გამოკვლევამ დაადასტურა უკრაინის მრეწველობის შრომის ნაყოფიერების დაცემის ფაქტი. ბევრ შემთხვევაში შრომის ნაყოფიერების დაცემა აიხსნება ქარხნების მოწყობილობის გაცვეთით, ნედლი მასალის დაბალი ხარისხით და ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსონალის ნაკლებობით.

შრომის ნაყოფიერების დაცემაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რათქმა უნდა მუშა-ხელი, რომელიც წელს შევსებულია არა კვალიფიციურ მუშებით. გამოკვლევამ ნათელ ჰყო შრომის დისციპლინის დაცემა მუშებს შორის და გაცდენილი დროის ზრდა. სამუშაო დღის გაცდენას ადგილი აქვს საეკლესიო დღესასწაულების დროს და ჯამაგირის მიღების შემდეგ. კერძოთ, კრამატორის ქარხანაში შრომის ნაყოფიერება მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში დაეცა 8½ პროცენტით წინა მეოთხედთან შედარებით. გაცდენილ დროის რაოდენობა აღწევს საერთო სამუშაო დროის 20%-ს.

აღნიშნულია ავადმყოფობის სიმულიაციის შემთხვევები. იყო შემთხვევები, როდესაც ცეხს აკლდა მუშების ერთი მესამედი.

საფეიქრო ფაბრიკებში დროებით მუშაობის შეწყვეტა

მოსკოვი, 30 მარტი. ფეიქართა კავშირის ცეკასთან გაიმართა თათბირი საფეიქრო ფაბრიკებში მუშაობის დროებით შეწყვეტის შესახებ.

თათბირმა მოისმინა დიდ საფეიქრო რაიონების საგუბერნიო განყოფილებათა წარმომადგენლების მოხსენება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლის მიღებასაც აპირებენ საკავშირო ორგანიზაციები სამეურნეო ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

ვლადიმირში საფეიქრო ტრესტი შესწყვეტავს ფაბრიკების მუშაობას სააღდგომოთ 5 დღით. ხელფასი ანაზღაურებული იქნება 15 პროცენტის რაოდენობით, ხოლო კომუნალური სამსახური ანაზღაურებული იქნება მთლიანად. ფეიქარ მუშების შემცირება არ არის გათვალისწინებული.

გუსევის კომბინატში ფაბრიკები შესწყვეტენ მუშაობას ორი კვირით. მუშების შემცირება არაა ნავარაუდევი. ამ დღეებში გაიხსნა ახალი საფეიქრო ფაბრიკა, რომელიც სავსებით უზრუნველყოფილია ნედლი მასალით.

ტვერის ტრესტში სააღდგომოთ მუშაობა შეწყვეტილი იქნება 9 დღით, საზაფხულოდ კი—7 დღით. მუშაობა არ იქნება შეწყვეტილი მხოლოდ მექანიკურ განყოფილებებში. ხელფასი შეწყვეტის დროს ანაზღაურებული იქნება 50 პროცენტით.

ლენინგრადში მდგომარეობა ასეთია: პენკოვის ტრესტში მუშაობა არ შესწყდება. ვიგონიევის ტრესტში—მდგომარეობა გამოურკვეველია. ლენინგრადტრესტმა გადასწყვიტა შეაჩეროს მუშაობა 3 დღით. საზაფხულო შეწყვეტა დამოკიდებული იქნება ნედლი მასალის რაოდენობაზე. ლენინგრადის საფეიქრო მრეწველობაში არსებობს სამუშაო ძალის ზედმეტი რაოდენობა. მაგრამ მასიური შემცირება არ არის მოსალოდნელი.

იაროსლავლში ფაბრიკა „კრასნი პერეკოპ"-ში გაზაფხულზე მუშაობა შესწყდება 14 დღით და ზაფხულზე—8—10 დღით ნედლი მასალის რაოდენობის მიხედვით.

ივანოვო - ვოზნესენსკის ტრესტის ფაბრიკებში მუშაობა შეწყვეტილი იქნება 10 დღით.

მოსკოვში—მდგომარეობა ასეთია: „მოსტრიკოტაჟ"-ის ფაბრიკები იმუშავებენ შეუწყვეტლივ. კამვოლის ტრესტში მუშაობა შეწყვეტილი იქნება 4 ფაბრიკაში 10 დღით; ბოგოროდსკის აბრეშუმის ტრესტში შეწყვეტილი იქნება მუშაობა მხოლოდ 4 ფაბრიკაში 10 დღით; მოსკოვის ბამბის ტრესტში ყველა ფაბრიკები გაჩერებული იქნებიან 1 თვით, ხოლო საქსოვი ფაბრიკა—7 დღით; პრესნას ტრესტში მუშაობა შეწყვეტილი იქნება 18 დღით; სერპუხოვის ტრესტში—10 დღით; „მოსსუკნო"-ში 15 ფაბრიკაში შეწყვეტილი იქნება მუშაობა 2 კვირით; ორეხოვო-ზუევის ტრესტში ყველა ფაბრიკები შესწყვეტენ მუშაობას 10 დღით; „მესტროტკან"-ში—10 დღით.

მუშები შეგნებულად შეხვდენ ფაბრიკების მუშაობის შეწყვეტას და მზად არიან თავის მხრივ ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ სამეურნეო ორგანოებს ნორმალურ მუშაობის განახლებისათვის.

ფეიქართა ცეკას სატარიფო-ეკონომიურ განყოფილების გამგემ **სიმბრადტმა** თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნა, რომ მუშაობის შეწყვეტის ვადას მთლიანად განსაზღვრავენ სამეურნეო ორგანოები შექმნილ პირობების მიხედვით. საკავშირო ორგანოები არ უნდა ჩაერიონ ამ საკითხის გადაჭრაში. საჭიროა, რათა კომუნალური სამსახური ანაზღაურებული იქნას სავსებით და ხელფასის გასტუმრება მოხდეს თავის დროზე; სასურველია ეს მოხდეს წინდაწინ მუშაობის შეწყვეტამდე.

მუშების შემცირება გათვალისწინებულია მხოლოდ მოსკოვში და ნაწილობრივ ლენინგრადის რაიონში. კავშირი თავის მხრივ მიიღებს ყოველგვარ ზომებს შემცირებულ მუშებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

თათბირზე განხილულ საკითხების საბოლოოთ გადაწყვეტა დაევალა განსაკუთრებულ კომისიას.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი

ხარკოვი, 29 მარტი. უკრაინის კომპარტიის საკონტროლო კომისიის პლენუმზე მოხსენება გააკეთა საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. **იაროსლავსკიმ,** რომელმაც განაცხადა:

„საკონტროლო კომისიების მორიგი ამოცანაა უკრაინის დაბალი საფეხურის საბჭოთა აპარატის სასოფლო უჯრედების გამოკვლევა. ეს ამოცანა მეტად რთული და ძნელია.

საბჭოთა რუსეთის სასოფლო უჯრედების გამოკვლევის დროს დაშვებულ იქნა შეცდომები, რომელთაც უნდა ერიდონ უკრაინელი ამხანაგები.

სასოფლო უჯრედების გამოკვლევის დროს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გამოკვლევის ობიექტად ამორჩეულ იქნენ უფრო ცუდი და არა უფრო კარგი უჯრედები.

საბჭოთა კავშირში გამოკვლევის დროს საკონტროლო კომისიებმა საუკეთესო უჯრედები აირჩიეს.

ამ გამოკვლევამ მოგვცა ხელსაყრელი სურათი, რომლის მიხედვით სასოფლო უჯრედებში ყველაფერი რიგზეა.

ასეთი გამოკვლევა სრულებითაც არ არკვევს ამა თუ იმ გუბერნიის სასოფლო უჯრედების ფაქტიურ მდგომარეობას.

საკონტროლო კომისიების მთელი ყურადღება მიქცეულ უნდა იქნეს იმ უჯრედების გამოკვლევაზე, რომლებზედაც არსებობს გლეხების საჩივრები.

ამ გამოკვლევის ჩატარების დროს, საკონტროლო კომისიის ორგანოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ ის, რომ ზოგიერთი სასოფლო უჯრედები შეეცდებიან დაფარონ თავისი ნაკლი და ჩადენილი ბოროტმოქმედება.

მეორეს მხრივ, ვიღებთ რა მხედველობაში სასოფლო უჯრედების სიშორეს პროლეტარულ და კულტურულ ცენტრებიდან და უმაღლეს პარტიულ ორგანოების მიერ ამ უჯრედების ხელმძღვანელობის სისუსტეს, რაც შეიძლება ფრთხილად უნდა მოვეპყრათ უჯრედის ამა თუ იმ წევრზე რაიმე სასჯელის დაწესების საკითხს.

უნდა დაწვრილებით შესწავლილ იქნეს თვითეული სოფლელი კომუნისტის ცხოვრების პირობები.

სოფლელ კომუნისტებს ვერ მივუდგებით იმ საზომით, რომელსაც ვხმარობთ ქალაქელი კომუნისტების მიმართ.

ამიტომ არ შეიძლება პარტიიდან გამორიცხვა იმ სოფლელი კომუნისტის, რომელიც აუმჯობესებს და აძლიერებს თავის მეურნეობას.

სოფლელი კომუნისტი უნდა იქნეს სამაგალითო მეურნე იმისათვის, რომ მან გავლენა მოიპოვოს უპარტიო გლეხთა მასებზე".

სხვადასხვა

ინფლიაციის დროს. პარიზის მუნიციპალურმა საბჭომ წამოაყენა წინადადება უცხოელებისათვის ინფლიაციის დროს საფრანგეთში უძრავი ქონების შესყიდვის აკრძალვის შესახებ.

ინგლისის ბიუჯეტი. ამჟამად გამორკვეულია, რომ თუ მხედველობაში მიღებული იქნება ნახშირის მრეწველთათვის სესხის მიცემა, ხაზინის კანცლერი **ჩერჩილი** საფინანსო წლის დასაწყისშივე მარტს მიიღებს შემოსავლის სიჭარბეს გასავალზე. შემოსავალი გასავალს უნდა აღემატოს 2 ნახ. მილ. ან 4 მილიონი გირ. სტერლინგით.

იანვარში მოსალოდნელი იყო დეფიციტი. შემოსავლის დაგვიანებით შემოსვლამ ხელი შეუწყო ბიუჯეტის წონასწორობის აღდგენას.

44 დღის შიმშილობა. ბერლინიდან მიღებული ცნობით, **ჟოლიმ** აიღო შიმშილობის მსოფლიო რეკორდი. მან ისიმშილა 44 დღის განმავლობაში. ჟოლიმ დაჰკარგა 25 გირვანქა. ის დააწვინეს კლინიკაში.

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარულად.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ყველა რაიკომებს, უჯრედებს, ყველა წევრებს და კანდიდატებს

ძვირფასო ამხანაგებო!

აპრილის დასაწყისში თბილისის კომიტეტის პლენუმის დადგენილების თანახმად დაიწყება უჯრედთა ბიუროების ხელ-ახალი მორიგი არჩევნები.

მუშათა კლასის და მცხოვრებთა ყველა ფენების პოლიტიკურ აქტივობის ზრდასთან დაკავშირებით, პარტიის ხელმძღვანელობის ამოცანები პროლეტარიატის და ყველა მშრომელთა მასიურ ორგანიზაციების მიმართ რთულდება. პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერება ჩვენი საალმშენებლო მუშაობის ყველა დარგებში, რაც საჭიროა დღევანდელ რთულ პირობებში უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, შეიძლება მიღწეული იქნას მხოლოდ პარტმუშაობის გაცხოველების და გაღრმავების პირობებში.

ამიტომ პარტიის თბილისის კომიტეტი პარტიული მასის ყურადღებას აქცევს უჯრედთა ბიუროების ხელ-ახალი არჩევნების კამპანიას, რამდენადაც ჩვენი ორგანიზაცია კიდევ უფრო განმტკიცებული უნდა გამოვიდეს.

ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც აქვს ბიუროების ხელ-ახალ არჩევნებს ჩვენი ნაკლულოვანებათა კოლექტიურ განხილვაში და ღონისძიებათა გათვალისწინებაში პარტიული მასის ჩასაბმელად და მთელი პარტიული მუშაობის გასაჯანსაღებლად, კიდევ უფრო ძლიერდება იმით, რომ უჯრედთა ბიუროების რწმუნების ვადა გაგრძელებულია 6 თვემდე.

თბილისის კომიტეტს საჭიროთ მიაჩნია მომავალი ხელ-ახალი არჩევნები ჩატარებული იქნას თვითშემოწმების ლოზუნგით, ე.ი. ჩატარებული იქნას იმნაირად, რათა რაც შეიძლება მეტმა პარტიულმა ამხანაგებმა მიიღონ მონაწილეობა უჯრედში დასმული საკითხების განხილვაში და გადაწყვეტაში და გამოაშკარავებული იქნას ყველა ჩვენი დაბალი საფეხურის უჯრედთა ნამდვილი მდგომარეობა.

მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩვენი ორგანიზაციის უჯრედები და ხელმძღვანელი ორგანოები შესძლებენ ნამდვილ ზომების მიღებას პარტიული რიგების განსამტკიცებლად.

იმისათვის, რათა გამოირკვეს უჯრედთა მთელი პარტიული მუშაობა და მათი აქტივობა, პარტხელმძღვანელობის ამოცანების განხორციელების სისწორე, მასიური მუშაობის მდგომარეობა, ბიუროების ანგარიშებთან ერთად საჭიროა მოსმენილი იქნას კომკავშირის უჯრედთა თანამოხსენებანი ფაბრიკა - ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტების ანგარიშები და წარმოება-დაწესებულებათა პარტიულ - ხელმძღვანელობის მოხსენებანი.

მოხსენებების შედგენის დროს მაქსიმალური შედეგების მისაღწევათ უნდა ვერიდოთ ზერელე ფრაზებს და ციფრების სიმრავლეს. მოხსენებები უნდა იქნეს რაც შეიძლება მოკლე და შინაარსიანი. მოხსენებებში არ არის საჭირო თავის ქება ან თავის თავის გამართლება. ყველა საკითხები დაკავშირებულ უნდა იქნეს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მდგარ საერთო ამოცანებთან.

ამ კამპანიის პროცესში უჯრედები უნდა გაეცნონ ჩვენი მეურნეობის საკითხებს, შრომის ნაყოფიერების მდგომარეობას, საწარმოო კომისიების და თათბირების მუშაობას. საჭიროა გამორკვეულ იქნეს რამდენად დაცულია ამა თუ იმ ორგანოში ეკონომიის რეჟიმი, რომელიც არის სამეურნეო ფრონტზე ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, და რა მონაწილეობას იღებდა მთელ ამ მუშაობაში უჯრედი. ამასთანავე ერთად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს უპარტიო მასების — მუშების და მოსამსახურეების განწყობილების გამომჟღავნებას, მათ მიერ ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის მორიგი ამოცანების შეთვისებას.

უჯრედის მიერ ყველა ზემოდ აღნიშნულ საკითხების განხილვის საშუალებით უნდა შედგენილ იქნეს ყოველმხრივ დამუშავებული პრაქტიკული წინადადებები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს ბიუროს ახალმა შემადგენლობამ.

გადარჩევის დროს დაცულ უნდა იქნეს შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპები და მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნენ პარტიულთა ახალი ფენები. ამასთანავე ერთად საჭიროა სწორი პარტიული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა, საჭიროა წამოყენება პოლიტიკურად მომზადებულ ამხანაგების, რომელთაც გამოიჩინეს პრაქტიკულ პარტიულ - საზოგადოებრივ მუშაობის უნარი. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ისეთი მტკიცე და მუშაობის უნარის მქონე ბიუროს შედგენა, რომელიც გაატარებს ცხოვრებაში მიღებულ დირექტივებს და იხელმძღვანელებს ამ დირექტივებით მომავალ მუშაობაში.

ამავე დროს თბილისის კომიტეტი აუცილებლად სთვლის რაიკომის და უჯრედების მხრივ ცალკე წინადადებების სისწორით აღრიცხვას, რაც მდიდარ მასალას შეადგენს შემდეგი მუშაობისათვის. როგორც მოხსენებები, ისე კამათი და გადარჩევა უნდა დამთავრდეს უჯრედის ორ დახურულ სხდომაზე. საჭიროა ეს სხდომები ზედიზედ იქნეს მოწყობილი. ამავე დროს უნდა მოხდეს პარტიის წევრების და კანდიდატების უფლებების განსაზღვრა პარტიის წესდების მიხედვით.

უჯრედთა ბიუროების გადარჩევა უნდა დამთავრდეს აპრილის განმავლობაში, რათა თავის დროზე გაკეთებულ იქნეს გადარჩევის ჯამი და მიღებულ იქნეს ზომები ნაკლულოვანებათა გამოსასწორებლად.

თბილისის კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს სერიოზულად მოეპყრან მიმდინარე კამპანის და გამოიჩინონ რაც შეიძლება მეტი აქტივობა მის ჩატარებაში.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

მოძრავი პოლიტსკოლების შესახებ

მოძრავი პოლიტსკოლების მნიშვნელობა, დღეს ყველასთვის ცხადია. ამ სკოლების წყალობით ჩვენ ვაწარმოებთ სოფლის კომუნისტებში პოლიტიკური უცოდინარობის აღმოფხვრას და ჯერ-ჯერობით შედეგებიც კარგი გვაქვს. მოძრავი პოლიტსკოლა შეიქნა ყველაზე უკეთესი საშუალება სოფლად პარტიულებში პოლიტგანმანათლებელ მუშაობის საწარმოებლად. მარტო სიღნაღის მაზრის მაგალითი საუკეთესო დამამტკიცებელი იმისა, რომ თუ პოლიტსკოლაში კარგათაა დაყენებული საქმე, მას შეუძლია საუკეთესო შედეგის მოცემა. იქ 35 პროცენტი პარტიულობისა თითქმის პოლიტიკურად მოუმზადებელი იყო, მაგრამ პოლიტსკოლებმა ეს მდგომარეობა ძირიანფესვიანათ შესცვალეს.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტსკოლები ყველგან არაა ისეთნაირად მოწყობილი და ყველგან არ ექცევა მას სათანადო ყურადღება, რისთვისაც ის ვერ ამართლებს თავისდანიშნულებას. პირველ ყოვლისა საჭიროა სკოლის ხელმძღვანელის შერჩევა. ჯერ ერთი, ხელმძღვანელს უსათუოდ უნდა ჰქონდეს სათანადო მომზადება; მას მსმენელებისთვის გადასაცემი მასალა თვითონ უნდა ჰქონდეს ზიდმიწევნით შეთვისებული, შესწავლილი და შემდეგ უნდა შეეძლოს ამ მასალის სხვებისთვის გადაცემა. თუ ხელმძღვანელს ამის უნარი არ ექნება ყოვლად შეუძლებელია, რომ მან შესძლოს სკოლის გაძღოლა და მსმენელების მომზადება.

შემდეგ, ხელმძღვანელი უსათუოდ დაინტერესებული უნდა იყვეს სკოლაში მეცადინეობით, ის სისტემატიურათ უნდა აწარმოებდეს მუშაობას, მისთვის უმთავრესი საქმე სკოლა უნდა იყოს. სასხვათაშორისო სკოლის ხელმძღვანელობა ყოვლად დაუშვებელია. სკოლის ხელმძღვანელს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ მას დიდი სამუშაო აქვს დაკისრებული და რომ ის პასუხისმგებელია პარტიის წინაშე თავის სამოქმედო რაიონში პოლიტგანმანათლებელ მუშაობაში.

გარდა ამისა საჭიროა თემკომებმა და სოფლის უჯრედებმა მეტი ყურადღება მიაქციონ სკოლას, გააძლიერონ მასზე კონტროლი და ხელმძღვანელობა, ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ მუშაობის თავის დონეზე დასაყენებლად. თემკომმა ყოველი ზომები უნდა მიიღოს, რომ პარტიის წევრები არ აკლდებოდნენ მეცადინეობას, რასაც დღეს ხშირად აქვს ადგილი როგორც შემჩნეულია, სკოლის გახსნის პირველ ხანებში პარტიულები და კომკავშირლები დიდი გატაცებით ეტანებიან სკოლას, შემდეგ კი სწყინდებათ და სრულიად ანებებენ თავს მეცადინეობას. ამ მდგომარეობის წინააღმდეგ თემკომებსა და უჯრედებს უსათუოდ მართებთ სათანადო ზომების მიღება. აუცილებელია მსმენელების უზრუნველყოფა სასწავლო ნივთებით, და პირველად ყოვლისა კი წიგნებით.

გარდა ამისა სკოლის გამოშვების შემდეგ ყველა მსმენელთათვის უნდა დაარსდეს თვითგანვითარების წრეები. ამ წრეებში როგორც ვთქვით, თავმოყრილი უნდა იქნენ მოძრავი პოლიტსკოლის მსმენელები და აქ ისინი უნდა გადიოდნენ იმას, რაც სკოლაში მოისმინეს. ზოგიერთ მაზრებში თვითგანვითარების წრეებმა კარგი შედეგები მოგვცეს და საჭიროა, რომ სხვებმაც მიბაძონ ამ მაზრებს და გამოიყენონ მათი გამოცდილება.

მეტი ყურადღება მოძრავ პოლიტსკოლებს.

ე.

ადგილობრივ ორგანიზაციებში

საკონსერვო ქარხნის კომუჯრედში

(ქ. გორი)

ამას წინეთ ჩვენ ვწერდით ამ უჯრედის ნაკლზე. ამ ბოლო დროს ნაკლი თანდათან სწორდება. უჯრედს აქვს უჯრედის საკონტროლო წიგნაკი, რომელშიც აღრიცხვაზე არიან აყვანილი უჯრედის წევრები და კანდიდატები, ს. ლ. ა. კ. კ. წევრნი და უპარტიო აქტიური მუშები.

საწევრო გადასახადის შეგროვებასაც ყურადღება ექცევა, იშვიათი შემთხვევაა, რომ რომელიმე წევრს ან კანდიდატს არ ჰქონდეს გადახდილი თებერვლის საწევრო გადასახადი.

კრებებზე დაგვიანებასაც აღარ აქვს ადგილი.

უჯრედში სწარმოებს კომისიური მუშაობა; გამოყოფილია შემდეგი კომისიები: კომკავშირელთა შორის მომუშავე კომისია, საორგანიზაციო კომისია, რომელიც აწარმოებს უჯრედის ყოველგვარ ორგანიზაციულ მუშაობას, ქალთა შორის მომუშავე კომისია, მის მიერაც ბევრია გაკეთებული.

დაარსებულია ქალთა ორგანიზაციაც, რომელშიაც ითვლება 50 მუშა ქალი. აქ ყოველთვიურად ხდება მეცადინეობა, ეწყობა ქალთა საერთო კრებები, რომელზეც კეთდება მოხსენებები საერთაშორისო ქალთა მოძრაობაზე და სხვა.

გამოყოფილია აგრეთვე პროფ-დარგში მომუშავე კომისია, რომელიც აწარმოებს პროფმუშაობას ქარხკომში და მილიციის ადგილკომში.

უჯრედი გაიზარდა როგორც თვისობრივად ისე რიცხობრივ. უჯრედში ამჟამად ითვლება 49 წევრი. მათ შორის 14 კანდიდატია. ს. ლ. ა. კ. კ. უჯრედში ითვლება 43 წევრი და კანდიდატი.

კომუჯრედის სოციალური მდგომარეობა: 27 მუშა, 17 გლეხი და 5 მოსამსახურე. ამათში 2 ქალია.

12 მარტის სხდომაზე უჯრედმა მოისმინა ბიუროს სამი თვის მუშაობის ანგარიში. მუშაობა ჩათვლილი იქნა დამაკმაყოფილებლად, რის შემდეგ ამორჩეულ იქნა ახალი ბიურო.

პ. სულამელი.

ლექტორი დაიკარგა

(ქ. სურამი.)

ამ რამდენიმე ხნის წინად სურამში დაარსებული იქნა პოლიტ-სკოლა, სადაც ადგილობრივი და თემის პარტორგანიზაციის წევრები მეცადინეობდნენ. ამ სკოლაში ირიცხებოდა 30 კაცი. ჩვენდა სამწუხაროდ ამ სკოლას ისე გამოეხურა კარები, რომ მისი გაღება არც ეგრე ადვილი შეიქნა. მიზეზი ყოველივე ამისა არის სკოლის ლექტორის დაკარგვა. დღეს სკოლის მსმენელები დაინტერესებული არიან, რადგან ცოტაოდენ რამეს გაეცნენ და შეითვისეს და ეხლა მათი შუა გზაზე დატოვება მართლა გამოუსყიდელი დანაშაულობაა. ყოველ შემთხვევაში საჭიროა ახალი ლექტორის გამოძებნა, რაზედაც თემკომმა უნდა იზრუნოს. დიდი გაკიცხვა უნდა გამოეცხადოს ყოფილ ლექტორს.

ი. გაგოშიძე.

ქალთა შორის

მუშაობა მოიკოჭლებს

(ცაიში, ზუგ. მაზრა)

ზემოხსენებულ თემში ქალთა ორგანიზაციის მუშაობა საგრძნობლად მოიკოჭლებს. უკვე სამ თვეზე მეტია რაც დელეგატ-ქალთა კრება არ მომხდარა.

მართალია, დროგამოშვებით აქ იმართება ქალთა კრებები, მაგრამ აქ ან ანკეტას ავსებენ ანდა არჩევენ სრულიად უმნიშვნელო საკითხებს, რომელთაც სინამდვილეში არავითარი ღირებულება არა აქვს.

ქალთა საერთაშორისო დღე, 8 მარტი ცაიშში არ გადაუხდიათ, რისთვისაც თემის გლეხ-ქალებმა, როდესაც მათ შემდეგში მათ გაიგეს 8 მარტის მნიშვნელობა, დელეგატ-ქალებს საყვედურიც გამოუცხადეს.

ღიმი.

8 მარტის დღესასწაულის შესახებ

(თ. ხეთა, ზუგდიდის მაზ.)

ხეთის თემის გლეხ-ქალებმა 8 მარტის დღესასწაული დიდი ზეიმით ჩაატარეს. სადღესასწაულოთ ქოხ - სამკითხველო შენობიდან პლაკატებით, დროშებით—ინტერნაციონალის სიმღერით, ყველა პარტ-ორგანიზაციის მონაწილეობით გაემართენ პირველ მაისის მოედნისაკენ, სადაც მიტინგი გახსნა კომუჯრედის მდივანმა და მიესალმა გლეხ-ქალებს, მისალმებებით გამოვიდა აგრეთვე დელ.-ქალ. ორგანიზაც., კომკავშირის და სხვა ორგ. წარმომადგ. მიტინგის დახურვის შემდეგ მივიღეთ ცნობა, რომ ქალაქ სენაკიდან მატარებლით მოემგზავრებიან დელეგატი-ქალები. ადგილობრივი დელეგატი-ქალები გლეხ-ქალებთან ერთად დახვდენ სტუმრებს. სენაკის დელეგატ-ქალებს ჩამოყვენ პიონერებიც, სადგურთან დროშებით, ინტერნაციონალის სიმღერით და სასულე ორკესტრით გაემართენ სკოლის ეზოსაკენ, სადაც ხელმეორედ გაიხსნა მიტინგი. მიტინგის შემდეგ ადგილობრივმა კომკავშირის ორგანიზაციამ გამართა უფასო სალამო-წარმოდგენა. სალამოს დაესწრენ განსაკუთრებით გლეხ-ქალები..

დელეგატი-ქალი.

ქალთა შორის მუშაობა და 8 მარტი სენაკის მაზრაში

ჩვენ მაზრაში ქალთა შორის მუშაობა თანდათან უმჯობესდება. აბაშის, ბანძის, ნოქალაქევის და მარტვილის რაიონებზე მიმაგრებულია თითო ორგანიზატორი ქალი, ხოლო სენაკის რაიონს—მაზრის ხელმძღვანელობასთან ერთად — ხელმძღვანელობას უწევს ქალთა სამაზრო განყოფილება.

ეწყობა დელეგატ-ქალთა კრებები, მეცადინეობა, ხდება ქალთა საზოგადო კრებებიც და სხვა.

მართალია, ჯერ ქალთა უმრავლესობა კიდევ არ არის ჩაბმული მუშაობაში, ჯერ კიდევ ძლიერ ცოტა ნაწილთან გვაქვს საქმე, მაგრამ თუ სწორი ხელმძღვანელობა იქნება ამ პატარა ნაწილით ჩვენ შევძლებთ ქალთა აქტივის ჩვენს გავლენის ქვეშ დაყენებას.

სამაზრო ქალთა განყოფილებამ რამოდენიმე ხანია რაც დაარსა ქალთა არტელი მკერავთა და მრეცხავთა. არტელს ხელმძღვანელობენ გამოცდილი ქალები.

ქალთა შორის მუშაობაში 8 მარტის დღემ დიდი როლი ითამაშა ჩვენში.

თქვენ უნდა გენახათ ქალთა არტელის ბინა გალამაზებული თვით ქალთა ნაშრომით —ლენინის, კრუპსკაიას და სხვათა სურათებით. საერთოდ 8 მარტის დღესასწაული კარგად ჩატარდა.

საღამოს 8 საათზე კი მუშათა კლუბში შესდგა ქალთა საზეიმო სხდომა, სადაც მოხსენებები გააკეთეს ერთმა უპარტიო ქალმა და ერთმა მამაკაცმა.

აბაშის რაიონში ქალთა საზეიმო სხდომა უფრო მწყობრათ ჩატარდა. საზეიმო სხდომაზე რამდენიმე უპარტიო ქალი გადარიცხულ იქნა კომკავშირში.

ასეთივე პირობებში იქნა ჩატარებული ქალთა დღე მაზრის სხვა რაიონებშიც.

ბ. უჩანეიშვილი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ზედა სიმონეთის უჯრედი

(ზედა სიმონეთი, ქუთაისის მაზრა)

ამავე თემში არის ა. ლ. კ. კ. უჯრედი. უჯრედი აერთიანებს 40 წევრს, მათ შორის 6 ქალია. მეცადინეობა სისტემატიურათ სწარმოებს. ამავე უჯრედის ხელმძღვანელობით გამოდის ორ-კვირეული კედლის გაზეთი. ამავე უჯრედიდან გამოყოფილია სარედაქციო კოლეგია, რომელშიაც შედის ორი კომკავშირელი და ერთი უპარტიო.

კომკავშირის ლეჩხუმის სამაზკომის პლენუმი

20 მარტს, ცაგერში შესდგა ა. ლ. კ. კ. მაზკომის პლენუმი. მისი მიზანი იყო კომკავშირის მუშაობის უარყოფითი მხარეების გამორკვევა და მომავლისთვის სამუშაო გეგმის შემუშავება. ადგილებიდან მომხსენებლებმა გამოარკვიეს ჩვენი ორგანიზაციის უარყოფითი და დადებითი მხარეები. პლენუმმა გამოიტანა მთელი რიგი დადგენილებისა და პრაქტიკული მითითებანი, რომელიც მიმართულია ყოველივე უარყოფითი მხარეების აღმოსაფხვრელათ. შემდეგ გამოტანილ იქნა დადგენილება მოჯამაგირეთა შორის და პიონერთა შორის მუშაობის გასაძლიერებლად. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პლენუმმა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" გავრცელებას; შემოღებულ იქნა რწმუნებულთა სისტემა ყველა თემებში. მომავალში გაზეთის გავრცელების საქმეს მოაგვარებენ თემების რწმუნებულები.

მჭედლიშვილი.

მოჯამაგირეთა შორის

(ლეჩ. მაზრა, ცაგერი)

გასულ წლებში ნაკლები ყურადღება ექცეოდა შეგირდ-მოჯამაგირეებს, მაგრამ მიწა-ტყის კავშირის ჩამოყალიბების შემდეგ გაუმჯობესდა მათი მდგომარეობა. დამქირავებელსა და დაქირავებულთა შორის დაიდვა ხელშეკრულება. ჯერჯერობით ყველასთან არ არის დადებული ეს ხელშეკრულება, მაგრამ მიწა-ტყის კავშირი ცდილობს, რომ მომავალში ყველასთან იქნეს დადებული ხელშეკრულება, რომ ამით გაუმჯობესდეს მოჯამაგირეთა პირობები. დღემდე ცაგერში ადგილკომი არ იყო. მხოლოდ 21 მარტს მოჯამაგირე-შეგირდთა კრებაზე იქნა არჩეული ადგილკომი. ახალ არჩეულ ადგილკომმა სათანადო მუშაობა უნდა აწარმოოს მოჯამაგირე-შეგირდთა შორის. იმედი გვაქვს, რომ ადგილკომი გაამართლებს ჩვენს იმედებს.

ს. მ—ლი.

ქორწინების უფლების კანონპროექტის შესახებ *)

ამ პროექტის ერთ-ერთი ძირითად მომენტად უნდა ჩაითვალოს ის, რომ იცვლება ქორწინების რეგისტრაციის როლი და მნიშვნელობა: რეგისტრაციაში გატარებული ქორწინება თავისი პირადი და მატერიალური შედეგებით გათანასწორებულია ფაქტიურ (ურეგისტრაციო) ქორწინებასთან.

პროექტის პირველი მუხლი განსაზღვრავს ქორწინების რეგისტრაციის როლს და მნიშვნელობას. ის კატეგორიულად აღიარებს, რომ ქორწინების რეგისტრაცია წესდება მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლებების და ინტერესებს დაცვის გასაადვილებლად. სხვა სიტყვებით —ეს უფლებები და ინტერესები წარმოსდგებიან თავის-თავად ორი სხვადასხვა სქესის პირთა კონსუმაციისა (სქესობრივი დამოკიდებულების) და ერთად ცხოვრების შეთანხმების შედეგათ; ხოლო რეგისტრაცია კი არ ანიჭებს მათ დამოკიდებულებას რაიმე იურიდიულ შედეგებს, არამედ უადვილებს დაინტერესებულ მხარეებს, თუ მათ ვინიცობაა დავა აღძრებათ, სასამართლოს წინაშე დაამტკიცონ თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებები, რომლებიც გამომდინარეობენ ამ დამოკიდებულებიდან. გამოდის, რომ ფაქტიური დამოკიდებულება (ურეგისტრაციო ქორწინება) უფლებრივი და ქონებრივი შედეგებით გათანასწორებულია რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებასთან.

მაგრამ სინამდვილეში ეს გათანასწორება მოჩვენებითია. პროექტს არ შესწევს ძალა ფაქტიურ ქორწინებას ჩამოაშოროს ყოველგვარი ფორმალობა და ამავე დროს აღიაროს იგი იურიდიულ შედეგების მქონე ქორწინებათ. საქმე იმაშია, რომ ფაქტიური ქორწინების არსებობა სახელმწიფომ შეიძლება გაიგოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას მიმართავს ერთ-ერთი. მეუღლე დახმარებისათვის ქორწინებითი დამოკიდებულების გამოსარკვევად.

ამ დამოკიდებულების გამოსარკვევად სახელმწიფო სასამართლოს წესით უნდა დარწმუნდეს, რომ ორი პირი ნამდვილათ იმყოფებიან ქორწინებითი დამოკიდებულებაში და, რომ აქ ქორწინებას არ ეღობება კანონით გათვალისწინებული დაბრკოლებანი წლოვანობის, ჯანმრთელობის, ნათესაური დამოკიდებულების, სხვა ქორწინებაში არ ყოფნის და სხვათა შესახებ, რომლებიც პროექტის მესამე, მეოთხე და მეხუთე მუხლების მიხედვით დაქორწინების დროს აუცილებლივ დაცულნი უნდა იქნენ.

ამ პირობათა გარეშე სასამართლოს არ შეუძლია მიანიჭოს ფაქტიურ ქორწინებას იურიდი[illegible] შედეგები. წინააღმდეგი—იქნება კანონის [illegible] გამოკიდება და ამავე დროს საზოგადოებრი[illegible] დაცემისათვის ხელის [illegible] ან როგორ შეი[illegible] იურიდიულ [illegible]რწინება [illegible] მყოფი, ან, თუ ვნებავთ, ფაქტიურ ქორწინების მონაწილენი იქნებიან დედა-შვილი, ან და-ძმანი და სხვა. ეს ხომ აბსურდი იქნებოდა; თუ პროექტი რეგისტრაციაში გასატარებელ ქორწინებისათვის მოითხოვს განსაკუთრებულ ნორმების შესრულებას, ცხადია, ეს ნორმები დაცულ უნდა იქნენ ფაქტიურ ქორწინების დროსაც. ამიტომ, თუ სასამართლო დაინახავს, რომ ფაქტიური ქორწინება შეეფერება კანონის ყველა მოთხოვნილებას, ის ამ ქორწინებას დაადასტურებს, აქ განსხვავება სიტყვაშია და იმაში, რომ ქორწინების რეგისტრაცია მოხდება არა აქტების ჩამწერი ორგანოების საშუალებით, არამედ სასამართლოს წესით და მხოლოდ ამის შემდეგ ფაქტიურ ქორწინებაში მყოფ მეუღლეთა პირადი და ქონებრივი უფლებები მიიღებენ თავისი რეალიზაციის შესაძლებლობას. ამ დრომდე კი ეს უფლებები იქნებიან პოტენციაში სახელმწიფოსა და მის სასამართლოთა წინაშე, რომელთაც მათი არსებობის შესახებ არაფერი არ ეცოდინებათ.

აქედან ცხადია, რომ ფაქტიური ქორწინება, რაც უნდა ბევრს ლაპარაკობდეს მასზე პროექტი არ ჰქმნის მოქალაქეთათვის მათ ცოლ-ქმრულ დამოკიდებულებაში რაიმე თავისუფლებას. ფაქტიური ქორწინება, სანამ ის არ იქნება დადასტურებული სასამართლოს წესით, არ არის ქორწინება იმ აზრით, რომ მას მოჰყვეს რაიმე იურიდიული შედეგი. ის არის ფაქტი და მეტი არაფერი. ამ რიგად ქორწინებითი დამოკიდებულების ამა თუ იმ წესით დადასტურება-რეგისტრაცია აუცილებელია.

ეს ადვილი გასაგებია, რადგანაც ადამიანთა ქორწინებითი დამოკიდებულება განისაზღვრება მთელი რიგი მოთხოვნილებით წლოვანობის, თანხმობის, ჯანმრთელობის, ნათესაური დამოკიდებულების, სხვა ქორწინებაში არ ყოფნის შესახებ და ამავე დროს, ამ ქორწინებას სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების მიხედვით თან სდევს პირადი და ქონებრივი ხასიათის უფლებრივი შედეგები, რომლებიც შეეხებათ მეუღლეთ და მათგან შობილ ბავშვებს. დაქორწინებისათვის საჭირო ნორმების დაწესება და ამ ნორმების დამაკმაყოფილებელ ქორწინებათათვის ამა თუ იმ იურიდიული შედეგების მინიჭება შეუძლია მხოლოდ სახელმწიფოს და სხვა არავის, რადგან მხოლოდ სახელმწიფო არის ყველა იურიდიული ნორმების, უფლებებისა და მოვალეობათა წყარო.

მტკიცება იმისა, რომ რეგისტრაცია ავიწროვებს ამა თუ იმ მხარეს, ყოველ საფუძველს მოკლებულია. ამ „შევიწროების" აცდენა შეუძლებელია, რადგანაც ყოველ [illegible]რძო შემთხვევაში, როდესაც მეუღლენი [illegible] სასამართლოს წარმოშობილ [illegible]არკვევად, ფაქტიური ქორწინე[illegible] რეგისტრაციაში გატარებულ [illegible] ის, რასაკვირველია, არ [illegible] [illegible] გარდა დაშვებულია კიდევ თავისი იურიდიული შედეგებით ამ ქორწინებასთან თანასწორი ფაქტიური ქორწინება, არამედ იმაში, თუ როდის არის უფრო ადვილი და ხელსაყრელი სახელმწიფომ დაადასტუროს მის მიერ დაწესებულ ნორმების მატარებელი ქორწინება: კონსუმაციამდე, თუ მის შემდეგ, ადმინისტრატიული თუ სასამართლოს წესით.

მაშასადამე საჭიროა მივუდგეთ საკითხს მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, რომელსაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ჩვენს კანონმდებლობაში.

სტატისტიკური ცნობების მიხედვით ქორწინებიდან გამომდინარე უფლებათა დაცვისათვის სასამართლოს უმეტეს შემთხვევაში მიმართავს უფრო სუსტი მხარე—ცოლი. რაც შეეხება ქმარს, ის ეკონომიურად ჯერ კიდევ მძლავრი, ყოველთვის განზეა გამდგარი.

თუ ეს აგრეა, აშკარაა, რომ მხოლოდ ქალს, უფრო სუსტ მხარეს, თავზე აწვება ფაქტიური ქორწინების დამტკიცების მთელი სიმძიმე. რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინების დროს ამას ადგილი არა აქვს. აქ ქალს აღარ სჭირია ქორწინების არსებობის წინასწარი მტკიცება. ამრიგად ფაქტიური ქორწინების დაშვებით პროექტი სუსტ მხარეს შევიწროვების მეტს ვერაფერს მოუტანს.

ამას გარდა ეს პროექტი პრაქტიკაში წარმოშობს მრავალ გაუგებრობას და კონფლიქტს.

როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო ისეთ შემთხვევაში, როდესაც გამოირკვევა, რომ ფაქტიურ ქორწინებასაც ექნება ადგილი და ამავე დროს მისი მონაწილე ერთი მხარე უკვე იმყოფება რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებაში? იცნოს კანონიერ ქორწინებათ ფაქტიური ქორწინება სასამართლოს არ შეუძლია, რადგანაც ეს იქნებოდა მრავალცოლიანობისა, თუ მრავალქმრიანობისათვის ხელის შეწყობა, რაიც კანონით დაუშვებელია. უხერხულობას და კონფლიქტს გამოიწვევს აგრეთვე პროექტის მეორე და მეხუთე მუხლების იურიდიულად გაუგებარი და არა სწორი ჩამოყალიბება.

პროექტის მეხუთე მუხლი კატეგორიულად განსაზღვრავს, რომ არ შეიძლება რეგისტრაციაში გატარებულ იქნეს ისეთ პირთა ქორწინება, რომელთაგან ერთი უკვე იმყოფება რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებაში. ხოლო პროექტის მეორე მუხლის მიხედვით ისეთ პირთ, რომელნიც იმყოფებიან ქორწინებითი დამოკიდებულებაში და ასეთი არ გაუტარებიათ რეგისტრაციაში, უფლება ეძლევათ ეს დამოკიდებულება ჩამოაყალიბონ რეგისტრაციის საშუალებით იმ დროიდან, რა დროიდან ერთად ცხოვრობენ. რადგანაც პროექტით არ არის განმარტებული, თუ რას ნიშნავს „ქორწინებითი დამოკიდებულება" და ამავე დროს პროექტის მეცხრე მუხლი ვალდებულადაც არ ხდის მეუღლეთ იქონიონ საერთო საცხოვრებელი ადგილიც კი, დროს არ ეძლევა არავითარი მნიშვნელობა, აქ გაუგებარია რომელ ქორწინებითი დამოკიდებულებაზეა ლაპარაკი: ყოველ მხარეს, რომელიც დიდი ხანია მოშორდა მეორეს და ცხოვრობს სადღაც [illegible] სადაც უნდა იყოს, შეუძლია [illegible] სასამართლოს თავის თავი ფაქტიურ [illegible]

ფაქტიური დამოკიდებულება შემთხვევით ან თანხმობით შეიძლება შეწყდეს, მაგრამ პროექტი ხანდაზმულობას არ განსაზღვრავს. არ არის ნაჩვენები და საკვირველიც იქნებოდა იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენი ხანი უნდა გაგრძელდეს ეს დამოკიდებულება ცოლ-ქმრულ კავშირიდან გამომდინარე მოვალეობის აღიარებისათვის. ამიტომ ორი სხვადასხვა სქესის პიროვნებას, ერთხელ თუ შევიდენ ასეთ დამოკიდებულებაში, აღარ აქვთ შეძლება გამოარკვიონ, იმყოფებიან თუ არა ისინი ფაქტიურ ქორწინებაში. არც ერთს მათში არ შეუძლია დარწმუნებული იყოს იმაში, რომ მეორე მხარე, პირველთან დაშორების რამოდენიმე წლისა, ან თუ გნებავთ მისი გარდაცვალების შემდეგ, ამა თუ იმ თვალსაზრისით არ მოითხოვს ოდესღაც არსებულ და დიდი ხნის შეწყვეტილ ფაქტიურ ქორწინების სანქციას. ასეთ ოჯახურ დავიდარაბის გარჩევა სასამართლოს ძლიერ გაუჭირდება.

გამოდის, რომ ქალი იქნება თუ კაცი, რომელმაც ოდესღაც დაუშვა ასეთი „თავისუფლება", სამუდამოთ ერთმევა უფლება ახალ პირთან დაქორწინების. ის ყოველთვის იმის შიშის ქვეშ იქნება, რომ მას შეიძლება წარუდგინონ სარჩელი ოდესღაც არსებულ ფაქტიურ ქორწინების ცნობის შესახებ, მაშასადამე მას არასოდეს არ შეუძლია შევიდეს ახალ ქორწინებაში. თუ ამას ის მოიმოქმედებს, შეუძლია წამოსკუპდეს ბრალდებულის სკამზე მრავალცოლიანობისა, თუ მრავალქმრიანობისათვის, რადგანაც ფაქტიური ქორწინება, ჯერ კიდევ სასამართლოს მიერ უცნობი, არ შეიძლება გაბათილებულ იქნას: გასაბათილებელი არაფერია. ამავე დროს არც ერთი მათგანი არ არის დაზღვეული დაუბოლოვებელ სარჩელთა წაყენებისაგან ალიმენტებისა, თუ მემკვიდრეობის შესახებ (პროექტის მე-10 და 12 მუხლები). საქმე უფრო ცუდათ იქნება თუ ასეთ „თავისუფლებას" მეტი ექნება ადგილი.

დაბოლოს საკითხავია: ფაქტიურ ქორწინების დროს ვინ გაუწევს კონტროლს იმ ნორმების დაცვას, რომელიც დაწესებული აქვს სახელმწიფოს რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებისათვის? სად არის აქ ჩამომავლობის, ან მეუღლეთა ჯანმრთელობის დაცვა, რომელიც გათვალისწინებულია არსებული კანონით და რომელიც ჯერ კიდევ ოცნებაა „განათლებულ სახელმწიფოთათვის". ან შეიძლება, იმის მტკიცებასაც გამოუდგებიან პროექტის მომხრენი, რომ სიფილისიან დედ-მამას ყოველთვის ჯანმრთელი ჩამომავლობა ეყოლებათ?

თუ გნებავთ, თანდათანობითი პრინციპები უფრო დაცული იქნებოდა, თუ სახელმწიფო სრულიად უარს იტყოდა ქორწინების ყოველგვარ რეგლამენტაციაზე და მისგან (ქორწინებიდან) გამომდინარე შედეგებიდან. მაგრამ არსებულ ეკონომიურ ურთიერთობის დროს ეს შეიტანდა არევ-დარევას მოქალაქეთა ურთიერთ დამოკიდებულებაში. მაშასადამე, ქორწინებითი კავშირის სანქციის უფლება ჯერ-ჯერობით ყოველ შემთხვევაში უნდა შეინარჩუნოს სახელმწიფომ.

[illegible]ინცაძე.

ზაჰესი

ტარიფი ზაჰესის ენერგიაზე.—ზაჰესის დატვირთვის უახლოესი პერსპექტივები

აგვისტოს დამლევს დამთავრდება ზაჰესის პირველი ტურბინის დადგმა, ხოლო არა უგვიანეს 15 სექტემბრისა, იგი ენერგიას მიაწვდის ქალაქ თბილისსა და მის წარმოებებს. 15 ოქტომბრისათვის ამუშავებულ იქნება მეორე ტურბინიც, ხოლო დეკემბრის დამლევისათვის სადგური აღჭურვილ იქნება ოთხივე ტურბინით, რომელიც დაამუშავებს 18 ათას ცხენის ძალას.

ამგვარად დღის წესრიგში სდგას ზაჰესის ენერგიის გამოყენების საკითხი, რომელიც დამუშავებული და შესწავლილი იქნა ქალაქის აღმასკომის საგეგმო კომისიის მიერ.

საგეგმო კომისიასთან არსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ დაწვრილებით შეისწავლა და გამოიანგარიშა ენერგიის რაოდენობა, რომელსაც ამჟამად საჭიროებს ქალაქი და მისი საწარმოო დაწესებულებანი, და ამის მიხედვით გამოიმუშავა საორიენტაციო ტარიფი ზაჰესის ენერგიაზე.

ზაჰესის ენერგიის თვითღირებულება დამოკიდებულია სადგურის დატვირთვის რაოდენობაზე. რამდენადაც მეტი იქნება სადგურის დატვირთვა, იმდენათ ნაკლები ეღირება მოწოდებული ენერგია. იმ წარმოებებს, რომელნიც ენერგიას მოიხმარენ მუდმივს და თანაბარის რაოდენობას, ელექტრო-ენერგია დაეთმობათ უფრო დაბალ ფასებში.

წინასწარი გამოანგარიშებით,—ზაჰესის ენერგიის საშუალო თვითღირებულება უდრის—3,5 კაპ. კილოვატ-საათი; იმის და მიხედვით, თუ რამდენათ დიდია ენერგიის ადგილებზე გასაყვანად გაწეული ხარჯები, მატულობს ენერგიის თვითღირებულებაც. მაგალითად, კილოვატსაათი კერძო მომხმარებელთა ბინებზე ეღირება—10 კაპ. (ამჟამად ღირს კილოვატსაათი 35 კაპ.), მცირეძალიან მოტორებისათვის 10—12 კაპ., დიდ მოტორებისათვის 5 კაპ., ხოლო ტრამვაისათვის, რომლის მიერ ენერგიის მოხმარება ძალიან მერყევი და ცვალებადია 7—5 კაპ., ქუჩების განათებისათვის 5 კაპ.

ეს არიან ის მთავარი საწარმოო დაწესებულებანი, და კერძო აბონენტები, რომელთაც მოხმარდება პირველ ორი ტურბინის საშუალებით დამუშავებული ელექტრო-ენერგია.

ზაჰესის დატვირთვის უახლოესი პერსპექტივა შეიცავს ამ.-კავ. რკ.-გზის; სურამის საუღელტეხილო უბნის და კოჯორის რკინის გზის ელექტროფიკაციას და ზაჰესის ენერგიის გამოყენებას სარწყავი მიზნებისა და სხვა სამეურნეო საჭიროებისათვის.

პირველ რიგში სდგას სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია, რომლისათვისაც მზადება უკვე სწარმოებს. ზაჰესის საშუალებით მოხდება რკინის გზის ელექტროფიკაცია ხაშურ-ზესტაფონს შუა. ენერგია, რომელიც აწეული იქნება 110 ათას ვოლტამდე, გაყვანილი იქნება 150 ვერსის მანძილზე.

ზაჰესის ენერგიის გაყვანა სურამის საუღელტეხილო უბნის საელექტროფიკაციოდ, საფუძველს ჩაუყრის მნიშვნელოვან წარმოებათა წარმოშობა-განვითარებას.

მას შემდეგ, რაკი დამთავრდება დასავლეთ-საქართველოს დიდი ელექტრო-სადგურის აგება, რომლის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს რკინის გზის დასავლეთ უბნის ელექტროფიკაცია ზაჰესის ენერგია მოხმარდება აღმოსავლეთ უბნის ელექტროფიკაციას თბილისიდან ხაშურამდე.

ამ ორი დიდი სადგურის გაერთიანებული მუშაობა გაადიდებს ზაჰესის დატვირთვას, რომელიც საბოლოოდ მიაღწევს 56 ათას ცხენის ძალას.

არხი, საწნევი აუზი და საგენერატორო სადგურის შენობა აგებულია იმ ანგარიშით, რომ ზაჰესმა შესძლოს [illegible] ენერგიის [illegible]მუშავება, საჭირო [illegible] იქნება მხოლოდ [illegible]

საკურორტო სეზონისათვის

ბორჯომ-აბასთუმანი

ჩვენ თანამშრომელთან საუბარის დროს საქართველოს საკურორტო სამმართველოს გამგემ ამხ. **მამალაძემ** განაცხადა შემდეგი:

— ის თანხები, რომელნიც უნდა მიგვეღო საკავშირო ფონდიდან საქართველოს საკურორტო აღმშენებლობისათვის, დღემდე არ არის მიღებული და არც ცნობა გვაქვს, თუ როდის და რა რაოდენობით იქნება მიღებული.

საქართველოს საკურორტო სამმართველომ ჯერ-ჯერობით რესპუბლიკის რესურსებიდან კრედიტების სახით მიიღო განსაზღვრული თანხა, რომელიც მოხმარდება საქართველოს ყველა სანატორიუმების კაპიტალურ რემონტს და მათ სამეურნეო და სამკურნალო პირობებს გაამჯობესებს. შეკეთებული იქნება ვანები ბორჯომში, აბასთუმანში და წყალტუბოში. იმ მიზნით, რომ ქუთაისიდან წყალტუბოს რადიო-აქტიურ კურორტამდე გზის გაყვანა დამთავრებულ იქნეს სეზონის გახსნისათვის, მიღებულია განსაკუთრებული კრედიტი ბანკებიდან. საკურორტო სამმართველოს ძველი დავალიანება იმ სამუშაოების გაწევის გამო, რომელიც ხარჯთაღრიცხვაში იყო გათვალისწინებული და დავიწყეთ თანხების მიღების მოლოდინში, შესაძლებელია დაფარულ იქნეს მხოლოდ ცენტრიდან დოტაციის მიღების შემდეგ.

საზაფხულო სეზონი კურორტებზე წელს დაიწყება 15 ივნისიდან და გაგრძელდება 15 ოქტომბრამდე, შარშან კი საზაფხულო სეზონი 1 ოქტომბერს დასრულდა. საწოლების რაოდენობა არ გადიდდება, მხოლოდ გაუმჯობესებული იქნება მათი მოწყობილობა. აბასთუმანში წელსაც მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს სანატორიუმი. რადგან მკურნალობამ ზამთრის პერიოდში დიდი შედეგები მოგვცა, წელს საზამთრო სეზონისათვის აბასთუმანის სანატორიუმში საწოლების რიცხვი გადიდებულ იქნება.

საწოლის ღირებულება წელს რამოდენიმედ გადიდებული იქნება: აბასთუმანში კავშირის წევრებისათვის ეღირება თვეში 170 მან., არა წევრთათვის—230 მან., ბორჯომში: 175 მან. და 235 მან., წაღვერში და თემში 165 და 225 მანეთი.

აბასთუმანში წოლის ოთახი გაძვირდება 20 მანეთიდან ზევით. გახსნილი იქნება სასტუმროც. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილებიდან უკვე მიღებულია განცხადებები საწოლების და ოთახების დასაბევებლად.

ბორჯომსა და ბაკურიანს შორის ყოველდღიურად ივლის 6-დან 8 წყვილამდე მატარებელი.

აბასთუმანში და ბორჯომში იქნება სიმფონიური ორკესტრი.

ბორჯომში მოეწყობა სარეგისტრაციო ბიურო ჩამოსულ ავადმყოფთა აღსარიცხავად.

ამ კვირაში გამორკვეულ იქნება, თუ რამდენი საწოლი დაეთმობათ გლეხებს საქართველოს კურორტებზე.

ოთხშაბათს, 31 მარტს, საღამოს 6 საათზე აღმასკომის დარბაზში მოწვეულია

თბილისის აღმასკომის პლენუმის

სხდომა

დღის წესრიგი:

1. მაზრის საბჭოების არჩევნების შედეგები.
2. ელსადენის გაყვანილობათა ნორმები.
3. ტრამვაელების კომ. მუშათა სახლის ასაგებად პროექტის და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.

აღმასკომის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

საბჭოთა საქართველო

კოოპერატივის გაძარცვა

ოზურგეთი, 30 მარტი. სოფელ ჯუმათში გაძარცვეს კოოპერატივი. გატაცებულია 900 მანეთის საქონელი.

დაარსდა სპეციალური კომისია საქმის გამოსაძიებლად.

კულტურულ ფრონტზე

ახალქალაქი, 30 მარტი. ახალქალაქის მაზრაში ამჟამად არსებობს 78 სკოლა 5.350 მოწაფით, მენშევიკების დროს კი იყო სულ 181 სკოლა.

მიმდინარე წელს სახ. განათლების განყოფილებამ დაამზადა და გაანაწილა სკოლებს შორის 2.000 სასკოლო მაგიდა,—45 საკლასო დაფა, მაგიდები და სხვ. შეძენილი 3.000 მანეთის სახელმძღვანელოები ეროვნულ უმცირესობათა საჭიროებისათვის.

„რემედასი"

ახალქალაქი, 30 მარტი. „რემედასის" სამაზრო კომიტეტში ირიცხება 26 უჯრედი 200.000 წევრით. სოფლებში „რემედასის" ორგანიზაციები მართავენ მოხსენებებს, საუბრებს და ავრცელებენ ლიტერატურას.

სარძეო არტელები

ახალქალაქი, 30 მარტი. სოფელ ბავრაში დაარსდა სარძეო არტელი „დეპილუის"-ის სახელწოდებით.

არტელი ჯერ-ჯერობით აერთიანებს 20 მეურნეობას.

აღმშენებლობა მაზრაში

გორი, 30 მარტი. ქალაქში და მაზრაში გაცხოველებული საალმშენებლო მუშაობა სწარმოებს. მიმდინარე საოპერაციო წლის პირველ მეოთხედში შესრულებულია შემდეგი სამუშაო: შეკეთებულია 125 ცხენის ძალიანი ჰიდროელექტრო-სადგური, ამუშავებულია ქალაქის აბანო, რომელთაც ყოველდღიურად 300 კაცი ისარგებლებს, შეკეთებულია წყალსადენი, ხიდები, გზები და სხვ.

ამჟამად ქალაქში სწარმოებს ქუჩების გაფართოება, შენდება კოოპერატიული სახლი და 3 რკინის ხიდი.

სამაზრო გლეხკომის მუშაობა

გორი, 30 მარტი. სულ გორის მაზრაში 1 სამაზრო, 39 სათემო და 23 სასოფლო გლეხკომია. გლეხკომებისგან გლეხებს მიეცათ კრედიტის სახით 7291 ფუთი ხორბალი და 14,399 მანეთი ფულად. გლეხკომებმა ჩაატარეს გლეხობის კოოპერაციაში ჩაბმის კამპანია, 186 გლეხი გლეხკომის ხარჯზე იქნა ჩარიცხული კოოპერატიულ წევრად. გლეხებისათვის გლეხკომს გამოწერილი აქვს გაზეთები: 37 ეკზემპლიარი „კომუნისტი", 12 „მუშა" და 206 „ახალი სოფელი".

გორი, 30 მარტი. წითელ-ქალაქის ერთიან სამომხმარებლო საზოგადოებაში გორის მაზრის პოლიტბიუროს თანამშრომლებმა აღმოაჩინეს ქურდობა. მოპარულია 90 მანეთის საქონელი.

—o—

„რკინის ხარი" მოვიდა

(დიდი-ჯიხაიში, ქუთ. მ.)

22 მარტი, ჩვენი სოფლისათვის ნამდვილი ზეიმის დღე იყო. ბაზრიდან დიდი-ჯიხაიშის სოფლისაკენ გუგუნ-გუგუნით მოგორავდა „რკინის ხარი"—ტრაქტორი. მანქანას გარშემო ფუტკარივით ეხვია სიხარულით აღტაცებული ახალგაზრდა გლეხები. ხალხის მხიარულება და „რკინის ხარის" გუგუნი ერთი-მეორეში იყო ასვრილი და იქაურობას იკლებდა.

მოხუცებულები, როგორც ქალები, ისე მამაკაცები ჭიშკრებიდან ეგებებოდენ უცნაურ სტუმარს და ცნობისმოყვარეობით გატაცებულნი ერთმანეთს გაოცებით ეკითხებოდენ: „რამდენს ხნავს, რამდენს მკის, რა საკვები სჭირდება ამ კურთხეულ მანქანას"-ო.

მაგრამ სწორი პასუხის გამცემი არავინ იყო. ვინ იცის, ვინ რას ამბობდა რკინის ხარზე და ვინ რას. მაგრამ ყველაზე უფრო დამარწმუნებელი და თვალსაჩინო პასუხი შეუძლია გასცეს გლეხებს, მხოლოდ თვითონ რკინის ხარს, როცა ის გავა მინდვრათ სამუშაოთ, როცა ის ბელტოებს-ბელტოებზე გადმოალაგებს და დილიდან საღამომდე გულმკედრს გაუხსნის ჯიხაიშის სატანა მინდვრებს.

ჩამოდექით კავებო და სახნისებო, გზა დასცალეთ ფარცხებო და ბარებო, რკინის ხარი მოდის, რკინის მხრებით და ფეხებით—აწი თქვენთვის არ ეცლება ჯიხაიშელ გლეხს.

ბალათურელი.

რკინის ლაგამი ასეთ „პროფმომუშავეს"

ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლება და პროფ-კავშირი თავის უახლოეს და პირველ ხარისხოვან მიზნად ისახავს — ერთხელ და სამუდამოდ მოსპოს „ნათლი-მამობა" და ნაცნობობით სამსახურში დაშვება. ამის შესახებ არა ერთხელ ყოფილა წერილი ადგილობრივ პრესაში. მაგრამ არიან ისეთი პირები, ჩვენდა საუბედუროთ, რომლებიც არ უწევენ ანგარიშს ამ მოვლენას, და მაინც თავიანთი გააქვთ ცხოვრებაში. უბედურება იმაშია, რომ ასეთ სისაძაგლეს სჩადიან ზოგიერთი პასუხისმგებელი, ნდობით აღჭურვილი ამხანაგებიც. მე აქ მინდა მკითხველი საზოგადოების ყურადღება მივაპყრო ერთ ასეთ მაგალითზე. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ელექტრობანკში ჩამოყალიბდა ადგილობრივი კომიტეტი. ადგილკომი თავის ჩამოყალიბების დღიდან შეუდგა მუშაობას. საჭირო შეიქნა ტექნიკური მდივნის მოწვევა, და აი სწორედ ადგილკომის პ.-მგ. მდივანს მოქ. გრ. ლორთქიფანიძეს საშუალება მიეცა მოიყვანოს ტექნიკურ მდივნათ თავისი კარგი ნაცნობი და „ტექნიკურად" მისთვის გამოსადეგი ქალი. ეს კიდევ არ ჩაითვლებოდა დანაშაულად, რომ ეს ქალი უმუშევარი ყოფილიყო, მაგრამ უბედურებაც იმაში არის, რომ ეს ქალი მსახურობს ქართული მუშფაკის საქმეთამართველად.

აი რა საქმეს სჩადის ჩვენი მდივანი მაშინ, როდესაც ჩვენი პროფკავშირი და საბჭოთა ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს, რაც შეიძლება, შეამციროს უმუშევრობა. აი თქვენი „პროფ-მომუშავე". იმის მაგივრად, რომ ხელი შეუწყოს უმუშევრობის შემცირებას, ის ამის საწინააღმდეგოს სჩადის, სამუშაოზე ღებულობს მოსამსახურე ქალს, მაშინ, როცა ჩვენს კავშირს თავს დასტრიალებს ულუკმა-პუროდ დარჩენილი რამოდენიმე ათასი უმუშევრები. მე ამას დიდ დანაშაულად ვსთვლი მეტადრე ასეთ პასუხისმგებელ ამხანაგისათვის, და დარწმუნებული ვარ ამას არ დასტოვებს ჩვენი პროფკავშირი და რკინის ლაგამს ასდებს ასეთ „პროფ მომუშავეს", რომ მაგალითი მისცეს სხვა პროფ-მომუშავეებს.

მოსამსახურე ელბანკელი

მოუვლელი საუნჯე

(წერილი სენაკიდან)

სამეგრელოს უდიდესი ნაწილი დაბლობებს წარმოადგენს და მდიდარია ჭაობებით. მცხოვრებთა უმრავლესობა ღარიბი გლეხობაა, რომელთა 80—90 პროცენტი შეპყრობილია მალარიით; ხშირია აგრეთვე მცხოვრებთა შორის, ამ უკანასკნელი ავადმყოფობის ნიადაგზე, ჭლექით დაავადება.

გარდა წამლით მკურნალობისა ასეთი ავადმყოფები საჭიროებენ ჰაერის გამოცვლასაც.

საბჭოთა საქართველოს საკმაოდ მოეპოვება კარგად მოწყობილი აგარაკები, სამეგრელოს მუშებისა და გლეხებისათვის კი ისინი მიუწვდომელი არიან. მაგრამ თვით სამეგრელოს მთა-გორიან ადგილებშიაც არის საგარაკო ადგილები, რომელთა შორის პირველი ადგილი უჭირავს აგარაკ „ლებარდე"-ს თავის ლამაზი ადგილმდებარეობით, ბუნებრივი სიმდიდრით და სილამაზით. მშვენიერი ფიჭვ-ნაძვნარით და მინერალური წყლებით —ეს აგარაკი არ ჩამოუვარდება ბევრ სხვა კარგათ ცნობილ აგარაკებს; მხოლოდ სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ კაცის ხელს ჯერ იქ თითქმის არაფერი გაუკეთებია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ხუთმეტიოდე სამოთახიანი უვარგისს და სრულიად უგემოდ აშენებულ სახლს.

მიუხედავათ ამისა, ბედნიერათ სთვლის თავის თავს ის მოაგარაკე, რომელსაც წილად ხვდება ბინა ამ სახლებში. ყველა სახლები იტევენ მხოლოდ 160-მდე მოაგარაკეს, დიდი უმრავლესობა კი იძულებულია თავი შეაფაროს ყავრებისგან აგებულ უიატაკო, ვიწრო და დაბალ კარვებს, რაც მოაგარაკეთათვის ჰქმნის აუტანელ პირობებს სანიტარულ-ჰიგიენურ მხრივ.

აგარაკი ლებარდე დაშორებულია ქ. ახალ-სენაკს დაახლოვებით 80 ვერსით. გზა ს. კურზუმდე შედარებით კარგია, აქედან კი ყოვლად უვარგისი და ბევრ ადგილას—სახიფათოც არის. მიუხედავათ ასეთი გზისა და ამ აგარაკის ტექნიკურად მოუწყობლობისა, მას მაინც ბლომად ეტანება მოაგარაკენი, როგორც სამეგრელოდან, ისე აფხაზეთიდან და იმერეთის სხვა და სხვა კუთხეებიდანაც კი.

1923 წ. სეზონის განმავლობაში აქ 1000-მდე ავადმყოფი იყო; 1924 წ. 2000, ხოლო 1925 წელს ეს რიცხვი 3000-მდე ავიდა. მათ შორის დიდი უმრავლესობა (70 პროც.) შეპყრობილი იყო მალარიით, შემდეგ ჭლექით, კუჭ-ნაწლავების ქრონიკული კატარით, ჭაჭების და ბუშტის ავადმყოფობით, სისხლნაკლულობით და ნერვების სისუსტით. თითქმის ყველა მათგანი კმაყოფილი ბრუნდებოდა აგარაკიდან, ერთად-ერთი საყვედური აგარაკის ტექნიკური მოუწყობლობის და უვარგისი—სახიფათო გზის გამო გაისმოდა.

1924 წ. სამაზრო აღმასკომს განზრახული ქონდა შესდგომოდა ამ აგარაკის კეთილმოწყობას. შესდგა საალმშენებლო კომისია, რომელსაც დაუყოვნებლივ უნდა დაეწყო მუშაობა. მაგრამ აგვისტოს თვის გამოსვლებმა ეს საქმე შეაჩერა და ჩაშალა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ აგარაკს აქვს დიდი მნიშვნელობა, განსაკუთრებით სამეგრელოს მშრომელ მასისათვის და, ღრმად გვწამს, მის კეთილმოწყობას კვლავ ჯეროვანი ყურადღება მიექცევა.

ექ. ბ. გობეჩია.

ველური ჩვეულება

(წერილი გურიიდან)

პოლიოკტორ ჯიბლაძეს თქვენ, რასაკვირველია, არ იცნობთ. იყო დრო, როცა მას კუთხის მეზობლის გარდა, არავინ იცნობდა, მაგრამ დღეს თითქმის მთელ გურიაშია გავარდნილი ამ ყმაწვილის სახელი.

საქმე უბრალოთ დაიწყო. პოლიოკტორს თვალში დაუჯდა ზომლეთელ გლეხის მოხუც მიხეილ ეორეულიანის ერთად-ერთი ქალიშვილი. ადგა და თავის ამქრებით თავს დაესხა ეორეულიანის სახლს. მისდა სამწუხაროდ გასათხოვარი ქალი სახლში არ აღმოჩნდა. პოლიოკტორმა ეს იუცხოვა და გათენებამდე თავის ძმა-ბიჭებით დაიარეს ყველა მეზობელ გლეხების სახლები. ქალი მაინც ვერსად ნახეს.

მოხუცი ეორეულიანი საქმეს შეუგნებლად დაუხვდა. „მობრძანდით, ჩემს ქალს გიჩვენებთ, მოელაპარაკეთ და, თუ ის თანახმა იქნება თქვენ წაყოლაზე, მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო"-ო, შეუთვალა მან ძალათ მაცხონე სიძეს.

ასედაც მოხდა. მაგრამ მოლაპარაკებამ ვერაფერი სანუგეშო შედეგი მისცა ამაღლობელ „ტარიელს". ქალმა ცივი უარი სტკიცა პოლიოკტორს უღლის გაზიარებაზე. დაწუნებული სასიძო კიდევ უფრო გაბრაზდა და წასვლისას მუქარით განაცხადა: „მე ვყოფილვარ ძაღლის მუცლიდან შობილი, თუ ასეთი თავხედობა ძვირათ არ დაგიჯინეთო".

შეშინებულ მშობლებმა, რომ ხიფათი თავიდან აეცდინათ, გადასწყვიტეს ქალის ზომლეთიდან დროებით გახიზვნა. 20 მარტს მოხუცი ეორეულიანი თავის ქალიშვილით ნიგოითის სადგურზე იყო და თბილისში მიემგზავრებოდა. ის იყო ლანჩხუთიდან გამოვიდა სახალხო მატარებელი და მგზავრები ბილეთების ასაღებათ ჩამწკრივდენ სალაროსთან, რომ უეცრივ სადგურის დარბაზს თავს დაესხა რამდენიმე შეიარაღებული პირები. ეცნენ ტყიდან გამოვარდნილ მხეცებივით ეორეულიანის ქალს და წიწილასავით გაიტაცეს საბრალო მსხვერპლი.

ხალხი დაფრთხა. თავი სასიკვდილოთ ვერავინ გაიმეტა. ისევ მამა დაედევნა ავაზაკებს. უიარაღო მოხუცს აბა რა წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო თავდამსხმელებისათვის? მაგრამ პოლიოკტორმა და მის ამქრებმა ის მაინც არ დაინდვეს და ტყვიით გული გაუგმირეს ქალის მამას. ჭაღარა წვერებ სისხლში გაღებილი მიხეილ ეორეულიანი ავაზაკებმა რკინისგზის ლიანდაგზე მიატოვეს და თვითონ უგზო-უკვლოდ მიიმალნენ.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ გურიას. მილიციაც ფეხზე დადგა. ბოროტმოქმედნი უთუოდ იქნებიან აღმოჩენილნი. საჭიროა მხოლოდ მათი სამაგალითოთ დასჯა. ამას ერთხმად მოითხოვს გურული გლეხკაცობა. ვფიქრობთ, საბჭოთა ხელისუფლება, როგორც ყოველთვის ანგარიშს გაუწევს ხალხის საერთო სულისკვეთებას და ისე დასჯის ამ საზიზღრობის ჩამდენთ, რომ სხვებს მათი წაბაძვის მადა ერთხელ და სამუდამოთ დაეკარგება.

ხაფანგი.

გაგვარკვიეთ, რაშია საქმე

ახლათ გამოცემულ შემკეთებელ მუშებისთვის ინსტრუქციებში პარაგრაფ 10-ში არის აღნიშნული, რომ შემკ. მუშას შეუძლია მოკლევადიანი შვებულება (-დღემდე) მიიღოს გზის ოსტატისგანო.

სად. ლანჩხუთში 1 უბნის სალიანდაგო ნაწილში მე-6-საოსტატოს გზის ოსტატთან მიდის შემკეთებელი მუშა ამხ. შარაბიძე 9 თებერვალს და სთხოვს გზის ოსტატს ერთი დღის შვებულებას, რომელიც აუცილებელია მისთვის და ძლიერ საჩქარო. გზის ოსტატი კი ეუბნება: მე არა მაქვს უფლება უბნის უფროსის მიერ და შენს თხოვნას გავგზავნი უბნის უფროსთან და თუ ნებას დამრთავს გაგიშვებო.

გასაკვირიალია, აქ ან სტყუის ინსტრუქცია ან „პდ" და ან „პჩ—1.

ნუ თუ გზის ოსტატს, როგორც საოსტატოს უფროსს გაჭირვების დროს არ უნდა ჰქონდეს უფლება მუშის გაშვების?

ინსტრუქციის შემდგენს ეს სწორად აქვს გათვალისწინებული, მაგრამ მუშისთვის მაინც მოუხმარებელი დარჩა იგი.

სამმართველოს ვსთხოვ აგვიხსნას ძალაშია თუ არა პარაგრაფი 10 აღნიშნულ ინსტრუქციისა.

მუშა ლაშისპირელი

მუშათა ცხოვრება

ბოროტმოქმედებას არავის შევარჩენთ

28 მარტს მოხდა საერთო კრება მუშათა სახლში (კლარა ცეტკინის ქუჩა № 60). კრებას დაესწრო მდგმურების დიდი უმრავლესობა, როგორც მამა-კაცების აგრეთვე ქალებისაც. განსახილველი იყო ძველი გამგეობის წევრის მოქ. ველმიშენკოს მოქმედება, რომელსაც ბრალათ ედებოდა ზედმეტად წყლის ფულის აკრეფა. იმისათვის, რომ გამორკვეულიყო ის თუ რამდენად სწორი იყო ეს ბრალდება, წარსულ კრებაზე არჩეული იყო ხუთი ამხანაგი, რომელთაც დაევალათ ამ საქმის გამორკვევა. კომისიამ ქალაქის წყალსადენის სამმართველოს საშუალებით სავსებით დაადასტურა წამოყენებული ბრალდება. ამიტომ მუშათა კრებამ დაადგინა მოქ. ველმიშენკო იქნეს მიცემული პასუხისგებაში სასამართლოს წესით.

მუშა გ. ჯ.-რი.

სადგურის თავხედი უფროსი

(რკინისგზის სამმართველოს საყურადღებოდ)

სად. გურჯაანში არის ჟურნალ-გაზეთების, წიგნების და სხვა ლიტერატურის გასავრცელებელი კიოსკი. კიოსკი დაარსებულია 1924 წ. ენკენისთვის 16-ს და ამ ხნის განმავლობაში კიოსკის მუშაობაში ხელი არავის შეუშლია. დღეს კი სად. უფროსი მოქ. ტიტიკო ასათიანი, რაღაც მიზეზის გამო, სდევნის ლიტერატურის გავრცელების საქმეს ხსენებულ სადგურში. ყოფილი აზნაური და „პოლკოვნიკი" ვერ ისვენებს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროსაც და ჯინს ალბათ ლიტერატურის გადაყრაში იკლავს. ეს ვაჟბატონი იმდენათ გათავხედებულა, რომ ამა მარტის 27, კიოსკის გამგე ამხ. შიშნიაშვილის სამუშაო მაგიდა თავის ჟურნალ-გაზეთებით გარეთ გადაყარა. მიუხედავათ იმისა, რომ ა.-კ. რკინისგზის ეკონომიურ სამსახურის კომერციულმა ნაწილმა, ამა მარტის 25 თარიღით № 83487, გაუგზავნა მოქ. ტ. ასათიანს მიმართვა, რომლითაც სამმართველო ხთხოვდა მას მიეცა საშუალება შიშნიაშვილისათვის განეგრძო ჟურნალ-გაზეთებით ვაჭრობა, მოქ. ტ. ასათიანი—გამხეცებული მაინც დაეტაკა ლიტერატურას და მოქ. კუპუხიძის დახმარებით გარეთ გადაყარა, კიოსკის გამგე შიშნიაშვილიც კი გამოლანძღა.

ნუ თუ რკინისგზა დღემდე ვერ განთავისუფლდა ძველი ჩინოვნიკებისაგან?

მოსული.

ასეთი მოლარე არ გამოგვადგება

რა ერთხელ და ორჯერ ჩაუდენია სად. ზესტაფონის მოლარე ჯულელს ის, რომ მგზავრებისათვის მას არ მიუცია სამგზავრო ბილეთი. თებერვლის შუა რიცხვებში მატ. № 3-სთვის მოლარე ჯულელს ვსთხოვეთ (სამი ვიყავით) ამხანაგურათ, რათა მოეცა ჩვენთვის სამგზავრო ბილეთები სად. ზესტაფონიდან სადგურ ბელლევამდის (ქუთაისის ხაზ.), მაგრამ მასთან არ გაგვიდა არავითარი ხვეწნა-მუდარა: იგი გვიპასუხებდა: „მე ეს ბილეთები ბავშვებისათვის მაქვს შენახული და არა თქვენთვისო". მოვსთხოვეთ დაუყონებით თანახმად არსებული კანონისა მოეცა სამგზავრო ბილეთები. მან თავისი არ მოიშალა და გვიპასუხა: „სადაც ჯინდათ იქ მიჩივლეთო". (მიუხედავათ იმისა, რომ სამგზავრო ბილეთები მრავალი ჰქონდა). რაღა გზა დაგვრჩენოდა, ავიღეთ ბილეთები სად. შორაპნამდის, შემდეგ კი შორაპნიდან. ნუ თუ ეს კანონიერია, როდესაც ბილეთი. ალბათ მოქალაქე ჯულელს ეზარება მუშაობა.

ასეთ პირებს საბჭოთა ხელისუფლება ასწავლის ჭკუას.

მოქ. კაპანაძე.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **დაეხმარეთ შრომის ინვალიდს.** თელავის მილიციაში უფროს თანამშრომლად მსახურობდა ამხ. გიორგი ალ. ბაგინიანცი, რომელიც ბანდიტებთან ბრძოლაში 1924 წელს მძიმედ დაიჭრა, რის გამო მან დაკარგა შრომის უნარი, მოხსნილი იქნა სამსახურიდან და პენსიაც დაენიშნა 12 მან. 50 კ. რაოდენობით. მას კი სარჩენი ყავს ცოლი და მოხუცი მამა 84 წლისა. ამხ. ბაგინიანცს თუ რამე ჰქონდა, ყველაფერი გაყიდა.

საჭიროა სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა დაეხმაროს მას რომელიმე კოლექტივში სამუშაოზე გაგზავნით.

მუშკორი გ-ნი.

—**შოფერები მაინც არ იშლიან თავიანთ საზიზღრობას.** ისე დღე არ გაივლის, რომ ქალაქში არ გითხრან რაიმე ახალი, შოფერების თავგასულობის შესახებ: აქ ავტომობილი ტრამვაის დაეჯახეს, იქ მგზავრს მოსტეხეს ხელი ან ფეხი, ან და მთლიანად გამოასალმეს წუთისოფელსო. ყოველივე ეს უბედურებები ხდება იმის გამო, რომ შოფერები, მაგარი სასმელებით გალეშლები, და ფრინავენ ქუჩებში ელვის სისწრაფით და ალმასკომის დადგენილებებს არ ასრულებენ.

საჭიროა ეს „ურჯულონი" როდისმე მაინც მოარჯულოთ.

მუშა კარგი.

— **მოსპეთ ეს მავნე ჩვეულება.** ხშირად ქუჩებში ჰყიდიან სხვადასხვა საჭმელებს და ტკბილეულობას, განსაკუთრებით ამას ქვს ადგილი თბ. საგურის გადასასვლელი ხიდის ბოლოში. აქ ჰყიდიან ყველაფერს. არის შემწვარი თევზიც, ხაჭაპურიც და ტკბილეულობაც. ყველაფერ ამას ზედ ეყრება მტვერი, ბინძურდება და გადამდებ სენთა გამავრცელებელ მიზეზად ხდება.

საჭიროა აუკრძალოთ ქუჩაზე სურსათ-სანოვაგით ვაჭრობა.

კურსანტი.

— **ბოროტი განზრახვით ავადმყოფობა შეჰყარა.** 22 მარტს, შუადღისას, საბჭოთა სახლში, რომელიც მოთავსებულია ტურგენევის ქუჩაზე № 7 მდგურმა მოქ. ელენა კოვინამ, რომელსაც ქმარი ჰყავს ტუბერკულიოზით მძიმედ ავად, წინასწარ ბოროტგანზრახვით ეზოდან მისს შესავალ კართან ახლო მდგომ ორ მცირეწლოვან ამხ. ჯავახის ბავშვებს, (ერთი 3 და მეორე 2½ წლისაა) სახეში შეასხა მისი ქმრის ნახველიანი წყალი და ამით დიდ საშიშროებაში ჩააყენა მცირეწლოვანი ბავშვები და მათი მშობლები, რომლების სუსტი აგებულება დაზღვეული არ არის ამ ავადმყოფობის გადადებისაგან.

აქ აშკარა ბოროტი განზრახვაა და საჭიროა პროკურორმა მიაქციოს ამას ყურადღება.

საბჭოთა მუშაკ. კავშირის წევრი (წიგნაკი № 4320).

ჩვენც გვაჩვენეთ ეს სურათი. სრული ორი თვეა მას შემდეგ, რაც თბილისის ცენტრში მდებარე კინოებში აჩვენეს კინო-სურათი—„ვინ არის დამნაშავე"? მაგრამ განაპირა უბნების მცხოვრებლებმა, მუშებმა, ვერ შესძლეს ამ სურათის ნახვა. გაზეთებში რამოდენიმეჯერ იყო წერილი იმის შესახებ, რომ ეჩვენებინათ ეს სურათი მუშათა კლუბებშიც, როგორც მაგ. ლენინის უბნის მუშთა კლუბში და სხ. მაგრამ კინო-სურათი კი ვერ ვნახეთ. ნუ თუ იმის ღირსიც არა ვართ, რომ ჩვენც გვაჩვენოთ კარგი სურათები?

მუსკი.

პროფკავშირებში

გორის მაზრაში პროფმუშაობა ძალზე მოისუსტებს

გორის მაზრის პროფბიუროს ცალკე კავშირებს მდივნებად ყავს ისეთი ხალხი, რომელნიც ჯამაგირით არიან დაინტერესებული და არა საქმით. მაგ. ახალგაზრდათა შორის მომუშავეს ერთხელაც არ მოუწვევია მუშა-მოსამსახურე ახალგაზრდათა კრება და არც ერთი საკითხი არ განუხილავს საერთო კრებაზე.

6 თვის წინათ გორის კომ. მეურნეობათა მუშათა კავშირის სამაზრო ადგილკომი სამაგალითოდ მუშაობდა. ყოველ ორ კვირაში სცემდა საუკეთესო კედლის გაზეთს, აწყობდა ექსკურსიებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, იწვევდა საერთო კრებებს სისტემატიურად და არჩევდა საჭირბოროტო საკითხებს. მაგრამ იმის შემდეგ, რაც ამ კავშირის ხელმძღვანელი მოხსნეს და ახალი დანიშნეს, აღარაფერი გაკეთებულა. კედლის გაზეთი ამ 6 თვეში მხოლოდ 2-ჯერ გამოვიდა; ისიც სხვის საშუალებით. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ 3-ჯერ იყო საერთო კრება. ჯერ არც ერთ კავშირის საერთო კრებას არ მოუსმენია საქართველოს პროფკავშირთა მე-5 ყრილობის შედეგები. საინტერესო ის არის, რომ თვითონ კარგად და თავის დროზედაც ღებულობენ ჯამაგირებს და სხვას კი არაფერ ყურადღებას არ აქცევენ. ეს „პროფმუშაკები" საწევრო გადასახადის შეტანაზე კი მარჯვედ არიან.

მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის საერთო ჯამიდან ღებულობენ 2% კულტ-ფონდის ანარიცხებს, რომელიც უნდა ხმარდებოდეს მათ ე. ი. მუშა-მოსამსახურეთა კულტ-საჭიროებებს. ეს ფულები კი იხარჯება სხვა საჭიროებაზე და არავითარ კულტ-მუშაობას არ ეწევიან ეს ვაჟბატონები. იყო ცდები, რომ წევრთათვის ერთხელ მაინც ეჩვენებინათ კინო-სურათი უფასოდ. ერთ-ერთმა კულტკომისიის წევრმა დაცინვის კილოთი მიმართა კრებას და განუცხადა, რომ, ზარალი გვექნება და არ შეგვიძლიაო".

ნეტავ ვიცოდეთ, თუ რას ხმარდება კულტ ფონდი! ნუ თუ ეს შემოსავალიც ზარალად ჩაითვლება იმ დროს, როდესაც იგი დანიშნულებას არ ხმარდება.

არც ერთი კავშირი არ ცდილობს, რომ უმუშევრები გახადონ კვალიფიკაციურ მუშებად. არც ერთი გამოცდილი საქმის-მწარმოებელი ან მემანქანე, მოანგარიშე, ბუხჰალტერი და სხვა არა ჰყავთ კავშირებს. ეს მდგომარეობა აიძულებს ადმინისტრაციას მათ დაუკითხავად აიყვანოს სამუშაოზე ის, ვინც არ არის კავშირის წევრი და საქმისათვის კი გამოსადეგია.

აქაურ პროფმუშაობას გაჯანსაღება სჭირდება.

მუშკორი სიკო.

დაუღალავი მუშაკი

თბილისის სპეციალისტ ბუხჰალტერებს შორის ცნობილია ტიგრან ფილოიანი, რომელსაც პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 20 წელი შეუსრულდა ამ წელს. ტიგრან ფილოიანმა მიიღო სპეციალური სწავლა-განათლება ყოფ. პეტროგრადის სახელმწიფო კომერციულ სკოლაში, რომელიც გაათავა კომერციის კანდიდატის ხარისხით. უმაღლესი კომერციული სწავლა კი მიიღო ლენინგრადის უმაღლეს კომერციულ მეცნიერებათა ინსტიტუტში და იურიდიული სწავლა კი მიუღია ვენის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

გარდა ამისა ევროპიული ენების (ფრანგული, გერმანული და ინგლისური) შესასწავლად ლექციები უსმენია ჟენევის, პარიზის და ლონდონის კომერციულ კურსებზე. პედაგოგი ფილოიანის სხვადასხვა კურსებზე 20 წლის განმავლობაში, მის მასწავლებლობის დროს ყოფილან 8000-მდე ქალი და ვაჟი მსმენელი, და ეხლა მათგან ბევრს უჭირავთ საპასუხისმგებლო თანამდებობები.

ამხ. ფილოიანი იყო გამგედ კავკასიაში კომერციულ სწავლის გამავრცელებელ საზოგადოებისა, ჰქონდა თავისი კურსები ბუხჰალტერიის და ენების სასწავლებლად. ეხლა გარდა იმისა, რომ გამგე და მასწავლებელია ბუხჰალტერიის სახელმწიფო კურსებზე, ლენინის სახელობის პოლიტექნიკუმშიაც, მას აბარია საანგარიშო მეცნიერებათა კათედრა და აგრეთვე მასწავლებელია მე-3 საწარმოო-ეკონომიურ ინსტიტუტში.

ფილოიანს აქვს გამოცემული აგრეთვე რამდენიმე ნაშრომები ბუხჰალტერიის, ფინანსიურ ანგარიშების და სხვა სპეციალურ საგნების შესახებ.

ჩვენი მხურვალე სალამი და მადლობა მას, დაუღალავ და ენერგიულ მუშაკს!

ნ. ჩ.

პროფმუშაობის ქრონიკა

ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში

— **საწარმოო თათბირების მუშაობა.** ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირმა ქუთაისში ადგილკომებისაგან გამოყო საწარმოო თათბირის ბიურო სათანადო ინსტრუქციების და დირექტივების მიცემით. შემჩნეულია, რომ ადმინისტრაციას არ მოყავს სისრულეში საწარმოო თათბირის დადგენილებანი. ბიურო ამგვარ მოვლენების წინააღმდეგ მიიღებს სათანადო ზომებს.

კოლექტიური ხელშეკრულებანი

ც. გამგეობამ ამხ. ფრუიძეს დაავალა „საქართველოს მარგანეცის" კონცესიონერების და „ზაკპოგრუზის" ადმინისტრაციას შორის დასადებ ხელშეკრულების წინასწარი გადათვალიერება.

საბჭოთა მუშაკთა კავშირის ცენ. გამგეობაში

საკავშირო საბჭ. მუშაკების ყრილობაზე სრულიად საქართველოს საბჭოთა მუშაკების კავშირი აგზავნის ამხ. ამხ. ათოევს და ბიგვავას.

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის ც. გამგეობაში

მუშაობა ქალთა შორის. კომ. მეურნეობის პროფკავშირმა საჭიროდ სცნო ქალთა შორის სამუშაოდ გაადიდოს ინსტრუქტორთა რიცხვი.

მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნეს ც. გ.-ბამ მოისმინა ამხ. წერეთლისშვილის მოხსენება ახალგაზრდათა შორის წარმოებულ მუშაობის შესახებ და სცნო დამაკმაყოფილებლად.

„ავიაქიმის კუთხე". ქალაქის მეეზოვეთა მუშების კლუბთან მოეწყო „ავიაქიმის კუთხე.

საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებელი კარგად მუშაობს. ცენტრალურ გამგეობამ მოისმინა საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლის გამგის მოხსენება განვლილი მუშაობის შესახებ და სცნო იგი სრულიად დამაკმაყოფილებლად.

მოწყობა. პირველ რიგში საწარმოო თათბირები მოეწყობა მსხვილი ტიპის დაწესებულებათა ადგილკომებთან.

საზაფხულო კლუბი. განათლების კავშირმა საზაფხულო კლუბის მოსაწყობად გამოყო კომისია ამხ. ამხ. კირილოვის, ხუნდაძის და ღლონტის შემადგენლობით.

მბეჭდავთა კავშირში.

ახალი საწევრო წიგნაკები. ახლო ხანში მბეჭდავთა კავშირი შეუდგება კავშირის წევრთა ხელ-ახალ აღრიცხვას ახალი საწევრო წიგნაკების დასარიგებლად.

ახალი კოლექტიური ხელშეკრულებები. მბეჭდავთა კავშირი ამ ახლო ხანში ჩაატარებს კამპანიას წარმოება-დაწესებულებებთან ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების დასადებად.

ჟურ. „მბეჭდავი"-ს მუშკორთა თათბირზე მოსკოვში კავშირი დელეგატად აგზავნის ამხ. უმ. ჯაშს.

მილიციის 5 წლის თავის დღესასწაულის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად კავშირმა გამოყო კომისია ამხ. გიორგიშვილის თავმჯდომარეობით.

განათლების მუშაკთა კავშირში.

საწარმოო თათბირების მოწყობა. განათლების მუშაკთა კავშირის ც. გ-ბამ მიზანშეწონილად სცნო საწარმოო თათბირების

ლეჩხუმის სამპროფბიუროში

◆ **უმუშევართა ფონდში ანარიცხების შესაწყვეტად.** ლეჩხუმის სამპროფბიუროს დაავალა ადგილობრივ კავშირებმა თავიანთი გამგეობის სხდომაზე დასვან საკითხი უმუშევართა ფონდში ანარიცხების შეწყვეტის შესახებ.

ფოთის საქალაქო პროფბიუროში

◆ **კოოპერატივის ვალის ჩამოსაწერათ.** ფოთის საქალაქო პროფბიურომ იმსჯელა ფოთის უკვე დამწვარ კოოპერატივის ვალზე, რომელიც მართებს მას ყოფ. საზოგ. „ჩემო"-სი. პროფბიურომ აღძრა შუამდგომლობა „ჩემო"-ს სალიკვიდაციო კომისიასთან ამ ვალის ჩამოწერაზე.

ეკონომიური ცხოვრება

საფეიქრო ქარხნების დროებით დახურვა და ჩვენი ბაზარი

(საუბარი საკავშირო საფეიქრო სინდიკატის რწმუნებულთან ამიერ კავკასიაში ამხ. მორდვოვთან)

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს საკავშირო საფეიქრო სინდიკატის რწმუნებულმა ამიერ-კავკასიაში ამხ. **მორდვოვმა** საფეიქრო ქარხნების დროებით დახურვის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— საფეიქრო ქარხნების დროებით დახურვას საფუძვლად არ უდევს არავითარი განსაკუთრებული პირობები; ქარხნები ჩვეულებრივ ყოველწლიურად იხურება ორი კვირიდან ერთ თვემდე რემონტის საწარმოებლად. მთელი წლის მუშაობით გაცვეთილი მანქანების და მოწყობილობის შეკეთება ჩვეულებრივ ხდება ზაფხულობით, როდესაც ქარხანა იხურება რამოდენიმე ხნით. ეს გარემოება გათვალისწინებულია საწარმოო გეგმაშიც; ასე რომ ამაში არაფერი საშიში არ არის.

მაგრამ წელს საფეიქრო ქარხნების დახურვა ხდება რამოდენიმე ხნით ადრე და ქარხნები ჩვეულებრივზე უფრო დიდხანს იქნება დახურული, რაც აიხსნება ნედლი მასალის მარაგის შემცირებით. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად მიღებულია სასწრაფო ზომები.

უკვე დაწყებულია კამპანია გაზაფხულის მატყლის დასამზადებლად; ამიერ-კავკასიაში მატყლი სხვა რესპუბლიკებზე უფრო ადრე იქნება დამზადებული, რადგან გაზაფხული აქ უფრო ადრე დგება. ამიერ-კავკასიაში დამზადებული მატყლი საჩქაროდ გაიგზავნება მოსკოვში, ასე რომ რემონტის შემდეგ ჩვენს ქარხნებს უკვე ექნებათ საჭირო ნედლი მასალა.

პირველ რიგში დაიხურება მატყლის ქსოვილების დამამზადებელი ქარხნები, შემდეგ კამვოლის ფაბრიკები. კამვოლის ქსოვილები მზადდება საიმპორტო (ინგლისური) მატყლიდან, მაგრამ უკანასკნელ ხანებში იმპორტის თვალსაჩინო შემცირების გამო წამოიჭრა საკითხი ადგილობრივი მატყლის გამოყენების შესახებ.

ამ მიზნით გამოკვლეული იქნა ქართული (თუშური) მატყლი, რამაც დაამტკიცა, რომ ეს უკანასკნელი გამოსადეგია კამვოლის ქარხნებისათვის; **თუშური მატყლიდან მოსკოვში დამზადებული იქნა შევიოტი, რომელიც საკმაოდ კარგი ღირსების აღმოჩნდა.** მოსალოდნელია, რომ ჩვენი ქარხნები მომავალში მთლიანად გადავლენ ადგილობრივ მატყლზე.

რაც შეეხება იმას, თუ რა გავლენას მოახდენს ქარხნების დახურვა ამიერ-კავკასიის ბაზარზე, მე შემიძლია განვაცხადო, რომ **ქარხნების დროებით დახურვა საგრძნობი არ იქნება ამიერ-კავკასიისათვის. ეს უკანასკნელი ფართალს მომავალშიაც მიიღებს იმ წესით და იმდენსვე, რამდენსაც ილებდა აქამდე.**

ჩვენ უკვე შევიმუშავეთ მიმდინარე წლის მესამე კვარტალის გეგმა, რომლის მიხედვით ამიერ-კავკასია მიიღებს 259 ვაგონ ფართალს; ამას გარდა, კერძო პირების მიერ შემოტანილი იქნება კიდევ 30 ვაგონამდე მანუფაქტურა, ასე რომ **ფართალის ნაკლებობას ჩვენში ადგილი არ ექნება.**

თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ამიერ-კავკასიაში შემოდის შინა-მრეწველთა მიერ დამზადებული ფართლეულობაც, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქარხნების დროებითი დახურვა არავითარ გავლენას არ მოახდენს ამიერ-კავკასიის ბაზარზე.

მ.

—o—

თამბაქოს ნათესების სივრცის გაფართოება

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ცნობებით, გასული წლის განმავლობაში საქართველოში (კახეთში, გურიაში და სამეგრელოში) თამბაქო დათესილი იყო 1.400 დესეტინამდე.

თუ წელს კრედიტი ცენტრიდან მიღებული იქნა სათანადო რაოდენობით, ნათესების განვითარება წრეულს შეიძლება დაახლოვებით 1.800-დან 2.000 დესეტინამდე ავიდეს.

მიმდინარე წლის საკრედიტო გეგმაში შეტანილია კრედიტი დაახლოვებით 1.000 დესეტინისათვის; აქ მხედველობაში მიღებულია ავანსების ის რაოდენობა, რომელიც გაცემული იყო შარშან; მაგრამ შარშანდელი ავანსები, როგორც გამოირკვა, მცირე იყო, საჭიროა დესეტინაზე ავანსი არა 400 მანეთი, არამედ 600 მანეთამდე.

თამბაქოს ნათესების გაფართოებისათვის საჭიროა კრედიტი 1.500 დესეტინის ანგარიშით, თვითეულ დესეტინაზე 600 მანეთი; აქედან მესამე კვარტალში საჭიროა 600.000 მანეთი, წინანდელი გეგმით კი მესამე კვარტალში საჭირო კრედიტის რაოდენობა განსაზღვრულია 287.000 მანეთით.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა შუამდგომლობა აღძრა საგეგმო კომისიის წინაშე, რათა მესამე კვარტალის კრედიტი გადიდებული იქნეს 600.000 მანეთამდე, რადგან 287.000 მანეთი მეტად მცირეა გეგმით გათვალისწინებულ სივრცის დასათესავად.

ამასთანავე სასოფლო-სამეურნეო ბანკს აუცილებლად მიაჩნია, რომ აღნიშნული თანხის 15 პროცენტი გადაეცეს მას 15 აპრილამდე. აღნიშნულ ანგარიშში არ შედის აფხაზეთის საჭიროება, რადგან ამის შესახებ ბანკს ამ ჟამად არ აქვს სათანადო ცნობები.

საბჭოთა აღმშენებლობა

ბათომის საფანერო ფაბრიკის გაფართოება

ორი კვირის წინად აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველოს საფანერო ფაბრიკამ საბჭოთა რუსეთის საამშენებლო ამხანაგობისაგან მიიღო დიდი შეკვეთები ფანერზე. ვინაიდან შეკვეთები იმდენათ დიდია, რომ ფაბრიკის განკარგულებაში მყოფი დაზგებით შეუძლებელია შეკვეთის სავსებით შესრულება, ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველომ გადასწყვიტა გააფართოოს ფაბრიკა. მუშაობას უკვე შეუდგენ. იდგმება ახალი ელექტრო-მამოძრავებელი და რამოდენიმე ახალი დაზგა.

ახალი სახერხი ქარხნის აგება

აბაშის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო მუშაობის გაფართოებისა და აგრეთვე სენაკის მაზრის სხვადასხვა რაიონებში გაცხოველებულ საბინაო მშენებლობის გამო, მოთხოვნილება ხე-ტყის მასალაზე ერთიორად გაიზარდა. ამჟამად მომქმედი ხე-ტყის დამამუშავებელი ქარხნები ველარ აკმაყოფილებენ საჭიროებას.

სენაკიდან მიღებულ ცნობებით, დიდი-ჭყონის სათემო საბჭო შეუთანხმდება აბაშის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო კომიტეტს იმის შესახებ, რომ ააგონ ხე-ტყის სახერხი ქარხანა დიდი-ჭყონის თემში. ქარხანა დააკმაყოფილებს, როგორც სადგურის, ისე სოფლის მოთხოვნილებებს.

ქარხნის აგებას უკვე შეუდგენ. ერთ თვის განმავლობაში დადგმული იქნება ლოკომობილი და ორი სახერხი მანქანა. ქარხნის ამუშავების შემდეგ ფასები ხე-ტყის მასალაზე, რომელიც ამჟამად მიუწვდომლად ძვირია, საგრძნობლად დაიკლებს. ადგილობრივი გლეხობა ყოველმხრივ ხელს უწყობს ქარხნის აგებას.

ოზურგეთის აბრეშუმის ფაბრიკა

ამ რამოდენიმე კვირის წინად შეჩერებულ იქნა ოზურგეთის აბრეშუმის ფაბრიკის საამშენებლო მუშაობა, იმის გამო, რომ ფაბრიკის შენობის ასაგებათ არ იშოვებოდა კარგი ღირსების ცემენტი. ერთი კვირის წინად ქარხანა „პროლეტარი"-დან მიღებულ იქნა 20 ათასი ფუთი ცემენტი და მუშაობაც განახლდა. ფაბრიკის აგება დამთავრდება ივლისისთვის.

ხორცის ბაზარზე

მარტის 20-მდე თბილისის ხორცის ბაზარზე გაყიდული იქნა 154.243 მანეთის საკლავი საქონელი.

გარიგებების მიხედვით გაყიდულია მსხვილფეხა საქონელი—912 სული 142.311 მანეთის. ცხვრები 114—3.010 მანეთის და ღორები 173—8.922 მანეთის.

მიმდინარე თვის 8-დან 20-მდე თბილისში შემორეკილი იქნა დასაკლავად: ხარები—773; ძროხები—98; კამეჩები—216; წვრილფეხა საქონელი: ცხვარი—843 და ღორები—342.

ფასები ჩრდილოეთ კავკასიის საქონელზე საშუალოზე მეტია: საშუალო სიმსუქნის საქონელი ღირს 7 მან და 40 კაპ. ფუთი, ყარსის საქონელი—6 მან. და 15 კაპ., კამეჩები—5 მან. და 20 კაპ. ადგილობრივი საქონელი—5 მან.

მოთხოვნილება სავსებით კმაყოფილდება. დასაკლავი საქონელი უმთავრესად შემოდის ჩრდილოეთ კავკასიიდან, რის გამო ადგილობრივი და ყარსის საქონლის ფასები ეცემა.

აღნიშნული დროის განმავლობაში დაკლული იქნა: მსხვილფეხა საქონელი: 1.149, ბაზარზე გამოშვებულია ხორცი 15.127 ფუთი; დაკლულია წვრილ-ფეხა საქონელი 1.126—ბაზარზე გამოშვებულია ხორცი—1.547 ფუთი; ღორები დაკლულია 389, ბაზარზე ხორცი გამოშვებულია 1.500 ფუთი.

ნედლეული მასალის დამზადება

მატყლი

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გეგმის მიხედვით, წელს გაზაფხულის მატყლი დამზადებული უნდა ყოფილიყო ამიერ-კავკასიაში 71 ათასი ფუთი.

ფაქტიურად კი გეგმა შესრულებულია 125 პროცენტით,—ე. ი. დამზადებულია 86.622 ფუთი მატყლი.

მატყლის დამზადების სეზონი წარმატებით დამთავრდა; შეფერხებას თანხების მოწოდებაში ადგილი არ ჰქონებია. მატყლის მინიმალური ფასები დაწესებული იყო ამ.-კავ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ.

აბრეშუმის პარკი

მიმდინარე წელში ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში დამზადებული იქნა 237 ათასი ფუთი ნედლი პარკი. ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გეგმის მიხედვით, აქედან მიღებული უნდა იქნეს 200 ათასი ფუთი ხმელი პარკი. ჯერ-ჯერობით კი დამზადებულია 170 ათასი ფუთი.

ბამბა

წელს ა.-კ. საბამბო კომიტეტის მიერ ამიერ-კავკასიაში დამზადებულია 4.030 ათასი ფუთი ნედლი ბამბა.

სოფლის მეურნეობის შემოსავალი

წინასწარი ანგარიშით, სოფლის მეურნეობის ძირითად დარგების პროდუქტებში გლეხებმა მიიღეს დაახლოვებით შემდეგი თანხები: ბამბაში—18.135 ათასი მანეთი, მატყლში—794 ათასი მან., აბრეშუმის პარკში—2.655 ათასი მანეთი და თამბაქოში—9.260 ათასი მანეთი; სულ კი—30.845 ათასი მანეთი.

საამშენებლო მასალა თბილისის ბაზარზე

აგური

გასულ წელთან შედარებით, მომავალ საამშენებლო სეზონისათვის აგურის წარმოება გაორკეცებულია. 7 მილიონი აგურის ნაცვლად (რომელიც შარშან დამზადდა) წელს დამზადებულია 15 მილიონი აგური. გარდა ამისა, საამშენებლო მასალის ტრესტის ქარხნები „სამშენ"-თან დადებულ ხელშეკრულების ძალით დაამზადებენ 5 მილიონ ცალ აგურს. რაოდენობის ზრდასთან ერთად შესამჩნევად გაუმჯობესდა აგურის ღირსება. აგურის ქარხნები ამ მოკლე ხანში შეუდგებიან გერმანული ტიპის აგურის კეთებას; ეს უკანასკნელი ზომით 10 მილიმეტრს უდრის და უფრო მეტად ეკონომიურად მოსახმარია, ვიდრე ამჟამად არსებული აგური.

ცემენტი

ამიერ-კავკასიის საჭიროებისათვის ყოველთვიურად რესპუბლიკის ცენტრებში მოდის, დაახლოვებით 6.300 ათასი ფუთი ცემენტი. მომავალი საამშენებლო სეზონისათვის დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით ჩვენში შემოტანილი უნდა იქნეს 3 მილიონი ფუთი ცემენტი; აქედან ნახევარი უკვე მიღებულია.

რკინის საამშენებლო მასალები

საამშენებლო რკინეული მასალა ძალიან ნაკლებათ იშოვება ბაზარზე და ალბად ეს მდგომარეობა უცვლელი დარჩება ჯერ-ჯერობით. განსაკუთრებით დიდი ნაკლებობა არის სახურავი რკინისა, წყალსადენი მილებისა, დახარისხებული რკინეულის და სხვა.

ამ მასალის შემოტანის გადიდება არ არის მოსალოდნელი და ამიტომ მოუხერხებელი იქნება მოთხოვნილებების სავსებით დაკმაყოფილება. ყოველთვიურად საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან მოდის 30 ვაგონი რკინეული; სოფლის ბაზრის მოთხოვნილების სავსებით დასაკმაყოფილებლად საჭიროა 60 ვაგონი რკინეული, რაც შეეხება ლურსმებს, საკეტებს, კარის სახურებს და სხვა, ეს მასალა საწყობებში ბევრი იშოვება.

მინები

ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია შემოსატანი მინების რაოდენობა. ამჟამად ბაზარი განიცდის მინების ნაკლებობას. მოთხოვნილება მინებზე განსაკუთრებით იმატებს ზაფხულის ამინდას.

წითელ პროფესურის ინსტიტუტში

მიღების პირობები 1926—27 სასწავლო წელს*)

მიმდინარე წელს მიღება სწარმოებს შემდეგ განყოფილებებზე: 1) ეკონომიურზე, 2) ფილოსოფიურზე, 3) ისტორიულზე, 4) უფლების და 5) მოსამზადებელ გან-ბაზე.

ძირითად განყოფილებებზე მიღების პირობები:

1) ყველა განყოფილებებზე მიიღება მხოლოდ ს. კ. პ. (ბ) წევრები, 5 წლიანი პარტიული სტაჟით.

შენიშვნა: მუშებისათვის ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გამონაკლისის დაშვება პარტ-სტაჟის შემცირების მხრივ.

2) იმ ამხანაგებმა, რომელთაც სურთ წითელ პროფესურის ინსტიტუტში შესვლა უნდა წარმოადგინონ ინსტიტუტის სამმართველოში (ოსტოჟენკა, 53) არა უგვიანეს 1926 წლ. მაისისა: 1) ს. კ. პ. (ბ) ც.-კ-ტის, ნაციონალურ რესპუბლიკების ც. კ-ტის, საოლქო კომიტეტების ან ს. კ. პ. (ბ) საგუბ. კომიტეტების რეკომენდაციები, 2) განცხადება მისამართით; 3) მოკლე ავტობიოგრაფია, 4) დამოწმებული პარტ-სტაჟი; 5) სამხედრო მოწმობის ასლი; 6) მედიკურ კომისიის მოწმობა ჯანმრთელობის შესახებ უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში და 7) დაბეჭდილი შრომები (თუ კი ასეთი მოეპოვებათ) განცხადებაში უნდა იყოს მთხოვნელისათვის სასურველი თემა შესასვლელ სამუშაოსათვის და აგრეთვე განყოფილება, რომელზედაც სურს შევიდეს.

შენიშვნა: ამხანაგებს, რომელთაც სურთ საბუნებ.-მეტყველო განყოფილებაზე შესვლა,—რომლის მიზანია დასრულებული მომზადება მისცეს ამხანაგებს ბუნებისმეტყველების და ფილოსოფიის დარგში,—არ მოეთხოვებათ დაწერილი შრომის წარმოდგენა, მაგრამ უნდა წარმოადგინონ უმაღ. სასწავლებლის დამთავრების ან მისი კურსის დასრულების მოწმობა, სპეციალურ, (სადიპლომო) შრომის გარდა.

3) განცხადებებს არჩევს სამანდატო კომისია ს. კ. პ. (ბ) ც. კ-ტის წარმომადგენლის თანადასწრებით და შემდეგ ეგზავნება ინსტიტუტის სამმართველოს. თუ საკითხი დადებითად გადაიჭრა სამმართველო უფლებას აძლევს მთხოვნელს წარმოადგინოს დაწერილი შრომა. სამუშაო თემის შერჩევა ხდება ინსტიტუტში მიმღებ კომისიასთან შეთანხმებით, რომელიც აწარმოებს ზეპირ კოლოქვიუმს. დაწერილი შრომის წარდგენის საბოლოო ვადათ დაწესებულია 1926 წ. 1 ივლისი.

4) ყველა მთხოვნელი, რომელთა მიერ დაწერილი შრომა დამაკმაყოფილებლად იქნება მიჩნეული, დაიშვება ზეპირ კოლოქვიუმზე 1-ლ სექტემბრიდან—15 სექტემბრამდე, რომლის შემდეგაც მმართველობას აქვს საბოლოო მსჯელობა კანდიდატურის შესახებ.

5) ინსტიტუტის რომელიმე განყოფილებაზე შესვლის მსურველი გამოიცდება ფილოსოფიაში და თეორეტიულ ეკონომიკაში. გარდა ამისა ისინი, ვისაც სურთ შევიდენ ფილოსოფიურ, ეკონომიურ, ისტორიულ ან უფლების დარგზე გამოიცდებიან ისტორიაში, უფლების დარგზე შესვლის მსურველნი, უფლების თეორიაში, საბუნებისმეტყველო დარგზე შემსვლელები ფილოსოფიაში და ეკონომიკაში. გამოცდების გარდა აუცილებელია კოლოქვიუმი თეორეტიულ ბუნებისმეტყველების საკითხებში. ყველა შემსვლელთათვის სასურველია ერთ-ერთ უცხო (ევროპიული) ენის ცოდნა.

6) ინსტიტუტში მიღებული ამხანაგები შრომის და თავდაცვის („СТО") საბჭოს დადგენილების თანახმად იხსნებიან თავის ძველ სამუშაოდან და გადაყვანილი იქნებიან ინსტიტუტში.

7) მსმენელნი უზრუნველყოფილნი არიან ფულით და შეძლებისდაგვარათ ბინითაც. ლიტერატურა, რომელიც საჭიროა ზეპირ კოლოქვიუმისათვის გამოქვეყნდება ჟურნალ „Под знаменем Марксизма"-ში № 1-2 და „Коммунистическая революция" № 3.

მოსამზადებელ განყოფილებაზე შესვლის პირობები

1) მოსამზადებელ განყოფილების მიზანია ამხ. ამხ. მომზადება წითელ პროფესურის ინსტიტუტში შესასვლელად. მოსამზადებელ განყოფილებაზე სწავლის ვადა განსაზღვრულია 2 წლით.

2) მოსამზადებელ განყოფილებას აქვს ერთიანი პროგრამა და არ იყოფა ცალკე განყოფილებებათ.

3) მოსამზადებელ განყოფილებაზე მიიღება ამხ. ამხ. (რომელთაც დაამთავრეს მუშფაკი, ან აქვთ შესაფერი საერთო მომზადება, აქვთ სამწლიანი პარტ-სტაჟი და მასიურ პარტ-მუშაობის გამოცდილება (განსაკუთრებული უფლებით სარგებლობენ მუშები და მუშათა წრიდან გამოსული ამხ. ამხ.).

4) კანდიდატებათ მოსამზადებელ გაყოფილებაზე ინიშნებიან დედა ქალაქების და მსხვილ ცენტრების მუშფაკების პრეზიდიუმის მიერ და შემდეგ მტკიცდება ს. კ. პ. (ბ) საგუბერნიო ან საოლქო კომიტეტის მიერ.

5) კურსებზე ჩარიცხულთა რაოდენობა განისაზღვრება ყოველ მიღების დროს, ხოლო განწესრიგება ხდება საქ. კომ. პარტ. (ბ) ცეკას სააგიტ.-საპროპ. განყოფილების მიერ.

6) იმ ამხანაგებმა, რომლებიც იგზავნებიან მოსამზადებელ განყოფილებაზე, უნდა წარმოადგინონ გამგეობაში (ოსტოჟენკა, 53) არა უგვიანეს ა. წ. 15 ივლისისა—1) განცხადება მისამართის აღნიშვნით, 2) მოკლე ავტობიოგრაფია, 3) შემოწმებული პარტიული სტაჟი, 4) დაწესებულების მივლინება, შემოწმებული საგუბერნიო ან საოლქო კომიტეტის მიერ და აგრეთვე 5) მოწმობა მუშფაკის ან სხვა რომელიმე სასწავლებლის დამთავრების შესახებ, 6) სამხედრო მოწმობის ასლი და 7) საექიმო კომისიის დასკვნა ჯანმრთელობის შესახებ უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში.

წარმოდგენილ მოწმობებს გაარჩევს სამანდატო კომისია (ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მონაწილეობით).

7) იმ პირთათვის, რომლებიც დაშვებული იქნებიან სამანდატო კომისიის მიერ, იწარმოებს გამოცდები 1926 წ. 15 სექტემბრამდე.

8) მოსამზადებელ კურსებზე ჩარიცხვისათვის საჭიროა შემდეგი ლიტერატურის ცოდნა:

I) **პოლიტიკურ ეკონომიაში:** კაუცკი—კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრება. **მიხალევსკი** პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი. **ლენინი,** იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უახლოესი ეტაპი. **კრიცმანი,** ახალი ეკონომიური პოლიტიკის არსებობის სამი წელი. **ლენინი,** სასურსათო გადასახადი.

II. **ისტორიულ მატერიალიზმში.** **ბუხარინი.** ისტორიული მატერიალიზმის თეორია. **ენგელსი**—სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებამდე. **მარქსი და ენგელსი.** კომუნისტური მანიფესტი, რიაზანოვის კომენტარიებით.

III. **ისტორიაში:** პოკროვსკი—რუსეთის ისტორია (სულ მოკლე მიმოხილვა). სამი ნაწილი. **ლუკინი,** რობესპიერი. **სტეკლოვი** 1848 წლ. რევოლიუცია საფრანგეთში. **მარქსი** სამოქალაქო ომი საფრანგეთში. **სტეპანოვი** პარიზის კომუნა. **კაუცკი.** კლასობრივ ინტერესების წინააღმდეგობა 1789 წ. **მოწოხოვი**—სამრეწველო კაპიტალიზმის წარმოშობა ინგლისში. **არკ-ანი** მუშათა მოძრაობის სამი ტიპი (ინტერნაციონალების შესახებ).

ამის გარდა საჭიროა საერთო ხასიათის მომზადება მუშფაკის ფარგლებში, და ცოდნა საქ. კომ. პარ. (ბ) ისტორიის ძირითადი ფაქტებისა.

9. ნივთიერ უზრუნველყოფის მხრივ მოსამზადებელ განყოფილების მსმენელები გათანაბრებული არიან წითელ პროფესურის ინსტიტუტის ნამდვილ მსმენელებთან.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. სააგიტ.-საპროპაგანდო განყოფილება.

---

*) წითელი პროფესურის ინსტიტუტში შესვლის მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ საქ. კომ. პარ. (ბ) ცეკას სააგიტ.-საპროპაგანდო განყოფილებაში.

მოხსენებები მენშევიკების „მოღვაწეობაზე"

(წერილი ქუთაისიდან)

23 მარტს, ამხ. ა. ხელაძე და მე ჩავედით ქუთაისში. კრება დანიშნული იყო ქალაქის აკადემიურ თეატრში. ხალხი ბლომად მოაწყდა კრებას. დარბაზში ტევა აღარ იყო და ბევრი უკან დაბრუნდა. მოხსენება დაიწყო საღამოს შვიდი საათის ნახევარზე და თორმეტის ნახევრამდე გასტანა. ალფეზი დინჯათ და დალაგებით აშუქებს საკითხს.

ის ქრონოლოგიურათ და უტყუარი საბუთებით ადასტურებს ყველა მომენტებს, როგორც მენშევიკების ბატონობის დროს, ისე მთავრობის საზღვარ-გარეთ გადახვეწის შემდეგ. მომხსენებელი იხსენებს იმ მომენტებს, როცა იყო შემთხვევები ბოლშევიკებთან მოსალაპარაკებლად სადაო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა-მოგვარებისათვის.

დასასრულ მრავალი საქმიანი შეკითხვები იყო. ყველა შეკითხვებზე მომხსენებელმა გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი და კრება კმაყოფილი დაიშალა.

მეორე დღეს, 24 მარტს, გავემგზავრეთ ტყიბულში, სადაც დანიშნული იყო კრება ნაშუადღევის 5 საათისთვის. აქ დიდი თეატრის დარბაზი სულ მაღაროს მუშა-მოსამსახურეებით იყო გავსებული.

ამხ. ხელაძემ აქაც ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება გააკეთა. კრებამ ღამის თერთმეტ საათამდე გასტანა.

26 მარტს, გავემგზავრეთ დაბა სამტრედიაში, სადაც საღამოს ხუთი საათისათვის დანიშნულია საერთო კრება.

ლ. კუპრაშვილი.

საბჭოთა სასამართლო

საკავშირო ფულების გაფლანგვისათვის

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. **პაპავას** თავმჯდომარეობით გაარჩია ნიკოლოზ **ჯაბიაშვილის** საქმე. ბრალდებულს იცავდა დამცველთა კოლეგიის წევრი **გორდეზიანი,** ბრალს სდებდა პროკურორი **ბარამიძე.**

ნ. ჯაბიაშვილს ბრალათ ედება 1.535 მ. და 75 კაპ. გაფლანგვა კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის კულტგანყოფილების გამგეთ ყოფნის დროს.

სასამართლომ მხარეების კამათის შემდეგ, მოწმეების ჩვენებით და საქმეში დართულ მასალების მიხედვით ბრალდება დამტკიცებულად სცნო და დაადგინა: ბრალდებულ ნ. ჯაბიაშვილს 1.535 მან. და 75 კაპ. გაფლანგვისათვის მიესაჯოს შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით.

გაუფრთხილებლობის მსხვერპლი

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. **ბერიშვილის** თავმჯდომარეობით გაარჩია შოფერ შალვა სვანიძის საქმე.

სვანიძეს ბრალათ ედება მოქ. ხუხუნაიშვილის 8 წლის ბავშვის ავტომობილით გასრესა.

სასამართლოში გამოირკვა, რომ სვანიძეს არ მიუცია გამაფრთხილებელი ნიშანი ბავშვისათვის, ასე რომ უბედური შემთხვევის მიზეზი შოფერის დაუდევრობა ყოფილა.

სასამართლომ ბრალდებულ სვანიძეს მიუსაჯა ერთი წლით დატუსაღება.

შურისძიება

სასამართლოში ზის ახალგაზრდა მომჩივანი ქალი **ნ. ტელჩინავა.**

მან უამბო სასამართლოს, რომ ის მითხოვილი იყო **არმენაკ ვასკანიანცზე.** რამდენიმე თვე კარგად ცხოვრობდენ. შემდეგ ვასკანიანცმა დაიწყო ლოთობა და ოჯახს ყურადღებას არ აქცევდა, დაიწყო უმიზეზოთ იჭვიანობა და სხვა. რომ თავი დამეღწია ასეთ უმწეო მდგომარეობიდან იძულებული ვიყავი მშობლებთან წავსულიყავი. ერთ დღეს, ღამით, ვასკანიანცი თავისი ამხანაგი **ლიუზინოვის** მონაწილეობით თავს დამესხნენ და ტყეში გამიტაცეს. ბევრი მცემეს. ჩემი ყოფილი ქმარი მეუბნებოდა „ხომ ვიძიე შური". ცემით რომ გული მოიჯერეს ხევში გადამაგდეს. ხევში უცნობმა პირებმა მნახეს, წამიყვანეს და მიაქიმეს. მე ვსთხოვ სასამართლოს,—ჩემი უკანონოთ დატანჯვისათვის დასაჯოს ვასკანიანცი და ლიუზინოვი.

მოწმეები ადასტურებენ ტელჩინავას ქალის ჩვენებას.

ბრალდებულები არ სცნობენ თავს დამნაშავეთ.

სასამართლომ ვასკანიანცს და ლიუზინოვს მიუსაჯა რვა-რვა წლით [illegible] დაპატიმრება.

მათხოვრები

დიდი მოსაზრებელი ხალხია ეს მათხოვრები, მეტადრე ძუნწი და გულქვა ხალხისთვის.

მაგრამ მათხოვრებშიაც არის გარჩევა: არიან ტრამვაიზე ყველას, რომ უწყალებენ გულს. ზოგიერთები—შუა ღამისას ყრუ კუთხეში სხედან მუნჯათ და თავიანთი განკითხვა უსიტყვოდ მიუნდვიათ გამვლელის გულჩვილობისთვის. არიან ისეთები, რომელნიც უზომოდ კვნესიან და ჰგოდებენ, რომ კაცში ძალად გამოიწვიონ შებრალება.

მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ თავიანთი უნარის მიხედულობით, მათხოვრებშიც არის რაღაც ეშხი და ლამაზი თავისებურობა:

ბევრ სანაპირო ქალაქებში ლაზღანდარა ბავშვები სწავლობენ დახელოვნებულ თვალგახელილ ცურვას ზღვის სიღრმეში. მოგზაურებსა სთხოვენ, რომ ლითონის ფული გადაუყარონ შიგ ზღვაში. შემდეგ ეს ბიჭები ისე იჭერენ შუა წყალში, რომ ერთხელ არ ასცდება და არ გაუშვებენ ძირისკენ.

ნეაპოლში ჩვეულებათ აქვთ ქუჩის ბავშვებს: მოგზაურების წინ დაიწყებენ მთელ ჯამბაზურ ვარჯიშობას და მალაყებზე გადასვლას. მხოლოდ ამის შემდეგ სთხოვენ ერთ-ორ გროშს.

ან კიდევ საქართველოს სამხედრო გზაზე: რა დაინახავენ სოფლის ბავშვები შორიდან მომავალ ავტომობილს, წინ, შუა გზაზე მორთავენ საუცხოვო ცეკვას და მოახლოვებისას მინდვრის ყვავილებსაც ესვრიან, რომ სამაგიეროდ მგზავრებმაც ესროლონ რამოდენიმე გროში.

ესეც ხომ წმინდა წყლის მათხოვრობაა, მაგრამ რადგან ცოცხლათ არის დაკავშირებული სილამაზესა და ხელოვნებასთან, ამიტომ მგზავრსაც არ ენანება მათზე წყალობის გაცემა.

აგრეთვე მჭერმეტყველობასაც ყოვლად საპატიო ადგილი უჭირავს ზოგიერთა მათხოვრებისათვის.

აი, თუნდა, ვის არ უნახავს ვერაზე კარგად ცნობილი ერთი უსინათლო მათხოვარი. ის საგანგებოდ იქცევს ყველას ყურადღებას თავისი რიხიანი შეძახილით და ლამაზი მოკვეთილი გამოთქმით.

რომელ მსახიობს არ შეხარბდება მისი საღი გამოთქმა?

რომელ მხედარს არ მოინატრება მისი რიხიანი და ვაჟკაცური შეძახილი:

— გაიკითხე ამხანაგებო!

— საქართველოს გულის ვარდებო!

— ბარაქა მისცეს თქვენს მარჯვენას!

თითქმის ყოველი გამვლელი ღიმილითა და სიამოვნებით გადაჰხედავს ხოლმე მას.

ეს მათხოვარი ნამდვილი ცოცხალი კალენდარია: მას არ გამოეპარება [illegible] უქმე, არც-ერთი დღეობა და წინა [illegible] აუწყებს ყველა გამვლელ-გამომვლელს.

ეს უეჭველად თავისებური ტიპია, რომელიც მათხოვრობაშიც კი აკვესებს რაღაცა განსაკუთრებული ძალით.

როცა კი წყალობას მიიღებს, მაშინ იმისი სამადლობელი ლოცვა ხომ ნამდვილ ვაჟკაცურთ ხელის ჩამორთმევას უდრის.

აი კიდევ ენა მოქარგულ მათხოვრების ნიმუში: რუსთაველის პროსპექტზე მიდის ქალ-ვაჟი.

გვერდში ცქვიტად აედევნა ქურთის გოშერა გოგონა და გალობის კილოთი გაძახის:

„—ჯია-ჯია! ჰა, ჯია-ჯია! ტვაია ჟენა კრა-სივაია! ტვაია ჟენა ზო-ო-ლოტო!".

ვერ გასჭრა გოგონას ხოტბათა ხმამ. ვერ დასტყუა ცოტაოდენი ხურდა.

აქ გაბრაზებულმა გოგონამ შესცვალა კილო:

„—ტვაია ჟენა ნე კრასივაია! ტვაია ჟენა ნე ზოლოტო! ტი ნე ხაროში ჯია-ჯია!

და გოგონა გარბის მეორე წყვილთან, რომ ახლა იმათ შეასხას ქებათა-ქება.

მაგრამ ვინ იცის! ისინი კი [illegible] იმის მოსწრებულ ოქროპირობ[illegible]

საექსკურსიო ბიურო

საქართველოს პოლიტიკური განათლების მთავარ მმართველობასთან დაარსდა ცენტრალური საექსკურსიო ბიურო, რომელშიაც შედიან პროფსაბჭოს, ქალთა განყოფილების და განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები.

მუშაობაში ჩაბმული არიან აგრეთვე აქტიური მუშაკები-მეთოდისტები. საექსკურსიო ბიუროს ამოცანას შეადგენს ხელმძღვანელობა გაუწიოს საექსკურსიო საქმეს საქართველოში, მოაწყოს ექსკურსიები როგორც ადგილებზე, ისე რესპუბლიკის გარეთაც. და აგრეთვე მიიღოს საქართველოში ჩამოსული ექსკურსანტები და გააცნოს მათ ქვეყნის ღირსშესანიშნავი ადგილები.

ჩამოსულთათვის მთავარ პუნქტებში გახსნილი იქნება საექსკურსიო ბაზები. ექსკურსიების ხელმძღვანელთათვის პოლიტიკური განათლების მთავარი მმართველობა საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან ერთად ხსნის მოკლევადიან კურსებს.

სრულიად საკავშირო საექსკურსიო კონფერენციაზე, რომელიც მოწვეული იქნება მოსკოვში აპრილის შუა რიცხვებში, გაგზავნილი იქნებიან საექსკურსიო ბიუროს წარმომადგენლები.

ქრონიკა

მისალოცი დეპეშები

სახალხო კომისართა საბჭომ მისალოცი დეპეშები მიიღო ფოთის საბჭოთა მეხუთე, დუშეთის სამაზრო საბჭოთა მეექვსე და ზუგდიდის სამაზრო საბჭოთა მეოთხე ყრილობისაგან.

თბ. ალმასკომში

◆ **ტრამვაის მუშათა სახლის ასაგებათ** თბ. ალმასკომმა გადასდო 1.900,000 მან.

◆ **კეთილმოწყობა.** თბ. ალმასკომმა ქ. კეთილმოწყობის განყოფილებას დაავალა, გამშვენიერების მიზნით თვალსაჩინო შენობების ფასადები გადააკეთოს ქართულ სტილზე. პირველ რიგში გადაკეთებული იქნება საფეიქრო ტრესტის ფასადი.

◆ **ზაჰესისათვის** წყლის დაგუბების გამო, მტკვარის ნაპირებზე მოსახლე გლეხების დაზარალების ასანაზღაურებლათ თბ. ალმასკომმა გადასდო საჭირო თანხა.

ჯანსახკომში

◆ **დამნაშავე პიროვნებათა შესწავლა.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა მოაწყოს დანაშაულობის ჩამდენ პიროვნებათა შემსწავლელი კაბინეტი.

◆ **ფარმაცევტთა კურსები.** 1 მაისს მოხდება ჯანსახკომის მიერ დაარსებულ საფარმაცევტო კურსების კურსანტთა გამოშვება აფთიაქებში მოწაფეობის მოსპობის მიზნით.

თბ. დამზღვევ სალაროში

◆ **დახმარება უმუშევრებს.** 1 აპრილს დამზღვევი სალარო მისცემს დახმარებას იმ მუშებს, რომლებიც სალაროში აღირიცხენ მარტის პირველ რიცხვებში.

◆ **ბავშვთა ჯანმრთელობის მიზნით** სალარომ გადასწყვიტა გამრავლოს დაზღვეულთა ძუძუ-მწოვარა ბავშვების სამრჩეველო კომისიები.

მევენახეობისათვის საჭირო მასალების მიღება

ამიერ-კავკ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო ცნობა, რომ 29 მარტს ბათომში მარსელიდან მოვიდა გემი დატვირთული ა.-კავკასიის სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მასალებით. მიღებულია: 800 ათასი მეტრი ამერიკული ვაზის ლერწი, ათასი ცალი სეტყვის საწინააღმდეგო შუშხუნა. 2 ათასი ცალი ვერმორელის აპარატი და 3 ათასი ფუთი გოგირდი.

სხვადასხვა

◆ **საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს** ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მისცა სესხათ 416 ათასი მან. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

◆ **ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების** გამოკვლევა-მოწყობას მიწათ-მოქმედების კომისარიატი შეუდგება ახლო ხანში.

◆ **თბ. საფონდო ბირჟის** კომიტეტმა ქუთაისში დაარსა თავის განყოფილება.

კრებები და მოხსენებები

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** ოთხშაბათს, 31 მარტს, საღამოს 8 საათზე გაიმართება მუსიკალური საღამო სახალხო მუსიკალური სკოლების ძალებით. გან. მუშ. კლუბის წევრთათვის შესვლა უფასოა.

შემთხვევები

◆ **შეპყრობა.** 20 მარტს ქურდობისათვის შეიპყრეს სიმონ ზახაროვი.

— ამავე დღეს შეიპყრეს პეტრე ირემაშვილი.

◆ **ცეცხლი.** 26 მარტს მე-2 უბანში საავადმყოფოს გვერდით ცეცხლი გაუჩნდა სახლს, რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლის მქრობელ რაზმის მიერ.

◆ **ქურდობა.** ლენინის ქ. № 11 26 მარ. გაქურდეს აგრაფინა სირიას ბინა.

ხელოვნების ქრონიკა

გლაზუნოვის კვარტეტის კონცერტი. თბილისში ჩამოვიდა კომპოზიტორ გლაზუნოვის სახელობის ცნობილი სიმებიანი კვარტეტი, რომელშიაც შედიან ლენინგრადის არტისტები: **ლუკაშევსკი, პეჩნიკოვი, მოგილევსკი და რივკინი.** კვარტეტი რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გამართავს ორ კონცერტს (4 და 6 აპრილს).

◆ **სანდრო ინაშვილი** დღეს იმღერებს ოპერა „ოტელო"-ში. ოტელოს პარტიას მღერის პროფ. ბორერი. ოტელოს და იაგოს პარტიები შესრულებული იქნება იტალიურ ენებზე.

◆ **ცირკში** დღეს გაიმართება ჟანნა დიუვალის გამოსათხოვარი წარმოდგენა.

◆ **„ალი".** ხვალ ოპერის თეატრში პიროგოვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ოპერა „ალი".

◆ **წითელ** თეატრში 6 აპრილს წარმოდგენილი იქნება „პატიოსნება".

◆ **ძმ. ტანტები** საგასტროლოთ გაემგზავრენ როსტოვში.

◆ **სანდრო ინაშვილი** თბილისში გასტროლების დამთავრების შემდეგ მიემგზავრება მოსკოვში, სადაც დიდ თეატრში გაიმართება მისი სადებიუტო გამოსვლა.

◆ **მომღერალი დოლონაძე** ამჟამად მღერის ბერლინის საოპერო თეატრში.

◆ **მომღერალი შ. ცირილაძე** ემზადება ოპერა „რიგოლეტოში" გამოსასვლელათ.

◆ **კავსაძის კონცერტი.** ოთხშაბათს, 31 მარტს, მუშურ-გლეხურ მომღერალთა გუნდი მიხ. კავსაძის ხელმძღვანელობით მართავს დიდ სახალხო კონცერტს. ცეკვა-თამაშით-და სცენებით სოფლის ცხოვრებიდან.

◆ **საოპერო სტუდიაში.** ხუთშაბათს 1 აპრილს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ჯამბაზები". საოპერო სტუდიის საჯარო გამოსვლის აღსანიშნავად მონაწ. მიიღებს მთელი ქართული დასი. მთავარ როლებს შეასრულებენ: მრავალი, ანდღულაძე, ცირილაძე, თარხნიშვილი, სვანიძე. დირიჟორობს სახ. არტ. ივ. ფალიაშვილი. დახატულია ახალი დეკორაციები მხატვარ უშინის ესკიზებით. დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის. დადგმული იქნება აგრეთვე „მზეთა-მზე"-ს 3 აქტი.

დღეს კინოებში

◆ **აპოლო, სოლეი, არფასტო** „ნათელა".

ბიბლიოგრაფია

პროფ. პინკევიჩი „ბუნებისმეტყველების მეთოდების საფუძვლები" ტ. I. 259 გვ. და „შრომის სკოლა". პედაგოგიკა. ტ. 2-ე 227 გვ. თარგმ. დ. ქუთათელაძის და გრ. გორგაძის

ჩვენი პედაგოგიური ლიტერატურა მეტად ღარიბია. ეს ნაკლი განსაკუთრებით საგრძნობია დღეს, როცა ახალი თაობის კომუნისტური აღზრდისა და განვითარების საკითხები მთელი სიმწვავით წამოიჭრენ ახალი სკოლის წინაშე. საბჭოთა შრომის სკოლა მოითხოვს ახალ პედაგოგიურ მეთოდს. ჩვენ სკოლებში სწავლების მხრით ჯერ კიდევ ბევრია ძველი, დრომოჭმული. ამ მხრით დიდ დაბრკოლებებს ჰქმნის საჭირო პედაგოგიურ ლიტერატურის უქონლობა ქართულ ენაზე. განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობას განიცდიან მასიური პედაგოგები, რომლებიც გაფანტულნი არიან რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში და ამავე დროს მოკლებულნი არიან ახალი პედაგოგიური ცოდნის მიღების საშუალებას. ასეთი არანორმალური მდგომარეობის თავიდან ასაშორებლად საჭიროა,—სანამ არ მოგვეპოება ორიგინალური ლიტერატურა ქართულ ენაზე,—ეს ნაკლი თარგმანებით შევავსოთ.

ამიტომ ჩვენ ვესალმებით ავტონომიურ აჭარისტანის განათლების კომისარიატის მიერ გამოცემულ პროფ. პინკევიჩის: „ბუნებისმეტყველების მეთოდიკის საფუძვლების" და „შრომის სკოლის" თარგმანების გამოცემას. რუსეთის პედაგოგიურ ლიტერატურაში ხსენებული პროფესორის შრომა—ერთ-ერთ თვალსაჩინო ნაწარმოებს წარმოადგენს. აქ საკითხის ცოდნითა და დაკვირვებით არის დალაგებული შრომის სკოლის პრინციპები. ბავშვთა კომმოძრაობა, ბავშვთა თვითმართველობა, კავშირი წარმოებასა, მრეწველობასა, მეურნეობასთან, სასკოლო ბუნებისმეტყველების სწავლების პრობლემები—აი, ზოგადათ, ის საკითხები, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს პროფესორი აღნიშნულ ორ ტომში.

ჩვენი სკოლის აღმშენებლობითი მუშაობაში ამ შრომას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია. იგი ერთგვარ ხელმძღვანელობას გაუწევს ჩვენს მასწავლებლობას ახალი სკოლის ამოცანების გარკვევაში.

რაც შეეხება ქართულ თარგმანს, ორივე წიგნი კარგი ქართულით არის ნათარგმნი. მხოლოდ თვალსაჩინო ნაკლს წარმოადგენს მრავალი კორექტურული შეცდომა, რომელიც ალაგ-ალაგ აზრის დამახინჯებას იწვევს. საჭირო იყო გამოცემის მესვეურთ კორექტურისთვის ყურადღება მიექციათ. წიგნების ფასი (1 ტომი 1 მ. 65 კ. და 2 ტ. 2 მ.) ცოტა ძვირია.

ვ. იგორეთელი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

როგორ აღვადგინოთ დაბადების ნამდვილი წესი

კითხვა

მე დავიბადე 1910 წელს შორაპნის მაზრის არგვეთის თემის სოფელ სავანეთში. მოვინათლე 1912 წელში, მაგრამ მღვდლის მიერ შეცდომით დაბადების წლად აღნიშნულია 1912 წელი.

ჩვენი სოფლის ალმასკომის „მმაჩის" საბუთებში ნათლად სჩანს როგორ არის გადასწორებული რიცხვი „1910" წ.—"1912„-ზე. რის გამო მე გამოვდივარ მცირე წლოვანი და როგორც მცირეწლოვანს ორ მიშვებენ სამუშაოზე.

ამიტომ გთხოვთ განმიმარტოთ, როგორ მოვიქცე, რომ ჩემი ნამდვილი წლოვანება აღვადგინო და ამით საშუალება მომეცეს ჩემი თავი ვირჩინო და შეძლების დაგვარად დახმარება გაუწიო ჩემ პატარა და-ძმებს.

დიმიტრი ჯაფარიძე.

პასუხი

დეკრეტი № 28-ის—მუხ. 13—და 14-ის თანახმად, ყოველგვარი დავა სარეგისტრაციო წიგნებში შეტანილი ცნობების, ან ცვლილება—შესწორების შესახებ, სწყდება მხოლოდ სასამართლოს წესით სათანადო საბუთების და მოწმეების საშუალებით.

ასეთ ხელშეკრულებას ძალა ექნება თუ არა

კითხვა

გთხოვთ გვაცნობოთ, თუ რამდენი უნდა ვაძლიო სახლის პატრონს ბინის ქირა? მე ვცხოვრობ გოგებაშვილის ქუჩაზე სახლი № 39-ში და მიკავია ქვედა სართულში ერთი პატარა ოთახი, რომელიც შეიცავს 30 კვ. არშინს. სახლის პატრონი მთხოვს ქირად ყოველ სამ თვეში 20 მანეთს, გარდა წყლისა, მეეზოვისა და განათების ფულისა.

პირადათ მე ვარ ღარიბესი სტუდენტი, განათლების მუშაკთა კავშირის წევრი). წიგნაკი № 19.761) და ვიმყოფები ამ ჟამად უმუშევრად. აყვანილი ვარ აღრიცხვაზე № 376.

ამას გარდა გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი: რადგან სახლის პატრონი ოთახს არ მაძლევდა ისე,—თუ მას არ დაუდებდი პირობას, მეც დავითანხმდი, პირობის ხელწერილზე ხელი მოუწერე. ექნება თუ არა მას რაიმე მნიშვნელობა და ძალა? სახლის პატრონს წინასწარ მივეცი 36 მანეთი და განაწილდება თუ არა ეს ფული მომავალ თვეებზე?

ენუქ ბრეგვაძე.

პასუხი

ბინის ქირად, როგორც უმუშევარი, კავშირის წევრი და დაზღვეული, თითოეულ კვადრატ. არშინზე იხდით ერთ კაპეიკს. რაც შეეხება სახლის პატრონთან თქვენ მიერ დადებულ ხელშეკრულებას, მისი მთლიანად ან ნაწილობრივი გაბათილების უფლება აქვს მხოლოდ სახალხო სასამართლოს. თქვენ მიერ წინასწარ გადახდილი ფულის განაწილება მომავალ თვეების ბინის ქირებში ექვემდებარება იმავე სასამართლოს კომპეტენციას.

მეეზოვის ხელფასი და ნაგვის გადასახადი ფული უნდა გადაიხადოს მხოლოდ სახლის პატრონმა.

ბინის-ქირის შესახებ

კითხვა

მე ვცხოვრობ ლენინის ქუჩაზე სახ. № 33-ში; მიჭირავს ერთი ოთახი ფილაქნიანი. ოთახის სივრცე უდრის 9 კვადრატიულ არშინს. სახლის პატრონი მთხოვს (5) მანეთს. რის გადახდა არ შემიძლიან. მე კი ვაძლევ ერთ მანეთს და სახლის პატრონი არ იღებს.

ვარ სახ. უნივერსიტეტთან არსებულ მუშათა ფაკულტეტის მსმენელი. ამასთან ერთად ვარ განათლების მუშაკთა კავშირის წევრი (წიგ. № 20269) და უმუშევარი.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას თუ რამდენი უნდა გადავიხადო თვიურად კანონიერი ქირა და თუ არ მიიღო, სახლის პატრონმა იგი, სად შევიტანო.

ქართ. მუშფ. მსმენელი **დავით ილურიძე.**

პასუხი

თქვენ, როგორც კავშირის წევრი და უმუშევარი თითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდით ერთ კაპეიკს. თუ სახლის პატრონი აღნიშნულ ქირას არ მიიღებს, შეიტანეთ იგი თბილისის ხაზინაში იუსტიციის სახალხო კომისარიატის დეპოზიტში.

მთავრობის მოქმედებანი, და განკარგულებანი

დადგენილება № 16

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 187¹ მუხლის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 187¹ მუხლის ბოლო ნაწილის ქართული რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

„ყველა, ამა მუხლით გათვალისწინებულ, შემთხვევაში სასამართლოს შეუძლიან დაადგინოს, რომ მოსარჩელემ უზრუნველჰყოს უკუქცევითი მოთხოვნა იმ შემთხვევისათვის, თუ გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნება".

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1926 წლის მარტის 10
თბილისი, სასახლე.

დადგენილება № 6.

ამ.-კავ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

1926 წ. თებერვლის 3

საიმპორტო ფართლეულის ზედნართის დაწესების შესახებ

თანახმად ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა.-წ. თებერვლის 2-ს დადგენილებისა, № 10—66,—ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

1) საზღვრითი ზედნართი, რაც დაწესებულ იქნა ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის 1925 წ. მაისის 13-ს დადგენილებით, № 35, და 1925 წ. იანვრის 7-ს დადგენილების, № 16—მ. მ. 2, 3 და 4-ით—სოც. საბჭ. რესპუბლიკ. კავშირის საფეიქრო ფაბრიკების ნაწარმი ფართლეულით საბითუმო, ნახევრად-საბითუმო და საცალო ვაჭრობის დროს, გავრცელებულ იქნეს იმ საიმპორტო ფართლეულზეც, რომელიც საქართველოში იქნება შემოზიდული.

2) ძირითად ფასად საიმპორტო ფართლეულზე, რომელზედაც წესდება ზედნართი საბითუმო, ნახევრად-საბითუმო და საცალო ვაჭრობის დროს, ჩაითვალოს ის ფასი, რაც შემუშავებულ იქნება სოც. საბჭ. რესპუბლ. კავშირის შინა-ვაჭრობის კომისარიატის სპეციალური კომისიის მიერ და დამტკიცებული საკავშირო შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ.

3) ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში და ყველა ადგილობრივი ალმასკომის შინა-ვაჭრობის განყოფილებას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

4) ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

5) დადგენილება ესე ძალაში შედის ა.-წ. თებერვლის 3-დან.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში **გამყრელიძე.**
საქმეთა მმართველი **აბესაძე.**

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. დაწესებულებათა და საწარმოთათვის, სათანადო ნებართვის გარეშე, ყოველგვარი იუბილეს გამართვის აკრძალვის შესახებ.

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კავშირის 1925 წლის დეკემბრის 1-ის დადგენილების თანახმად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს ყოველგვარი იუბილეს გამართვა ხელისუფლების სათანადო ორგანოთა ნებადაურთველად.

2. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებას ნებართვას იუბილეს გასამართავად მისცემს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, ხოლო ისეთ სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს, რომელიც კომერციულ ან სამეურნეო ანგარიშზე იმყოფება,— სათანადო სახალხო კომისარიატი ან მასთან გათანაბრებული ცენტრალური სამმართველო, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — **ს. ჯ. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი—**ალ. სალარიძე.**

1926 წ. მარტის 30.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომი** სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს ორი დღის ვადაში გამოცხადდენ რაიკომის აღმრიცხავ-განმანაწილებელ ქვე-განყოფილებაში ამხ. **წულაიასთან.**

1) ტავრივარი ხანონი სოლომონისძე, 2) მამედოვი მეჯიდ ისკანდარ-ოღლი, 3) კუტუბიძე მათე სტეფანესძე, 4) ჯავახია კონსტანტინე სეფეს ძე, 5) მხიტარიანი აპრეს ხაჩატურისძე, 6) ლალიშვილი დავით ალექსისძე, 7) იზატოვი გალიბ იზატ-ოღლი, 8) აივაზოვი ნიკოლოზ ემელიანისძე, 9) ვაშაკიძე მელიტონ ათანასესძე, 10) მურატოვი კასიანე ისაკისძე, 11) ბეკ-ნაზაროვი მიხეილ.

—ხუთშაბათს, 1 აპრილს, საღამოს 6 საათზე თბილისის კომიტეტის მდივანის ამხ. **ასრიბეკოვის კაბინეტში შესდგება ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა** რევკომბიუროების მონაწილეობით.

— საქ. კომპარტიის **თბილისის კომიტეტის** საგიტ.-საპროპაგ. კოლეგიის სხდომა გაიმართება დღეს, 31 მარტს, დილის 9 საათზე.

— დღეს, 31 მარტს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების** ბინაზე შესდგება ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების ქალაქის საბჭოს გაფართოებული თათბირი, ადგილობრივ საზოგადოებათა წარმომადგენლების თანადასწრებით.

დღის წესრიგი: 1) პრეზიდიუმის ანგარიში 2) ინსტრუქცია მომავალი მუშაობის შესახებ., 3) იურიდიული წევრობის შესახებ., 4) რევკომისიების შესახებ ადგილებზე.

აუცილებლად უნდა გამოცხადდენ რაისაბჭოს წევრები და ადგილობრივი საზოგადოებების წარმომადგენლები.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. გიორი ზაქარიასძე **შინჯიკაშვილს** 1, 2, 3, 4, 5 აპრილს, დღის ათ საათზე გამოცხადდეს ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის გამზირი № 24, მესამე სართული).

— **პროპაგანდისტების კურსებზე.** რუსულ ჯგუფის მორიგი მეცადინეობა შესდგება დღეს, ოთხშაბათს, 31 მარტს, საღამოს 7 საათზე თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო მუშაობის კაბინეტში.

დიმიტრი სიმონისძე მიქელაძე ცოლით, კონსტანტინე დიმიტრისძე მიქელაძე და მისი მეუღლე ელისაბედ (ლოლა) ივანეს ასული მიქელაძისა, ნიკოლოზ დიმიტრისძე მიქელაძე, ნატალია დიმიტრის ასული ხუნდაძისა, ნინა, ელისაბედ და თამარ დიმიტრის ასულნი მიქელაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მიმდინარე თვის 29-ს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის საყვარელი და დაუვიწყარი ძმა და მეორეთა ბიძა

ვლადიმერ სიმონისძე მიქელაძე

დაკრძალვა ოთხშაბათს, 31 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე დიდუბის სასაფლაოზე; გამოსვენება ქაშვეთის ეკლესიიდან.

ვალიკო პეტრესძე დოლიძე

უღრმეს მადლობას სწირავს მეგობრებს, ამხანაგებს, ნაცნობთ და ნათესავებს, რომლებმაც პირადათ, დეპეშით თუ წერილობით გამოსთქვეს მწუხარება ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე და ცხოვრება დაუსრულებელ, ჩემთვის ძვირფას მეუღლეს

ნ ი ნ ა ს

უდროოთ დაკარგვის გამო. 1—1 2,006

და—ოლღა იაკობის ასული ჯავახიშვილისა შვილებით, დედა ნინო დავითის ასული, და ვერა იაკობის ასული, ძმა ივანე იაკობის ძე ქიტიაშვილი მეუღლით და და—სოფიო იაკობის ასულიშა ქრიაშვილისა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი

სერგო იაკობის ძე ქიტიაშვილი

გამოსვენება ოთხშაბათს, 31 მარტს, დღის 3 საათზე თუმანოვის შესახვევი № 18 დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.
1999 2—1

გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა ბიურო მწუხარებით აუწყებს ამხ. მუშკორებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ 28 მარტს გარდაიცვალა ჩვენთვის დაუვიწყარი ამხანაგი და მუშათა თავდადებული მეგობარი— „კომუნისტი"-ს მუშა-კორესპონდენტი და თბ. ელსადგურის მემანქანე ამხ.

სერგო იაკობის ძე ქიტიაშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება 31 მარტს შუადღის 3 საათზე პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. გამოსვენება 1-ლი თუმანოვის შესახვევიდან № 18. უფ.

ტრამ. ელ-სადგურის მუშა-მოსამსახურენი აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ 28 მარტს გარდაიცვალა ჩვენთვის დაუვიწყარი ამხანაგი ელ-სადგურის მემანქანე

სერგო იაკობისძე ქიტიაშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება 31 მარტს შუადღის 3 საათზე პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. გამოსვლენება 1-ლი თუმანოვის შესახვევიდან № 18 1—1 ქვ. 2005.

საქართველოს კინო მრეწველობის აქც. საზოგადოების ახალი

აპოლო
არფასტო
სოლეი

სურათი
„ნათელა"
(უტუ მიქავა)

რეჟისორი—ა. ი. ბეკ-ნაზაროვი
ოპერატორი—ს. ა. ზაბოზლაევი

კასა ღიაა სად. 5 ს—დან. 1 სეანსის დასაწყისი სად. 6 ს.
0—22 ნ. 864 გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი.

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
50—30

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დილის 3—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.
25—11

ა.-კავკ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან

ა | წ. 1 აპრილიდან
დონის როსტოვში დაიწყება
მეორე საგლეხო მომგებიან სესხის
მოგებათა მეორე ტირაჟი

სულ ამ ტირაჟში გათამაშებული იქნება მოგება 625,000 მანეთის რაოდენობით, რომელიც შემდეგ ნაირად ნაწილდება გამოცემულ 5 სერიაზე:

5	მოგება	თითო	5000 მ.	—საერთო	რაოდ.	25,000 მ.
25	„	„	1000 „	„	„	25,000 „
125	„	„	500 „	„	„	62,500 „
250	„	„	100 „	„	„	25,000 „
3,500	„	„	50 „	„	„	175,000 „
12,500	„	„	25 „	„	„	312,500 „

სულ 16,405 მოგება. ჯამი. . . 625,000 მანეთი.

ა. წ. 20 აპრილიდან
კიევში დაიწყება 1924 წლის მე-2-ე 6 % სესხის
მოგებათა მე-5-ე ტირაჟი

სულ ამ ტირაჟში გათამაშებული იქნება მოგება 750,000 მანეთის რაოდენობით, რომელიც ამ რიგად ნაწილდება:

6	მოგება	თითო	5000 მ.,	—საერთო	რაოდენ.	30,000 მ.
93	„	„	1000 „	„	„	93,000 „
105	„	„	500 „	„	„	52,500 „
2.656	„	„	100 „	„	„	255,600 „
6.378	„	„	50 „	„	„	318,900 „

სულ 9,138 მოგება ჯამი . . . . . 750,000 მ.

შენიშვნა: ამ ტირაჟში მონაწილეობას არ იღებენ 5,6,7. 8,9 სერიები, რომლებიც გასული არიან დაფარვის ტირაჟში. ამ სერიების ობლიგაციების გამოსყიდვა სწარმოებს ნომინალის მიხედვით, მას ემატება მიმდინარე კუპონის ღირებულება; შესაძლებელია აგრეთვე მსურველების მიერ ამ ობლიგაციების გადაცვლა მეორე საგლეხო მომგებიან სესხის ობლიგაციებზე.

ობლიგაციების გაყიდვა ტირაჟის დროსაც გრძელდება

მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციები იყიდება სახალხო ბანკის ყველა ფილიალებში, სხვა დანარჩენ საკრედიტო დაწესებულებებში, შემნახველ სალაროებში, ფინსახკომის შემოსავალ-გასავლის სალაროებში და მუშკოოპის ცენტრალურ კოოპერატივებში თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე და პლეხანოვის პროსპექტის და ქიროვის (ყოფ. კირკის) ქუჩის კუთხეში. ნ. 981 1—1

საჯარო ვაჭრობა
თბილისის სოცდაზღვევის სალარო

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ა.-წ. 3 აპრილს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე აღმ. ჯან. განყოფილების დაზღვეულთა ქვე-განყოფილების შენობაში (ლ. დუმბაძის ქ. № 3, ყოფ. ველიამინოვის)

დანიშნულია შეჯიბრება

ფიზიო-თერაპევტიულ ინსტიტუტში (ორჯონიკიძის ქ. № 30, ყ. ანდრეევის) შემდეგ სამუშაოების გასაცემად:

1) წყალსადენის, 2) კანალიზაციის, 3) ცენტრალურ გათბობის და 4) ვენტილიაციის მოწყობა.

კონდიციების და სამუშაოთა რაოდენობის გაგება შეიძლება ზემოხსენებულ ქვე-განყოფილებაში (ლ. დუმბაძის ქ. № 3, ყ. ველიამინოვის ქ.).

თბილისის სოც. დაზღვევის სალაროს
2016 1—1. პრეზიდიუმის წევრი—ჯ. ხუტულაშვილი.

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. კ. ოდიშარია

აცხადებს, რომ 3 აპრილს 1926 წ. საათის 12 დღისა, ქუთაისის ქ. № 30 **საჯარო ვაჭრობით გაყიდის** ივანე მამონტოვის მოძრავ ქონებას—სამ ძროხას, შკაფს და 6 სკამს შეფასებულს 792 მან. დასაკმაყოფილებლად მალაკანთა კოოპერატივისა და ნ. ვალუცკისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 1—1 ქ. 2010

რუსთაველის თეატრი

ხუთშაბათს, 1 აპრილს
საოპერო სტუდიის წარმოდგენა
I. ჯამბაზები
II. მზეთა-მზე მე-3 აქტი.

საოპერო სტუდიის საჯარო გამოსვლის აღსანიშნავად მონაწილეობს მთელი ქართული დასი.

მთავარ როლებში: **მრავალი, ანდღულაძე, ცირილაძე, თარხნიშვილი, სვანიძე.**
ახალი დეკორაციები მხ. უშინის
დადგმა: კ. მარჯანიშვილი და ალ. ახმეტელის
1—1983 დირიჟორი სახ. არტ. ვ. ფალიაშვილი.



ბანქოს
სახელმწიფო
მონოპოლია
თბილისის განყოფილება

სათამაშო **ბანქოს ყიდვა-გაყიდვა სწარმოებს** თანახმად ბანქოს სახელმწიფო მონოპოლიის დებულებისა **სრულიად თავისუფლად** და ქ. მოსკოვის პრეისკურანტის მიხედვით

ნებადართულია აგრეთვე ბანქოს **საზღვარ** გარეთ გატანა.

ბანქოს ფასები:

რუსული 1 ხარისხის თორმეტეული (52 ფურ.) 9 მან. კალოდა 75 კაპ.

რუსული 2 ხარისხის თორმეტეული (36 ფურ.) 6. მან. 60 კ. კალოდა 55 კაპ.

ატლასის და პასიანსის მაღალი ხარისხის ბანქო ღირს ზედმეტი.

ბითუმად ბანქოს შეძენის დროს მყიდველს ეძლევა 20 პროც. შეღავათი.

ბანქო იყიდება ქ. თბილისის განყოფილების მაღაზიაში (თავისუფლების მოედანი), თბილისის შემოსავალ გასავლის სალაროში (ყ. ხაზინა), კოოპერატივებში და სხვა მაღაზიებში.

პროვინციებში იყიდება ყველა სამფინგანებში და კოოპერატივებში. 2—1 ნ. 986

თანახმად ა.-კ. სახკომსაბჭოს № 4 დადგენილებისა
(1925 წ. 12 თებერ. თარიღით)

საქ. ს.მ.უ.ს. ეკონომიურ სამართველოში

დამტკიცებულია სავაჭრო ნიშნები

შემდეგი ფირმებისა:

1. **„საქართველოს სახელმწიფო სპირტის".** ოთხკუთხედში თეთრ ფონზე ჩახატულია ყურეებში ორი წრე. ერთი წრე შეიცავს სავაჭრო მარკას—ჯიხვს, ხოლო მეორე—ციფირს „5". წარწერა რუსულადაა **„Столовое вина Грузгоспирт Бакинское отдел. Оптовый склад вино и спирта ВСНХ Грузии Правление в Тифлисе".** სიტყვა **„Грузгоспирт"** ტრედისფერ ფონზეა.

2. **იმისივე.** რვაკუთხედის ცენტრში ჩახატულია სავაჭრო მარკა—„ჯიხვი" რვაკუთხედში ჩაწერილია ორი კვადრატი, ერთი კვადრატის გვერდებზე რუსულად აწერია **„Водочный ликерный завод, оптовый склад в Тифлисе".** კვადრატის დიაგონალზე მოთავსებულია რვა წრე მედლების სახით.

3. მოგრძო ზოლზე შუაში გამოჭრილია წრე სახელმწიფო ღერბით, ნიშანი ბოთლის ყელისათვის არის საჭიროდ.

4. **თამბაქ. ფაბრ. „ალზიორასი".** ფონი ნიშნისა წითელშავი პარკეტია. შუაში დატოვებულია თეთრი ადგილი და ზედ დახატულია წრე. ნახევარ წრეში ჩახატულია ამომავალი მზე. ხოლო მეორე ნახევარში კი ჩაწერილია „ალზიორა". ნიშნის მეორე ნაწილზე ახატია გადაჯვარედინებული პაპიროსები.

5. **საქ. მიწათმოქმედ. კომისარიატის ღვინის საწყობისა.** მარკად ნიშანს აქვს წითელ ფონში ჩახატული სახელმწიფო ღერბი. წარწერა შემდეგია—მიწათმოქმედ. სახალხო კომისარიატი. „სამმო".

6. **იმისივე.** იგივე მარკა. წარწერა შემდეგია „ № 2 „კახური" ს.ს.ს.რ. სახალხო მამულთა ტრესტი". ენა წარწერისა ქართული და რუსულია.

მრეწველობის ინსპექტორი ა. მებურიშვილი.
ნის. 979 1—1 კანც. გამგე შენგელია.

ექიმი
ნ. გ. ახვერდოვი.
ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)
ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ. საღამოს 4—7 საათამდე, ელბაქიძის დაღმართი № 15. (ყოფილი ვერის დაღმართი). 25—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 31 მარტს,
სანდრო ინაშვილის
გასტროლი
ო ტ ე ლ ო
ბარერას მონაწ.

ხუთშაბათს, 1 აპრილს,
გრიგორ პიროგოვის
გასტროლი
რ უ ს ა ლ კ ა
ნ. 982 1—1

ქალ. თბილისის კოლექტივთა გამგეობის მიერ გაცემული ზაალ თაყითის ძე ბარათაშვილის სახელზე 1925 წ. 4 ივნისის თარიღით და 1303 ნომრით მინდობილობა და სხვა დოკუმენტები ჩ. გ. ა-წ. 19 მარტიდან. გამგეობა.

ხელისმომწერლებმა
ყოველგვარი
ცნობებისათვის
უნდა მიმართონ
„კომუნისტი"-ს
მთავარ კანტორას
რუსთაველის პრ. № 34
ტელეფონი № 10—49

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან).
25—7

ექიმი ნ. ტურიაშვილი
სამშობიარო და ქალის სნეულებანი
მიღება სად. 3—6, საბჭოთა (ყოფილი ჩერქეზიშვილის) ქუჩა № 22.
25—20

თვალის ექიმი
ა. გ. მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ. საღამოს 6—7 საათ.
ელისაბედის ქუჩა № 47, ტელეფ. № 5—90 თვალის საავადმყოფო.
25—12

ექ. ვასილი ნიკიფორესძე
ჩუპრინინი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.
მიღება: დილის 9—11-დე და საღამოს 4—6 საათამდე.
მისამართი: საბჭოთა (ყოფ ჩერქეზიშვილის ქ.) 87. 25—11

პროფ. გრ. მუხაძე
ავადმყოფობის შემდეგ განახლა ავადმყოფების მიღება
მიღება სწარმოებს საღამოს 5-დან—6 საათამდე კვირა დღის გარდა
მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 58, ტელეფონი № 5—77.
25—7

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან-თუხარელისა
კბილის და ღძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინსკის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). 25—25

დაკარგე პირადობის მოწმობა გაცემული კლდეეთის ალმასკომის მიერ და სამხედრო საალრიცხვო ბარათი კონსტანტინე პლატონის ძე გუნცაძის სახელზე, ჩ. გ. 2004 1—1

დაკარგე სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი ექიმის თანაშემწის ვარლამ ნიკოლოზის ძის (იგივე ბიჭიკოს ძის) ლაშხის სახელზე, ჩ. გ. 2003 1—1

დაკარგე ლომბარდის ქვითარი № 36217 ჩ. გ. 2007 1—1

დაკარგე კომუნისტური პარტიის წევრობის დროებითი მანდატი № 5.482 ბორის გაბრიჭიძის სახელზე, ჩ. გ. 2009 1—1

დაკარგე სამხედრო აღრიცხვის ნუსხა № 71 ვარლამ რევიას სახელზე, ჩ. გ. 2012 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა დანიელ კოსტას-ძე ჯანელიძის სახელზე, ჩ. გ. 2011 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 453 ვლადიმერ თადეოზის ძე ურდიას სახელზე ჩ. გ. 2011 1—1

დაკარგე ტელავის საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის წიგნაკი № 104, დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 802 და კომპარტიის საკანდიდატო ბილეთი № 11800 გიორგი შალვას-ძე არჩემაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2011 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 117 სოლომონ სამსონის-ძე დარცმელიას სახელზე, ჩ. გ. 2014 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 171 ვასილ მოსეს-ძე გაგუას სახელზე, ჩ. გ. 2014 1—1

დაკარგე სამხედრო პირადი წიგნაკი ვლადიმერ სოფრომის ძე კირვალიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 985 1—1

დაკარგე პარტიული მანდატი № 498,976 იოსებ ივანეს ძე მოდებაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 985 1-1

საქართ. ტყის მრეწველობის
ტ რ ე ს ტ ი

ამით აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1926 წ. 15 თებერვლის სხდომის ოქმისა № 2.

იყიდება საჯარო ვაჭრობით

6000 მ. ქალ. რედუტ-კალეში მდგარი **რკინის კატერი**
„სახკომსაბჭო"

კატერის აღწერილობა:

ა) სიგრძე ტანის—11,5 მილიმეტ. ბ) განი—2,5 მილიმეტ. ვ) წყალში ჯდება 5 ფუტი და გ) მატორი ექვს გოდლური ბაჟვიანი (ბენზინი)—80 ძალის. საჯარო ვაჭრობა დანიშნულია ა-წ. 20 აპრილს ქ. რედუტ-კალეში.

ყოველგვარი პირობების და ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე, ფოთის რაიონის კანტორაში, დილის 9 საათიდან, ნაშუადღევის 4 საათამდე. ქ. ფოთი, მახარაძის ქ. სახლი № 9.

1—1 ნ. 977 ტყის მრეწველობის ტრესტი.

ექიმი ზ. ა. თარუმოვი
შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი.
მიღება საღამოს 5-დან 6 ნახ. საათამდე სასამართლოს ქ. № 12. ტელეფონი 22—59. 12—9

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბომონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეები, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—17

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ
მისამართი: მოსკოვის ქ. № 4. ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 საათდღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთ. პროსპ. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—13

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს, ინგლისის ქ. (ყოფ. საპიორის) № 3. 25—8

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქუჩა (ყოფ. ნიკოლოზ.) № 33. მიიღებს ავადმყოფებს.
კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის. 25—17

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5-დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამოს.
მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად 22—17

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ უკან. 25—18

ექიმი არსენ მადაჭკორია
ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და გრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღამოს 4—7 საათამდე.
(ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 35 25—11

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და სად. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა). 25—7

დ. აბაშა
კბილის ექიმმა
ა. ნადარეიშვილმა
განაახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სატექნიკო ლაბორატორია, სადაც მზადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები. 25—22

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა.
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნდე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8. 25—17

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38. 25—8

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—19

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

[illegible] სტამბა, კამოს ქუჩა, 68 ტირაჟი—25.543